

# ეკონომიკი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი  
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

აპრილი  
მაისი  
ივნისი

2  
2011

## მთავარი რედაქტორი რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიცრ-კორესპონდენტები:  
ვლადიმერ აკავა, ავთანელ სილაბაძე, ლეო ჩიძავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოკტორები:  
იური ანანიაშვილი, როზეთა ასათიანი, კლიმანტი აჩელაშვილი, თემურ გერიძე,  
გიორგი გერულავა, ვახტანგ გურდული, რეგაზ გოგონია, მიხეილ თორმაზიშვილი,  
რეგაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, გურგან გვარაცხელია, ალექსი გურატაშვილი,  
იაკობ მასხია, ელგუჯა მემგაბიშვილი, გიორგი აკავა, უშაბეგი სამაღაშვილი,  
როდანდ სარწიმელია, ავთანელ სულაბერიძე, თემურ ჭერებლია, თინა ჩხეიძე,  
ნოდარ ჭითანაძე, ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიგული.

აკადემიური დოკტორები:  
ნანული არევაძე, ნანა გიგილაშვილი, მერაბ გველესიანი, ლინა დათუნაშვილი, ლია  
ორიოლაძე (ასეუსისგებელი მდიგარი), ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, თეა  
ლაზარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოაღილე), იზა ნათელაშვილი, ნოდარ  
ხალური, ელენე ხარაბაძე, მარშაბა ხშაბიგაძე (მთავარი რედაქტორის მოაღილე),  
რეგაზ ჯაგაზიშვილი.

უცხოელი წევრები:  
ანა ახვლედიანი (დიდი ბრიტანეთი, ასუსტისმგებელი მდიგარი უცხოეთში), ელდარ  
ისმაილოვი (აზერბაიჯანი), დავით კურთანიძე (აშშ, მთავარი რედაქტორის  
მოაღილე), ანტანას მამსტიტუსი (ლიტვა), ვლადიმერ მენგიბოვი (ლატვია),  
მიხეილ როკეტლიშვილი (აშშ, სლავომირ პარტიცი (აღმონეთი), ლიმიტრი  
სოროკინი (რუსთა), ანდრეა პერმანი (კოლონეთი).

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის  
შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს  
ინფორმაციის სიზუსტეზე.

თბილისი

Paata Gugushvili Institute of Economics

# EKONOMISTI

International Scientific-Analytical Journal  
Published from January 2009

April                          2  
May                            2011  
June

Editor-in-Chief

**Ramaz Abesadze**

## SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

CORRESPONDING MEMBERS OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

**Leo Chikava, Vladimer Papava, Avtandil Silagadze**

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

Klimenti Achelashvili, Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gogokhia, Mikhail Jibuti, Revaz Kakulia, Temur Kandelaki, Eter Kharashvili, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Giorgi Papava, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze, Mikhail Tokmazishvili.

ACADEMIC DOCTORS:

Nanuli Arevaladze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Lia Totladze (executive secretary).

FOREIGN MEMBERS:

Anna Akhvlediani (Great Britain, executive secretary abroad), Eldar Ismailov (Azerbaijan), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Antanas Mackstutis (Lithuania), Vladimir Menshikov (Latvia), Slawomir Partycki (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia), Andrei Herman (Poland)

---

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

---

Tbilisi

**ს ა რ ჩ ე ვ ი**

<b>სოციალურ-ეკონომიკური პროგლემები</b>	<b>5</b>
<b>გახტანგ ბურდული –</b> სიღარიბის დონის შემცირების სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელების მექანიზმის სრულყოფის საკითხები	5
<b>მარინა მუჩიაშვილი –</b> ეკონომიკური კრიზისების ზეგავლენა საპენსიო სისტემებზე განვითარებული ქვეყნების მაგალითზე	13
<b>მაკროეკონომიკა</b>	<b>22</b>
<b>სოლომონ აგლიაშვილი –</b> ინფლაცია და თანამედროვე ეკონომიკური თეორიები	22
<b>ეკონომიკური თეორია</b>	<b>33</b>
<b>ანზორ ქურაგაშვილი –</b> სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკურ-სამართლებრივი პრობლემები	33
<b>აღრიცხვა და აუდიტი</b>	<b>37</b>
<b>გლ. წვერაგა, ი. აბულაძე, გ. ბრეგვაძე, დ. ნარიმანაშვილი, გ. ბეგიაშვილი –</b> ბუღალტრული აღრიცხვის სისიტემის საერთაშორისო სტანდარტებთან პარმონიზაციის საკითხისათვის საქართველოში	37
<b>მერაბ ჯიქია –</b> ბალანსის პასივის რაციონალური სტრუქტურის შეფასება	44
<b>მინიჭებული ეკონომიკა</b>	<b>49</b>
<b>გიული ქეშელაშვილი –</b> ნანოტექნოლოგიების განვითარებამ ინოვაციური მენეჯმენტის მოთხოვნებს უნდა უპასუხოს	49
<b>რეგიონული ეკონომიკა</b>	<b>54</b>
<b>ლამარა მინდორაშვილი –</b> საქართველოში რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები	54
<b>მაგისტრანტებისა და დოკტორანტების სამეცნიერო ნაშრომები</b>	60
<b>განილ ხიზანიშვილი –</b> ეთიკური ეკონომიკის საბაზრო, სოციალური და ეკოლოგიური ასპექტები	60
<b>სიახლე ეკონომიკურ მეცნიერებაში</b>	65
<b>იუბილე</b>	72
<b>06 ფორმაცია</b>	73

## C O N T E N T S

<b>SOCIAL-ECONOMIC PROBLEMS</b>	<b>5</b>
<i>Vakhtang Burduli</i> – The Questions of Improvement of Mechanism of Carrying Out of Structural Policy of Decline in Poverty Level	5
<i>Marina Muchiashvili</i> – Impact of Economic Crises on Pension Systems: Experience of OECD Countries	13
<b>MACROECONOMICS</b>	<b>22</b>
<i>Solomon Pavliashvili</i> – Inflation and Modern Economic Theories	22
<b>ECONOMIC THEORY</b>	<b>33</b>
<i>Anzor Kuratashvili</i> – The Political-Legal Problems of a State Regulation of Socially Oriented Market Economy	33
<b>ACCOUNTING AND AUDIT</b>	<b>37</b>
<i>VI. Tsverava, I. Abuladze, G. Bregvadze, D. Narimanashvili, M. Begiashvili, M. Siradze, L. Berishvili</i> – Concerning the Harmonization of Georgian Accounting System with International Standards	37
<i>Merab Jiqia</i> – Assesment of Rational Structure of the Balance Liability	44
<b>MANAGEMENT</b>	<b>49</b>
<i>Giuli Keshelashvili</i> – The Development of Nanotechnologies Should Respond to the Requirements of Innovative Management	49
<b>REGIONAL ECONOMY</b>	<b>54</b>
<i>Lamara Mindorashvili</i> – The Goals and Tasks of a Innovative Regional Policy in Georgia	54
<b>SCIENTIFIC WORKS OF UNDERGRADUATES AND DOCTORAL STUDENTS</b>	<b>60</b>
<i>Vasil Khizanishvili</i> – Market, Social and Ecological Aspects of Ethic Economics	60
<b>INNOVATION IN ECONOMIC SCIENCE</b>	<b>65</b>
<b>ANNIVERSARY</b>	<b>72</b>
<b>INFORMATION</b>	<b>73</b>

სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზები

**ვახტანგ ბურჯული  
ეკონომიკურ მუცნიერებათა დოქტორი**

**სიღარიბის დონის შემცირების სტრუქტურული კოლიტიგის  
განხორციელების მექანიზმის სრულყოფის საკითხები**

(დაბოლოება)

წინამდებარე სტატია წარმოადგენს ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული სტატიის, რომელშიც აისახება ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირებაზე მიმართული სტრუქტურული პოლიტიკის კოორდინაციის კომპონენტები, დაბოლოებას.

10. განვითარების ნებისმიერ პერიოდში ქვეყნები, ამა თუ იმ დოზით, კერძოდ, სიღარიბის შემცირების მიზნით, იუნიტები ფასტარმოქმნის კოორდინაციის ხერხებს. განვიხილოთ ფასტარმოქმნის კოორდინაციის ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობები სიღარიბის გამომწვევი ელემენტების მოქმედების შემცირების თვალსაზრისით ეკონომიკური საქმიანობის სახეების ჭრილში. არსებობს ფასტარმოქმნის კოორდინაციის პირდაპირი და არაპირდაპირი მეტოდები [2, გვ. 133-158]. ზოგიერთი მეთოდი გამოიყენება წარმოების განვითარების სტიმულირებისათვის, ზოგიერთი კი მოსახლეობის კეთილდღეობის გარკვეული დონის დასაცავად. უკანასკნელ პერიოდში უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს არაპირდაპირი (ირიბ) მეთოდებს. ამ შემთხვევაში ფასების რეგულირება ხდება ძირითადად საქონლის და მომსახურების გარკვეულ ჯგუფებზე არაპირდაპირი გადასახადების, ბაჟებისა და აქციზების გარკვეული დონის დადგენით. მაგალითად, გარკვეული სახის იმპორტულ პროდუქციაზე ბაჟების მაღალი განაკვეთების დადგენა ხორციელდება ადგილობრივი წარმოების ფუნქციონირების დასაცავად, ამცირებს იმპორტს, ავითარებს იმპორტჩანაცევლებით დარგებს და ემსახურება ადგილობრივი წარმოების სტაბილურ ფუნქციონირებას, დასაქმების მაღალი დონის შენარჩუნებას, ექსპორტ-იმპორტის სალდოს გაუმჯობესებას. იმ პროდუქტებზე ან მომსახურებაზე, რომლის წარმოება ქვეყანაში შეუძლებელია, ან ეკონომიკურად არაეფექტურიანია, შეიძლება ბაჟების დაბალი განაკვეთების დადგენა (თუ ეს პროდუქცია მოხმარების აუცილებელ საგანს წარმოადგენს), რაც შეამსუბუქებს მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენების მდგომარეობას. მსგავსი ფუნქციების შესასრულებლად ფასტარმოქმნის კოორდინაციის პროცესში განვითარებულ ქვეყნებში იუნიტები დამატებული დირექტულების გადასახადის დიუცერნცირებულ განაკვეთებს. ზოგიერთ სასისოცხლო მნიშვნელობის პროდუქტზე (პური, რძე და რძის ზოგოვრობით პროდუქტი, ბურღული და ზოგიერთი სხვა) ფასების კოორდინაციის პირდაპირი მეთოდები განვითარებულ ქვეყნებში უფრო ფართოდ გამოიყენებოდა 50-70-იან წლებში, ფასების დროებითი “გაყინვის” ან ფიქსირებული ფასების ზოგიერთ პროდუქტზე დადგენით. ხანდახან ეს ხდებოდა მეტარმებისათვის გარკვეული ზომის დოტაციების გამოყოფით. ამჟამად ასეთი ტაბის ფასტარმოქმნის კოორდინაციის პირდაპირი მეთოდები უფრო იშვიათად გამოიყენება. მაგრამ, ამჟამადაც ხშირად გამოიყენება საგაზაფხულო სუბსიდიები სოფლის მეურნეობაში და დოტაციები გადამამუშავებელი საწარმოებისათვის. თუ სუბსიდიები უზრუნველყოფებ წარმოების გაფართოებას როგორც შინაური, ასევე საგარეო ბაზრებისათვის, დოტაციები გადამამუშავებელი საწარმოებისათვის მეტწილად გამოიყენება შესაბამისი პროდუქციის ექსპორტის უზრუნველსაყოფად. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, სამხრეთ კორეაში, სხვადასხვა სახის პროდუქციის

ექსპორტის ზრდისათვის ფასწარმოქმნის კოორდინაცია ხდებოდა პირდაპირი გადასახადების (კორპორაციული გადასახადი) შემცირების სახით (იხ., მაგ.: [9]) ან პირდაპირი საგადასახადო შედავათებით (საფრანგეთი და სხვა). ფასწარმოქმნის კოორდინაციის ჩამოთვლილი სახეები უზრუნველყოფენ სიდარიბის გამომწვევი ელემენტების მოქმედების შემცირებას, ზოგიერთი კი პირდაპირ შიმართულია ექსპორტის ზრდისა და ქვეყანაში ტექნოლოგიების განვითარების სტიმულირების მეშვეობით ქვეყნის მოსახლეობის ექიმილდღეობის უზუალო ამაღლებაზე.

11. ზოგიერთი კანონი, მიღებული განვითარებულ ქვეყნებში კონკრეტული დარგების ეფექტიანი განვითარების უზრუნველსაყოფად, ერთდროულად მუშაობს ქვეყანაში მუშა ძალისა და ინტელექტუალური პოტენციალის ზრდის, დასაქმების ზრდისა და სიდარიბის შემცირების მიზნებზე. მაგალითად, იაპონიაში 1978 წელს შემოიღეს კანონი „მრეწველობის ზოგიერთი დარგის სტაბილიზაციის სპეციალური ზომების შესახებ“, რომელმაც 1983 წელს შეცვალა კანონი „მრეწველობის ზოგიერთ დარგში სტრუქტურის სრულყოფის სპეციალური ზომების შესახებ“. ამ კანონებით გათვალისწინებულია სუბსიდიები სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებისათვის და იაფი საბანკო კრედიტი საწარმოების მოღერნიზაციისათვის, განსაზღვრულია საწარმოების შეკვეცის, მოდერნიზაციის, პროფილის შეცვლის, გაყიდვის და ა.შ. წესები დარგებში სადგერებით და რაციონალიზაციის კარტელების შექმნის მეშვეობით. აშშ-ში 1981 წელს მიღებულ იქნა კანონი „ეკონომიკური გაჯანსაღების შესახებ“, რომელშიც განსაზღვრულია სამეცნიერო კვლევით სამუშაოებზე კომპანიების ხარჯების წახალისების, სამეცნიერო-საწარმოო პროცესების სარისკო (ცენტრული) დაფინანსებისა და სხვა ანალოგიური წესები. აქვე 1980 წელს მიღებული იყო კანონი „ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ“, რომელშიც განსაზღვრულია ზომები სამრეწველო ინვაციების სტიმულირების მიზნით. სამხრეთ კორეაში 70-იან წლებში სპეციალური კანონებით გამოიყო შვიდი პირველრიგოვანი ყურადღების დარგი, რომლებიც სარგებლობდნენ საგადასახადო და სხვა შედავათებით (ამ შედავათებში ხანდახან შედიოდა „არჩეული“ ექსპორტიორებისათვის სახელმწიფოს მიერ ზარალის პირდაპირი კომპენსირება). შევდეთში 80-იან წლებში მიღებულ იქნა კანონები, რომლებიც ასტიმულირებენ მეურნეობის სუბიექტების ინტერესებს მეურნეობის მოღერნიზაციაზე, საექსპორტო პროდუქციის გამოშვებაზე და ა. შ., მათ შორის კანონი შესატანების შესახებ, კანონი კაპიტალურ დაბანდებათა საერთო რეზერვზე, კანონი მოღერნიზაციის განსაკუთრებულ ფონდზე, კანონი ექსპორტის დაკრედიტებაში დახმარების შესახებ [2, გვ. 237]. უფრო მოგვიანებით განვითარებულ ქვეყნებში მიღებული იყო სხვა კანონები და პროგრამები [4, გვ. 72, 73]. როგორც ვხედავთ, ყველა ეს ჩამოთვლილი კანონი მიმართულია განსაზღვრულ დარგებში ტექნოლოგიების განვითარების, სამეცნიერო სამუშაოებისა და ინვაციების განხორციელების, ექსპორტის ზრდის და ა.შ., საფინანსო და სხვა სახის წახალისებაზე, რაც, საბოლოო ჯამში, მიმართულია ამ ქვეყნების მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის ამაღლებაზე. საქართველოში ამ მიმართულებით არსებობს კანონი „ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ“. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებზე, რომელიც დაბანდებული და გამოყენებული იქნება საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. კანონი ადგენს სპეციალურ ნორმებსა და დამატებით ხელშემწყობლისძიებებს განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების წახალისებისათვის [3, გვ. 186, 187]. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს კანონი არაა საკმარისად დახვეწილი, კერძოდ, არ უზრუნველყოფს ინვესტიციების მიმართებას მიზანშეწონილი რესტრუქტურიზაციის განხორციელებაზე თანამედროვე ტექნოლოგიური

წყობის მოთხოვნებისა და სიღარიბის დონის შემცირების აუცილობლობის გათვალისწინებით.

12. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სექტორული პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების მხარდასაჭერად გამოიყენება სხვადასხვაგვარი საეციალური ფონდი და სხვა სახის სპეციალური საფინანსო საშუალებები, რომელთა სახსრების გამოყენების გზების დადგენისას ითვალისწინებენ სიღარიბის გამომწვევი ელემენტების შემცირების აუცილებლობას. მაგალითად, სხვადასხვაგვარი საინვესტიციო ფონდების სახსრების ან სახელმწიფო საინვესტიციო ბანკების შედავათიანი კრედიტების გამოყენებისას სექტორული რესტრუქტურიზაციის მიზნებისათვის მხედველობაში დებულობები ექსპორტორიენტირებული და იმპორტჩანაცვლებით დარგების პროდუქციის ზრდის სტიმულირების აუცილებლობას, რაც ამცირებს სიღარიბის გამომწვევ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორიცაა უარყოფითი ექსპორტ-იმპორტული სალდო. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ზოგიერთი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტებში გათვალისწინებულია საეციალური მუხლები (ხაზები) წარმოების მიზანშეწონილი რესტრუქტურიზაციის განსახორციელებლად. ბოლო პერიოდში ამ მიზნების განხორციელების ხელშეწყობისათვის შემოვიდა საეციალური მიზნობრივი საბიუჯეტო ტრანსფერების, პროგრამულ-მიზნობრივი დაფინანსების (იხ., მაგ.: [3, გვ. 52-54, 195-200; 13, გვ. 22-24, 74-78; 15, გვ. 275-278]) ან გრანტების (უარყოფითი სახსრების მოზიდვა ხდება უცხოური ქვეყნების საფინანსო დახმარების ხარჯზე, იშვიათ შემთხვევებში მსხვილ მეწარმეთა დახმარების ხარჯზე). მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის ჩამოყალიბების უზრუნველყოფისათვის საჭირო ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის განხორციელებისას საქართველოში ფართოდ გამოყენებული ყოფილიყო ამ პუნქტში აღნიშნული მეთოდები.

13. სექტორული პოლიტიკის უმნიშვნელოვანებს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სამრეწველო პოლიტიკა, რომლის სათანადო მართვა და რეალიზაცია (შესაბამისი მექანიზმის გამოყენების საფუძველზე) ქვეყნის და მისი მოსახლეობის ეთილდღეობის ამაღლების უზრუნველყოფის, ე. ი. სიღარიბის დონის შემცირების, საიმედო გარანტიას წარმოადგენს. განვითარებულ ქვეყნებში სამრეწველო პოლიტიკის საგანს წარმოადგენენ არა მარტო მრეწველობის დარგები, არამედ ყველა მასთან დაკავშირებული მომიჯნავე დარგი: ინვაციური (მეცნიერული კულტურა, საცდელ-საკოსტრუქტორო, სასელექციო და სხვა შემუშავებები, დაწერგვა), ვაჭრობა, სპეციალური მომსახურება, მშენებლობა, ტურიზმი და სხვა.

ფართო გაგებით, სამრეწველო პოლიტიკა წარმოადგენს ეკონომიკური, პოლიტიკური და ორგანიზაციული დონის მიერგებების კომპლექსს, რომელიც მოქმედებს ეროვნული ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა დონეზე და რომელმაც უნდა უზრუნველყოს მრეწველობის და მომიჯნავე დარგების საბაზრო ორგანიზაციის სრულყოფა (დარგობრივი სტრუქტურა, წარმოების განლაგება, ინვესტიციური აქტიურობის და სამრეწველო საქმიანობის რეგულირება და სტიმულირება, მსხვილი კომპანიების აქტივიზაცია ექსპორტორიენტირებული და იმპორტჩანაცვლებითი საქმიანობის განხორციელების მიმართებაში, სამრეწველო კლასტერების ფორმირება, საშუალო და მცირე ბიზნესის წახალისება; დარგებში კონკურენციის ოპტიმალური რეჟიმის დაცვა; ეროვნული ეკონომიკის საექსპორტო პოტენციალის და კონკურენტული ანობის სტიმულირება; მრეწველობის განვითარების სახელმწიფო და საბაზრო კოორდინაციის ურთიერთშესახება (იხ.: [11, გვ. 133, 134] და სხვა).

სამრეწველო პოლიტიკის ძირითადი ამოცანებია: თანამედროვე მოთხოვნებისადმი აღეპვატური სტრუქტურული გარდაქმნისათვის ინსტიტუციური ზო-

მების განსაზღვრა და და რეალიზაცია; სამრეწველო პოლიტიკის რეალიზაციის მარეგულირებელი (სახელმწიფო და საბაზრო კოორდინაციის) მექანიზმის სრულყოფა ეკონომიკური კონიუნქტურის და თანამედროვე ტექნოლოგიურ წეობაზე გადასვლის მოთხოვნების შესაბამისად; მუშა ძალის და სპეციალისტების თავისდროული გადამზადების უზრუნველყოფა და სხვა. სამრეწველო პოლიტიკის ფარგლებში მუშავდება დამიზნების პოლიტიკა, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო საგაჭრო კომისიის განსაზღვრებით, წარმოადგენს კოორდინირებულ სახელმწიფო ლონისძიებებს შერჩეულ დარგებში საწარმოო რესურსების მოპილიზაციისათვის, რომლის მიზანია ეროვნული მეწარმეების დახმარება მსოფლიო ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად [11, გვ. 137].

შეიძლება გამოვყოთ სამრეწველო პოლიტიკის ინსტიტუციური უზრუნველყოფის შემდეგი მიმართულებები; საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება და განვითარება: სახელმწიფო და საბაზრო რეგულირების ინსტიტუტების სრულყოფა და ზოგიერთი ახალი ინსტიტუტის ჩამოყალიბება (ამაზე ნაშრომში უკვე იყო საუბარი); საკანონმდებლო უზრუნველყოფა (კანონების სავარაუდო პაკეტი ზემოთ იყო ჩამოთვლილი), ასევე სამრეწველო პოლიტიკის კანონების შესაბამისი პაკეტის სრულყოფა შეიძლება განხორციელდეს ა. რადიგინის სტატიაში მოტანილი მოსაზრებების შესაბამისად [12]. სამრეწველო პოლიტიკის განხორციელების ინსტიტუციური უზრუნველყოფის განსამტკიცებლად შეიძლება აშშ-ის მაგალითთ დაწესდეს “კონკურენტუნარიანი პოლიტიკის საბჭო” ან “ექსპერტთა კომიტეტი სტრატეგიული კონკურენტუნარიანი სამრეწველო და სავაჭრო პოლიტიკის შემუშავებისათვის” [10, გვ. 160].

სამრეწველო და დამიზნების პოლიტიკის მართვისათვის არსებობს ინსტრუქტების საქმაოდ ვრცელი ნუსხა, მათ შორის: საგადასახადო ზომები (გადასახადის განაკვეთები, საგადასახადო კრედიტი, დაქარებული ამორტიზაცია, საგადასახადო შედავათები); საფინანსო-საკრედიტო ზომები (სესხები, კრედიტები, მათ შორის შედავათიანი, სუბსიდიები); დონისძიებები დასაქმების პოლიტიკაში (სუბსიდიები, სწავლებისა და გადამზადების პროგრამები და სხვა); ფასტარმოქნის სახელმწიფო და საბაზრო კოორდინაცია; სახელმწიფო შესყიდვები; ინსტიტუციური ზომები შერწყმების, ტექნოლოგიების შემუშავების, მცირე ბიზნესის, დარგობრივი გარდაქმნის, ინვესტიციების სტიმულირების და სხვა; უცხოური ინვესტიციების რეგულირების ბერკეტები); საგარეო ვაჭრობის რეგულირების ბერკეტები (იმპორტი; სატარიფო და არასატარიფო რეგულირება; ექსპორტი; საფინანსო და საგადასახადო ინიციატივები, საექსპორტო კრედიტები და გარანტიები, სავალუტო რეგულირება, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა და სხვა).

სამრეწველო პოლიტიკის ინსტრუქტების კომპლექსური გამოყენების შედეგად ხდება სამრეწველო პოლიტიკის მიზნების განხორციელების რეგულირება, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ქვეყნის და მისი მოსახლეობის ეკონომიკური განვითარების მიზანი, რომელიც თავისთავად გულისხმობს სიდარიბის დონის შემცირების გადაწყვეტის პრობლემას.

14. უცანასკნელ პერიოდში (და ზოგიერთ ქვეყნებში უფრო ადრეც) დიდ ყურადღებას აქცევენ ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოებას, რის გამოც მრავალ განვითარებულ ქვეყანაში სასურსათო ბაზრის სახელმწიფო რეგულირება, ანუ სასოფლო-სამეურნეო და აგრომერენტის განვითარების პოლიტიკა გადაიქცა სექტორული განვითარების მექანიზმის ფაქტურად დამოუკიდებელ შტოდ და აგრომერენტის სასურსათო დარგების კოორდინაცია განიხილება სასოფლო მეურნეობასთან ერთობლივ კომპლექსში, სამრეწველო პოლიტიკის საერთო კომპლექსიდან გარეგეულ ფარგლებში გამოყოფით (იხ., მაგ.: [6; 8; 14]). ამასთან, სხვადასხვა ქვეყნის აგროსამრეწველო კომლექსის რეგულირების მექანიზმები

ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ინსტიტუციური სტრუქტურით და საშუალებებით, თუმცა რეგულირების ინსტრუმენტების ნუსხა თითქმის ერთნაირია.

განვიხილოთ აგროსამრეწველო კომლექსის რეგულირების ინსტიტუციური უზრუნველყოფის ყველაზე თვისობრივი ელემენტები. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს მწარმოებელთა ასციაციები და კოოპერაციული კავშირები, რომელებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სასურსათო ბაზრის რეგულირებაში (კანადა). სახელმწიფო რეგულირების განხრით არსებობს ფედერალური კორპორაციები და კომისიები ცალკეული სასურსათო პროდუქტების მიხედვით (კანადა), სახელმწიფო ცენტრალური სამომარაგებო ბაზრების საქციო საზოგადოება (ესპანეთი), სასოფლო სამეურნეო პროდუქციის და სასურსათო მრეწველობის გასაღების ხელშეწყობის ცენტრალური ფონდი და ცენტრალური საინფორმაციო-სტატისტიკური ინსტიტუტი (გერმანია) და სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით მრავალი სხვა სახელმწიფო და საბაზრო ინსტიტუტი.

დახმარების სახეები თითქმის სტანდარტულია: სუბსიდიები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმებელებისათვის, დოტაციები აგრომრეწველი გადამუშავებელი საწარმოებისათვის (როდესაც ეს საჭიროა, განსაკუთრებით, ექსპორტის ხელშეწყობის მიზნებისათვის). შედავათები ხორციელდება პროდუქციის ცალკეული სახეობების მიხედვით.

ბუნების გაბინძურების, გადაჭარბებული მქანიზმაციის, ზოგიერთი სასურსათო პროდუქციის ბიოსაწვავზე გადამუშავების გამო ნიადაგის პროდუქტიულობა ნელ-ნელა მცირდება, განუვითარებელ ქვეწებში კი პროდუქტიულობა ძალიან მცირება მიწის დამუშავების ტექნიკური საშუალებების უქონლობის გამო. ატმოსფეროსა და მსოფლიო ოკეანის წყლების გაბინძურების გამო ოკეანეს ბიოპროდუქტიულობა 20%-ით შემცირდა. მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ტემპები ასწრებენ სასურსათო პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპებს. ამ პირობებში თანდათანობით მატულობს სასურსათო პროდუქციის დორებულება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და აგროსამრეწველო პროდუქციის წარმოებისას ქვეყანაში უნდა იქნეს გათვალისწინებული როგორც ამ სექტორის მართვის მოწინავე ქვეყნების მაგალითი, ასევე სასურსათო ბაზარზე მიმდინარე ტენდენციები. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და აგრომრეწველის წარმოების კოორდინაციისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს: შიდა მოხმარებისათვის დანიშნული პროდუქციის წარმოების სტიმულირება, პროდუქციის კონკურენტურიანობის ზრდის სტიმულირება, ექსპორტის მარკეტინგული და საკრედიტო ხელშეწყობა, ნიადაგის ხარისხის დაცვის და საჭირო შემთხვევებში რეგულირვაციის განხორციელების სტიმულირება. უკანასკნელი ზოგიერთ შემთხვევაში უნდა ხორციელდებოდეს სახელმწიფო ხარჯების გამოყენებით. ისევე, როგორც განვითარებულ ქვეწებში, უნდა დადგინდეს ჯარიმები და სანქციები კონკრეტული იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ბუნებრივი გარემოს და, კერძოდ, ნიადაგის გაბინძურების შემთხვევებში.

ნიადაგის ხარისხის შენარჩუნება და/ან გაუმჯობესება (ე. ი. რეგულტივაცია), ასევე ეროზიულ მოვლენებთან ეფექტიანი ბრძოლა, ისევე, როგორც სასოფლო-სამეურნეო და აგრომრეწველის პროდუქციის მოცულობის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება, წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების და სიღარიბისაგან მისი დაცვის უმნიშვნელოვანეს პირობას.

15. ბევრ ქვეყანაში იმპორტჩანაცვლებით და, განსაკუთრებით, ექსპორტორიენტირებული საწარმოების წასახალისებლად არსებობს ან არსებობდა მთავრობასა და მეწარმეებს შორის განსაკუთრებული ინსტიტუციური ურთიერთობების პრაქტიკა (საფრანგეთი, სამხრეთი კორეა, აშშ და სხვა). მა-

გალითად, მეწარმე დებულობს კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციის გარკვეული (საწარმოს მასშტაბებით მნიშვნელოვანი) მოცულობით წარმოების პირობას, სახელმწიფო კი ანიჭებს მეწარმეს განსაზღვრულ შედავათებს. ასეთი შეთანხმებით უფრო ხშირად ფორმდება ხელშეკრულებების სახით. სამხრეთ კორეაში, მაგალითად, ასეთი ღონისძიებები ხორციელდებოდა საპრეზიდენტო დონეზე [9], ამჟამად კი გათვალისწინებულია სპეციალურ პროგრამებში, რომელიც შედგენილია რეგიონების და ადგილობრივი წარმონაქმნების მიხედვით [5]. იაპონიაში ასეთი ინსტიტუციური ურთიერთობების გაფორმება ხდებოდა სპეციალური კანონების მიღების საფუძვლზე, საფრანგეთში, ხშირად, უშალო შეთანხმებების დადგებით მთავრობასა და მეწარმეს შორის და ა.შ., რაც მოტანილია წინამდებარე ნაშრომის შესაბამის ადგილგზზე. ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი გადაწყვეტილებების მიღების სარეკომენდაციოდ არსებობს ექსპერტთა სპეციალური კომიტეტები (საბჭოები), მსგავსი იმისა, რაც მოტანილია ამ სტატიის მე-12 პუნქტში.

16. თანამედროვე ტექნოლოგიური წყობისადმი შესატყვისი ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი პოლიტიკის შემუშავებას მიზანშეწონილი უცხოური კაპიტალის მოზიდვისა და მიზანშეწონლის ქვეყანაში შეღწევის შეგავების პოლიტიკის განხორციელებისათვის.

მოზიდვისათვის მიზანშეწონილი უცხოური კაპიტალის სახეები შემდეგია: მაღალ და საკვანძო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კაპიტალი, რომელთა ათვისებისათვის ქვეყანას გააჩნია სელსაკურელი პირობები: მომზადებული პერსონალი ან კადრები, რომელთა სწრაფი გადამზადება შეიძლება ახალი ტექნოლოგიების ათვისებისათვის; შიდა და, განსაკუთრებით, გარე ბაზრებზე უცხოური საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობა; უცხოური ინვესტორების დაპირება, რომ ქარხანაში დასაქმებული იქნება ძირითადად (არა ნაკლებ 90%-ისა) ადგილობრივი მოსახლეობა; უცხოური ინვესტორის მიერ შექმნილი ქარხანა კორპერაციული ურთიერთობების მეშვეობით დასასაქმებს რამდენიმე ან მრავალ ადგილობრივ მცირე და საშუალო ზომის საწარმოს (დეტალების და კვანძების მომზადებით ან სხვადასხვავარი მომსახურების თავისი ქარხნისათვის გაწევის შეკვეთით). უფრო მიზანშეწონლია, როდესაც უცხოური ინვესტორი შემოდის თავისი ტექნიკითა და ტექნოლოგიით და არ სჭირდება საწარმო ტექნოლოგიების სხვა ქვეყნებში შეძენა. უფრო ხშირად ასეთი კაპიტალი ქვეყანაში შემოდის ტრანსეროვნული კორპორაციის საწარმოს სახით.

ნაკლებად მიზანშეწონილია ტექნოლოგიების სახით ისეთი უცხოური კაპიტალის მოზიდვა, რომელთა ათვისება ადგილად შეუძლიათ ადგილობრივ მეწარმეებს. ეს უფრო მეტად ეხება ტრადიციულ დარგებს (რომლებიც წინათ არსებობდნენ ქვეყანაში), განსაკუთრებით საფეიქრო, ტრიკოტაჟის, ტყავ-ფესაცმლის და სხვა მსგავს საწარმოებს, რომლებისთვისაც ქვეყანას მრავალ შემთხვევაში გააჩნია ნედლეული და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გასაღება შეიძლება შიდა ბაზრებზე და შესაძლებელია საგარეო ბაზრებზეც. ასეთი სახის უცხოური კაპიტალი შეიძლება იყოს მაღალ- ან საკვანძო ტექნოლოგიურიც, იმ შემთხვევებში, თუ გაუწევს კონკურენციას ადგილობრივ მეწარმეებს, რომლებიც აწარმოებენ ანოლოგიურ პროდუქციას, ან აპირებენ მისი წარმოების ათვისებას საკუთარი ძალებით.

მიზანშეწონელია, ძირითადად, ისეთი კაპიტალი, რომლის საწარმოები აბინძურებენ გარემოს. მიზანშეწონელია ასევე, რა თქმა უნდა, სპეციალაციური კაპიტალის ქვეყანაში მოზიდვის წახალისება, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის განვითარების არასტაბილურობის, ანუ ვოლატილულობის (volatility) პირო-

ბეჭმი იჩენს ძლიერ აქტიურობას, ამასთან, ნებისმიერი ქვეყნისათვის ძალიან მაგნეა და საბოლოო შედეგად მოცემული ქვეყნისათვის ძალიან ზარალიანია. იგი ასევე იწვევს ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულებას საერთაშორისო სპეციალური წრეებისადმი და ხდება ქვეყნის მოსახლეობის გადატაკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი.

მიზანშეწონილი კაპიტალის მოსაზიდად წარმოებს სხვადასხვა შედავათი, მაგალითად, ტექნოლოგიების შემოზიდვის განთავისუფლება განხაუებისაგან, რამდენიმე წლის განმავლობაში კორპორაციული გადასახადის შემცირებული განაკვეთის გამოყენება, ასევე კველა ის შედავათი, რომლითაც სარგებლობებს ადგილობრივი მეწარმეები ახალი ტექნოლოგიების შემოღების, ინოვაციების დანერგვის, ექსპორტის მოცემულობის ზრდისა და სხვ. შემთხვევებში.

მიზანშეწონებული კაპიტალის ქვეყანაში შედწევის შეკავებისათვის შეიძლება ადმინისტრაციული აკრძალვების გამოყენება, დაყრდნობილი წარმოების სტანდარტების დაცვაზე, უპირველეს ყოვლისა, გარემოს გაბინძურების ოვალსაზრისით, როგორც ეს მიღებულია განვითარებულ ქვეყნებში. ოუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ასევე არსებობს აკრძალვები ზოგიერთი დარგის საწარმოების ქვეყანაში მოზიდვაში ან ადგილობრივი საწარმოების შექენაში, ქვეყნების უმზარესობაში აგრძალებულია უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშულების მიწების შექენა, სხვა სახის საწარმოო დანიშნულების მიწები გაიცემა მსოფლიო იჯარით (არენდით).

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბურდული ვ. სიდარიბის დონის შემცირების სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელების მექანიზმის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის საკითხები. – ეკონომისტი, 2011, №1.
2. ბურდული ვ. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგულირების მექანიზმი და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები (საქართველოს მაგალითზე). – თბილისი: “მეცნიერება”, 2004.
3. მესხია ი., გველეხიანი ე. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა. – თბილისი: 2010.
4. Abesadze R., Burduli V. Innovative activities and their coordination under advancing globalization. – The Caucasus & Globalization. – CA&CC Press. SWEDEN. Volume 3. Issue 4. 2009.
5. Абдурасурова Д. Промышленная политика Южной Кореи. – Экономист, 2009, №1.
6. Архипов В. К вопросу о мировом продовольственном кризисе. – Экономист, 2009, №3.
7. Бурдули В. Причины бедности, обусловленные несовершенством структуры экономики в разрезе видов деятельности и пути их преодоления. – ეკონომისტი, 2010, №6.
8. Добросоцкий В. Государственное регулирование продовольственного рынка. – МЭИМО, 2000, №9.
9. Жуков С. Роль государства в сотворении южнокорейского чуда. – Российский экономический журнал, 1993, №5.
10. Зейц К. Какой должна быть государственная политика в сфере высоких технологий. – Вопросы экономики, 1993, №9, с. 160.
11. Кузин Д. Промышленная политика развитых стран: цели, инструменты, оценки. Вопросы экономики, 1993, №9.

12. Радыгин А. Нормы корпоративного управления в России и ЕС: перспективы унификации. – МЭиМО, 2004, №4.
13. Региональная экономика. Под общей ред. Видяпина В. И., Степанова М. В. – Москва: ИНФРА-М, 2006.
14. Устиян И. Мировой продовольственный кризис: серьезный вызов начала XXI в. – Экономист, 2008, №10.
15. Фетисов Г. Г., Орешин В. П. Региональная экономика и управление. – Москва: ИНФРА-М, 2006.

**Vakhtang Burduli**  
*Doktor of Economic Sciences, Professor*

## **THE QUESTIONS OF IMPROVEMENT OF MECHANISM OF CARRYING OUT OF STRUCTURAL POLICY OF DECLINE IN POVERTY LEVEL**

### **Summary**

The article, which is the sequel of article of published in previous number of journal (Economisti, 2011, №1), considers the following block and instruments of mechanism of realization of structural policy of decline in poverty level: the instruments of coordination of price formation (pricing) oriented on regulation of processes favouring of decline in poverty level in the country; the laws favouring of increase of employment, revival of economic and promoting of decline in poverty level in the country; the creation of special funds promoting of structural improvement of economy; in the article the industrial policy are considered as a reliable guarantor of rise in living standards of population and of decline in poverty level in the country; in the article the structural questions of food security also are considered as a factor promoting of decline in poverty level in the country; the stimulation of import of expedient form of foreign capital, in particular, in export-oriented and import-replacing branches, also are considered as a factor promoting of decline in poverty level in the country.

**მარინა მუჩიაშვილი**  
გეონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

**ეკონომიკური კრიზისში ზეპავლენა საახლიო სისტემებზე  
ბანკითარებული ჰპექცების მაბალითზე**

დღევანდელ გლობალურ კრიზისს თავდაპირველად სათავე დაუდო ფინანსურმა კრიზისმა. 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისი ბევრ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის წინაპირობა გახდა. მსოფლიო ქვეყნების უმეტესობაში ადგილი ჰქონდა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობების მნიშვნელოვან დაცვებას და შესაბამისად, უმუშევრობის ზრდას. 2010 წლისათვის უმუშევრობის მაჩვენებელმა ბევრ ქვეყანაში 10%-ს მიაღწია. სელფასებისა და სამუშაო სათების შემცირების კალობაზე, მცირდებოდა საპენსიო ფონდებში კონტრიბუციები და იზრდებოდა მოთხოვნა უმუშევრობისა და სხვა სახის დახმარებებსა და შემწეობებზე. ამ ყველაფერმა ასახვა პოვა სახელმწიფო ფინანსებში და საფინანსო კრიზისის სახით მოგვევლინა. შესაბამისად, ბიუჯეტის დეფიციტმა OECD-ის ბევრ ქვეყანაში 2010 წლისათვის ეროვნული შემთხვევლის 10 %-ს მიაღწია.

კრიზისებმა უარყოფითად იმოქმედა როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო საპენსიო სქემებზე. საფონდო ბირჟების კოლაფსმა განსაკუთრებით ძლიერი ზეგავლენა მოახდინა კერძო პენსიებზე ბევრ ქვეყანაში, რომლებშიც პენსიის ეს სახე პენსიონერთა შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. OECD-ის 2009 წლის გამოცემაში “Pensions at glance” ნაჩვენებია, თუ როგორ გადაიზარდა ფინანსური, ეკონომიკური და ფისკალური კრიზისი სოციალურ კრიზისში.

სტატიაში შევეცდებით პასუხი გავცეთ შემდეგ აქტუალურ კითხვებს: როგორი იქნება კრიზისის უარყოფითი შედეგები მოხუცებულების პენსიის სიდიდეზე უახლოეს წლებში? რა უნდა გააკეთოს სელისუფლებამ უარყოფითი შედეგების შესარბილებლად? როგორი პოლიტიკის გატარებისაგან თავშეკავებაა საჭირო? რა დაეხმარება საპენსიო სისტემებს მომავალი კრიზისების თავიდან აცილებასა ან უარყოფითი ზეგავლენის შემცირებაში?

**ფინანსური ბაზრები და კერძო პენსიები**

ფინანსური კრიზისის გამო 2008 წელი იყო უმბიმესი კერძო პენსიებისათვის. კერძოდ, მსოფლიოს 23 ქვეყნისათვის ინვესტიციების რეალური უკუგება (ინფლაციის გათვალისწინებით) ხასიათდება შემდეგი მონაცემებით: ყველაზე დიდი დანაკარგები დაფიქსირდა ირლანდიაში (37,5%). ინვესტიციების მეოთხედზე მეტით შემცირება აღინიშნებოდა ავსტრიასა (-26.7%) და აშშ-ში (-26.2%); სხვა ქვეყნების მიხედვით ადგილი აქვს არათანაბარზომიერ შემცირებებს. კერძოდ: ისლანდია – 22.9%; ბელგია – 21.6%; კანადა – 21.4%; უნგრეთი – 21%; იაპონია – 20.1%; ფინეთი – 19.5%; პოლონეთი – 17.7%; გაერთიანებული სამეფო – 17.4%; ნიდერლანდები – 16.9%; შვეცია – 16.9%; დანია – 16.8%; ავსტრია – 15.7%; პორტუგალია – 13.8%; შვეიცარია – 12.6%; ნორვეგია – 11.8%; ესპანეთი – 11.7%; სლოვაკეთის რესპუბლიკა – 10.5%; გერმანია – 8.5%; ჩეხეთის რესპუბლიკა – 7.2%; მექსიკა – 5.2%. მთლიანად OECD-ის ქვეყნების მიხედვით აქტივების კლება (აშშ-ის მაღალი წილის გამო) 23%-ს შეადგენდა. შეუწინავი საშუალო 23 ქვეყნისათვის დახლოებით 17%-ს.

მთლიანად საპენსიო ფონდებმა 2008 წელს მთლიანი სიდიდის 23% (5,4 ტრილიონი დოლარი) დაბარგეს.

## კერძო პენსიები და მოხუცებულების შემოსავლები

ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმით, თუ რა წილი უკავია კერძო პენსიებს მოხუცების შემოსავლებში და ასევე იმით, თუ როგორაა (რა სახის აქტივებშია) ეს ფონდები ინვესტირებული. ქვემოთ მოტანილი მონაცემები გვიხსინათ თუ მოხუცების შემოსავლების რა წილი მოდის კაპიტალზე, რომელიც მოიცავს ყველა კერძო დანაზოგს (უმეტეს შემთხვევაში ის ძირითადად არის კერძო პენსიები). პენსიების მთელ მოცულობაში არ შედის: შემოსავალი, მიღებული შრომითი საქმიანობიდან (დასაქმებიდან ან თვითდასაქმებიდან, რომელიც შეადგენს 65 წელს ზემოთ მოხუცების მთლიანი შემოსავლის საშუალოდ მეხუთედს). დანარჩენი ნაწილი მოიცავს: საშემოსავლო ტრანსფერებს სახელმწიფოდან უმთავრესად, რასაკვირველია, სახელმწიფო პენსიების სახით.

კერძო საპენსიო დანაზოგების როლი სხვადასხვა ქვეყნის სხადასხვა (მონაცემები წარმოდგენილია 2005 წლის მდგრმარეობის მიხედვით). კერძოდ, ეს მაჩვენებელი ზოგიერთი ქვეყნის მიხედვით ასე გამოიყურება: კანადა – 50,6%; ნიდერლანდები – 46,5%; აშშ – 45,1%; აგსტრალია – 44,7%; გაერთიანებული სამეფო – 43,8%; დანია – 36,1%; ორლანდია – 32,9%; ნორვეგია – 32,7%; ახალი ზელანდია – 24,3%; შვედეთი – 23,8%; ერმანია – 16,9%; ისლანდია – 14,4%; იაპონია – 13,2%; საბერძნეთი – 10,8%; ლუქსემბურგი – 9,9%; საფრანგეთი – 8,6%; ბელგია – 8,1%; პორტუგალია – 6,8%; ესანქოთი – 6,8%; იტალია – 5,3%; უნგრეთი – 2,9%; ავსტრია – 1,9%; პოლონეთი – 1,2%; სლოვაკეთის რესპუბლიკა – 1,1%; ჩეხეთის რესპუბლიკა – 0,7%. დღევანდელი პენსიონერების შემთხვევაში კერძო საფინანსო რესურსი საპენსიო შემოსავლის 40 %-ზე მეტს შეადგენს OECD-ის მხოლოდ ხუთ ქვეყანაში: ესენია: აგსტრალია, კანადა, ნიდერლანდები, გაერთიანებული სამეფო და აშშ. 5%-ზე ნაკლებითაა წარმოდგენილი კერძო საფინანსო რესურსი საპენსიო შემოსავლებში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის შემდეგ ხუთ ქვეყანაში: ავსტრია, ჩეხეთის და სლოვაკეთის რესპუბლიკები, უნგრეთი და პოლონეთი. საშუალოდ, OECD-ის ქვეყნებში კერძო პენსიებზე 19,5% (დაახლოებით მეხუთედი) მოდის. სიტუაცია დრამატულად შეიცვლება მომავალში, რადგან ბევრ ქვეყანაში კერძო საპენსიო სისტემაზე გადასვლა გახდა სავალდებულო. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ დღევანდელი ახალგაზრდა მომუშავეებისათვის კერძო პენსიები იქნება საპენსიო შემოსავლების ერთი მესამედი უნგრეთში, ნახევარი – პოლონეთში, 60% სლოვაკეთის რესპუბლიკაში და სამი მეოთხედი – მექსიკაში. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ კრიზისს ამ ქვეყნებზე სუსტი ზეგავლენა აქვს, ეჭვგარეშეა ამ სისტემების მოქნილობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვნობის გაზრდა მომავალი (მოსალოდნელი) კრიზისების პირობებში.

### კრიზისების სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებზე ზემოქმედების ხარისხი

აქამდე აქცენტი ძირითადად კეთდებოდა ფინანსურ კრიზისსა და მისი ზემოქმედების ხარისხს სხვადასხვა ქვეყნის საპენსიო სისტემებზე. ახლა განვიხილოთ ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა სხვადასხვა ასაკის პირებზე ამ ქვეყნებში, რამდენადაც კრიზისის ზეგავლენა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლება.

**განვიხილოთ ახალგაზრდა (35 წლამდე) და საუკეთესო (საბაზისო) ასაკის (35–54 წლის ასაკობრივი შუალედი) მომუშავეების ჯგუფები**

ახალგაზრდა მომუშავეებზე (35 წლამდე ასაკის) ფინანსურმა კრიზისმა სუსტი ზეგავლენა მოახდინა, რადგან მათი საპენსიო დანაზოგი მცირე ზომის

იყო. მაგალითად, აშშ-ში 25–34 წლის მომუშავეების საბუღალტრო ბალანსები მათ კერძო საპენსიო გეგმებში გაიზარდა საშუალოდ 5%-ით (Employee Benefit Research Institute-ის მონაცემების მიხედვით). ეს მოხდა იმის გამო, რომ მათმა ახალმა კონტრიბუციებმა (შენატანებმა ფონდში) ვადაწონეს საინვესტიციო დანაკარგები (ზარალი). მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება დაზარალდნენ კიდევ შრომის ბაზარზე ეკონომიკური კრიზისის ზემოქმედების გამო, მათ კიდევ რჩებათ 30 ან მეტი წელი იმისათვის, რომ აინაზღაურონ საინვესტიციო დანაკარგები და ის ჩავარდნები, რაც შეიძლება პქონდეთ თავიანთ შენატანებში ასეთ შემთხვევაში.

ფინანსურმა კრიზისმა საბაზისო ასაკის (35–54 წლის შუალედი) მომუშავეების კერძო საპენსიო დანაზოგებზე (საპენსიო შენატანებსა და სხვა აქტივებზე) უფრო მეტი ზეგავლენა მოახდინა, ვიდრე ახალგაზრდა მომუშავეებზე. მაგალითად, 35–44 წლის მომუშავეების საბუღალტრო ბალანსები შემცირდა დაახლოებით 15%-ით. 45–54 ასაკის მქონეთაოვის დაცემა შეადგენდა დაახლოებით 18%-ს. ამის მიუხედავად, ამ ასაკის მომუშავეებს ჯერ კიდევ საქმაოდ დიდი დრო რჩებათ აქტივების სიდიდის აღსაფეხნად. თუმცა, აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათ უფრო მეტად ემუქრებათ სამუშაოს დაკარგვა ეკონომიკური დაცემის დროს, ვიდრე მათზე ახალგაზრდა ან მათზე ასაკოვან მომუშავეებს.

### პენსიონერები

პენსიონერებს, საზოგადოდ, კრიზისი არ ეხებათ. მათზე არა აქვს პირდაპირი ზეგავლენა ეკონომიკურ კრიზისს. პენსიონერთა უმეტესობა ასევე დაცულია ფინანსური კრიზისის კერძო პენსიებზე ზემოქმედების უარყოფითი ეფექტებიდანაც. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც კერძო პენსია არის მოხუცების შემოსავლის ძირითადი წყარო, გამოწვეული იმით, რომ პროფესიული გეგმები და ანუიტეტების გამცემი ინსტიტუტები აქტივებს განკარგავენ იმ პირობით, რომ შემდგომში გასცენ განსაზღვრული ზომის პენსიები. თუმცა, აქ არის გამონაკლისი შემთხვევებიც.

პირველი – ესაა ადამიანები, რომლებიც ექვემდებარებიან საპენსიო გეგმას ფიქსირებული შენატანებით. ამ სქემის მიხედვით პენსიები გაიცემა აკუმულირებული საპენსიო შენატანების სიდიდისა და საინვესტიციო უკუგების გათვალისწინებით. ბევრი პენსიონერი დაცულია კრიზისისაგან, რადგან ისინი პენსიაზე გასვლის შემდეგ იძენენ ანუიტეტების მიღების უფლებას, აფიქსირებენ ადრინდელ საინვესტიციო მოებებს და სიცოცხლის ბოლომდე სარგებლობენ პენსიების მიღების უფლებით.

მაგრამ ბევრი ადამიანი არ იძენს პენსიაზე გასვლის ანუიტეტს ან ამ ნაბიჯის გადასდებს გადასდებს დროში. ბევრ პენსიონერს აშშ-სა და ავსტრალიაში აქვს ბევრი აქტივი თავის პორტფელში და ამდენად, კრიზისის ზეგავლენით მათი დანაკარგები დიდი იყო. ანალოგიურად, სხვადასხვა ქვეყნებში იმ ადამიანებს, ვისაც ფინანსური აქტივები შენახული აქვთ საპენსიო სქემის გარეთ, კრიზისის გამო შესაძლოა პქონდეთ დიდი მოცულობის დანაკარგები, იმის გათვალისწინებით, თუ რაში პქონდათ მათ ფული ინვესტირებული. მაგალითად, ზოგიერთ ადამიანს ფული ინვესტირებული პქონდა ბინებში, რათა ესარგებლათ ამ ინვესტიციებით მოხუცებულობის დროს. კრიზისმა მათი კათილდღეობის დონე ბინის ფასების მნიშვნელოვანი დაცემის გამო მნიშვნელოვნად შეამცირა. ასევე, პენსიონერებზე კრიზისის უარყოფითი ზემოქმედება ძლიერია იმ ქვეყნებში, სადაც კერძო პენსიები არის ავტომატური შესწორებების სუბიექტი (დაკავშირებული საპენსიო სქემების დაფინანსებასთან).

## საპენსიო ასაკთან ახლოს მყოფი მომუშავეების ჯგუფი

მომუშავეები, რომლებიც ახლოს არიან საპენსიო ასაკთან, არიან ადამიანები, რომლებზეც ყველაზე მწვავედ იმოქმედა როგორც ეკონომიკურმა, ასევე საფინანსო კრიზისმა. ეს ადამიანები არიან მათ შორის, ვინც ეკონომიკის დაცემის დროს პირველ რიგში კარგავენ სამუშაოს, და იმათ შორისაც, ვისაც ემუქრებათ გრძელვადიანი უმუშევრობა. უმუშევრობის ხანგრძლივება პერიოდმა ან ეკონომიკური კრიზისის გამო პენსიაზე ნააღრევად გასვლამ, შესაძლოა ხანგრძლივი დროით შეამციროს მათი შემოსავლები და ამან გამოიწვიოს კონტრიბუციების ისტორიის დაუსრულებლობა.

ასევე, ფინანსური კრიზისის შემდეგ ამ ასაკის ადამიანებს არ აქვთ საქმარისი დრო, რათა დაელოდნონ ფინანსური ბაზრების კრიზისიდან გამოსვლას, კერძო პენსიები დანაკარგების აღმოფხვრასა და ასევე, სხვა სახის დანახოვების მოცულობის აღდგენას. პენსიაზე გასვლის გადადებაც კი, მათ მხელოდ იმის საშუალებას მისცემთ, რომ აღადგინონ თავიანთი ზარალის (დანაკარგების) მხელოდ ნაწილი.

ფინანსური კრიზისის ზემოქმედების ზომა (მასშტაბი) პენსიების სიდიდეზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რაში არის განხორციელებული აქტივების ინვესტირება. ზოგიერთი ასაკოვანი მომუშავე, რაც უფრო უახლოვდება პენსიაზე გასვლის ასაკს, თავისი ინვესტიციების გადაადგილებას ახდენს დაბალრისკოანი აქტივებისაკენ. მაგრამ უმეტესობა ამას არ აკეთებს. მაგალითად, აშშ-ში 55–65 წლის ასაკის ადამიანების დახლოებით 45% თავიანთ კერძო საპენსიო აქტივებს ფლობენ აქციების სახით. შედარებისათვის, 55 წლის ქვემოთ ადამიანებისათვის ეს მაჩვენებელი 50%-ზე თანავ ნაკლებია. ავსტრალიაში კი ეს მაჩვენებელი 60%-ის ფარგლებშია.

ფინანსურ კრიზისს პირდაპირი ზეგავლენა გააჩნია იმ ადამიანებზე, რომლებიც იღებენ პენსიებს წინასწარ განსაზღვრული საკონტრიბუციო გეგმის მიხედვით (defined contribution pension plans). ისლანდიაში, ნიდერლანდებსა და შევეიცარიაში პენსიები არის ფიქსირებული გასაცემლებით და (Defined benefit pension plans) პენსიების სიდიდე დამოკიდებულია ინდივიდების შემოსავლების სიდიდესა და საპენსიო სქემით დაფარული წლების რაოდენობაზე.

კანადაში, ირლანდიაში, შვეციაში, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში კერძო პენსიები ტრადიციულად გასაცემლებით იყო ფიქსირებული. თუმცა, ყველა ამ ქვეყანაში მოხდა გადასვლა საკონტრიბუციო გეგმის მიხედვით პენსიების გაცემაზე, მაგრამ, სხვადასხვა მასშტაბებით. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნებში უმეტესი ნაწილი ასაკოვანი მომუშავეებისა პენსიებს ისევ ძველი სქემების მიხედვით იღებს. თეორიულად, პენსიები ამ სქემებში განისაზღვრება დადგენილი წესებით და გადახდილი უნდა იქნეს საპენსიო ფონდის მდგომარეობის მიუხედავად. მიუხედავად ამისა, რეალურად, საინვესტიციო დანაკარგები ამ ფონდებზე მძიმედ აისახა. აქ განმსაზღვრელი არის თანაფარდობა აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, რათა დაფარულ იქნას მიმდინარე და მომავალი ვალდებულებები.

თუ კრიზისამდე ეს თანაფარდობა გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში იყო 110–120%, კრიზისის შემდეგ ეს კოეფიციენტი დაეცა დაახლოებით 75%–მდე. ეს კოეფიციენტები ასევე შემცირდა ბელგიაში, ფინეთში, შვეიცარიაში, მაგრამ ის მაინც 100%–ზე მაღალი დარჩა.

კრიზისის გამო ყველგან დაჩქარდა გადასვლა Defined benefit სქემიდან defined contribution სქემაზე. უკვე არა მარტო ახალგაზრდა მომუშავეებისათვის, არამედ ასაკოვანი ხალხისათვისაც.

## ავტომატური სტაბილიზატორები

ბევრი სახელმწიფო საპენსიო პროგრამა ერთსა და იმავე სიდიდის პენსიას იხდის, იმის მიუხედავად, თუ როგორია კერძო პენსიების სიდიდე, მაგრამ არის სხვა მიღებისად, ავსტრალიასა და დანიაში ახლანდელი პენსიონერების უმცირესობა (65% და 75% შესაბამისად) იღებს რესურსით ტესტირებულ პენსიებს. ეს პენსიები იზრდება, თუ კერძო პენსიების ნაწილის შემცირების გამო მცირდება საპენსიო შემოსავლები. კერძოდ, ავსტრალიაში კერძო საპენსიო შემოსავლის 1 დოლარით შემცირება ბევრი პენსიონერისათვის დღეს ნიშნავს 60 ცენტით მეტ სახელმწიფო პენსიის მიღებას. მოხუცებულების დიდი ნაწილი – 20-35% – იღებს ცხოვრების მინიმალური დონით განსაზღვრულ პენსიებს ასევე კანადაში, ირლანდიასა და გაერთიანებულ სამეფოშიც.

ეს პროგრამები მოქმედებენ როგორც ავტომატური სტაბილიზატორები, რაც ნიშნავს, რომ პენსიონერებისა ზოგიერთი ან უმცირესი ნაწილი, სრულად არ გრძნობს თავიანთი მოხუცებულობის შემოსავლებზე საფინანსო კრიზისის ტვირთს.

საგადასახადო სისტემა ასევე, მუშაობს, როგორც ავტომატური სტაბილიზატორი: როგორც კი კერძო პენსიები და სხვა დანაზოგები იძლევა უფრო მცირე ზომის შემოსავლებს, მცირდება გადასახადი და შესაბამისად წმინდა პენსიებზი კლებაც უფრო ნაკლები სიდიდისაა, ვიდრე აქტივების დირებულების დაცემა. იმ ქვეყნებს შორის, სადაც კერძო საპენსიო დანაზოგები არის მოხუცებულობის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი და გადასახადები არის როგორც მნიშვნელოვანი ავტომატური სტაბილიზატორი, აღსანიშნავია: დანია, ნორვეგია, შვეცია. ასევე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: ავსტრალია, კანადა, ირლანდია, გაერთიანებული სამეფო და აშშ, პენსიონერთა მხოლოდ მცირე ნაწილი იხდის გადასახადებს, ასე რომ, ამ ქვეყნებში სტაბილიზაციის ეფექტი ლიმიტირებულია მდიდარი პენსიონერებით.

### საპენსიო პოლიტიკის შემუშავება კრიზისის პირობებში

საპენსიო სისტემებში კრიზისმა რიგი ცვლილებების გამოიწვია. ზოგიერთი მათგანი შემუშავდა იმისათვის, რომ მომხდარიყო პენსიების გაცემაში წარმოქმნილი სტრუქტურული პრობლემების მოგვარება, რომლებიც გამოიკვეთა და გადრმავდა კრიზისის გამო.

მაგრამ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გამოვყოფთ მყისიერ ნაბიჯებს. ზოგიერთმა ქვეყანამ ჩართო მოხუცებისათვის დახმარების ერთჯერადად გასაცემლების დონისძიება. დახმარების თანხები მერყეობს საბერძნეთის შემთხვევაში – 140-180 დოლარიდან, 1000 დოლარამდე ავსტრალიაში. დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მა ასევე გასცეს ერთჯერადი გასაცემლები. ამ და სხვა ქვეყნებმა ასევე განახორციელეს გრძელვადიანი ცვლილებები მოხუცებულების შემოსავლებში, რომლებიც მიმართულია უმწეო მოხუცებისაკენ. ყველაზე დიდი ცვლილება განახორციელა ფინეთმა. ამ ქვეყანაში 2011 წლიდან მოხუცებულობის პენსიები გაიზარდა 23%-ით. ავსტრალიაში გამოცხადდა მინიმალური საპენსიო შემოსავალის ზრდა 23 %-ით, ხოლო ესპანეთში – 6%-ით, ინდექსაციის უკვე არსებულ წესებთან ერთად. ბელგიამ, საფრანგეთმა, კორეამ და გაერთიანებულმა სამეფომ ასევე, მსგავსი პოლიტიკები შეიმუშავეს.

OECD-ის ქვეყნებიდან, ავსტრალია და კორეა ხასიათდება სიდარიბეში მცხოვრები მოხუცებულების ყველაზე მაღალი წილით. მოხუცების სიდარიბის დონე საშუალოზე მაღალია ესპანეთშიც. სიდარიბის დაძლევის დონისძიებები-

დან უმეტესობა მიმართულია არსებული სოციალური პრობლემების მოგვარებისაკენ. თუმცა, ზოგიერთი მათგანი, რომელიც მიმართულია პენსიონერებზე, არ არის მიმართული იმ ადამიანებზე, რომელთა ასაკი ახლოსაა პენსიაზე გასვლის ასაკთან, ანუ ადამიანთა იმ ჯგუფისაკენ, რომლებზეც კრიზისი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს.

ბევრ ქვეყანაში მოხუცებულების დაცვა არის ზრუნვის ერთ-ერთი მთავარი საგანი. კრიზისის ზეგავლენით დაბალშემოსავლიანი პენსიონერების დაცვა (პენსიის წილი ეკონომიკაში საშუალო შემოსავლების მიმართ) ქვეყნების მიხედვით ხასიათდება შემდგენი მონაცემებით: დანია – 62%, ისლანდია – 54,2%, ლუქსემბურგი – 49,7%, საბერძნეთი – 47,9%, ნიდერლანდები – 46,7%, თურქეთი – 43,5%, ესპანეთი – 40,5%, აგსტრია – 40,1%, ჩეხეთის რესპუბლიკა – 3 9,6%, ახალი ზელანდია – 38,8%, უნგრეთი – 38,5%, შვეცია – 38,3%, კანადა – 38,3, ირლანდია – 34,2%, იტალია – 34%, ავსტრალია – 33,5%, ფინეთი – 33,3%, ნორვეგია – 33,1%, კორეა – 32,1%, შვეიცარია – 31,3%, საფრანგეთი – 30,9%, პოლონეთი – 30,6%, ბელგია – 29,1%, სლოვაკეთის რესპუბლიკა – 28,2%, მექსიკა – 27,7%, პორტუგალია – 27,4%, გაერთიანებული სამეფო – 25,5%, აშშ – 25,2%, იაპონია – 23,6%, ერმანია – 21,5%. მაშასადამე, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, იაპონია და აშშ, სრული კარიერის მქონე დაბალშემოსავლიან მომუშავებს (პენსიონერებს, რომელთაც აქვთ ქვეყანაში საშუალო შემოსავლების ნაკლებობის გამარტინი ნაკლები) ეჭიბათ საშუალო შემოსავლების 25%-ის ფარგლებში მოთავსებული ან მასზე უფრო დაბალი პენსია. კრიზისის დროს, როდესაც ადგილი აქვს პენსიაზე ადრეულ გასვლას ან გრძელვადიან უმუშევრობას, მომუშავე დაბალანაზღაურებად ადამიანები იმუფლებიან მოხუცებულობის დროს ძალიან დაბალი პენსიის მიღების მაღალი რისკის ქვეშ.

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს შესაძლებლობები, რათა შესუსტდეს ეკონომიკური დაცემით გამოწვეული უარყოფითი შედეგები. მაგალითად, ადამიანებს დანიასა და ისლანდიაში აქვთ შესაძლებლობა თავიანთი საპენსიო დანახოვებიდან უფრო ადრე აიღონ გარკვეული თანხა. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ამ ადამიანებს შესაძლოა ფინანსური სიძნელეები გაუჩნდეთ მაშინ, როცა ისინი გავლენა პენსიაზე. თუმცა, ამ ორ ქვეყანაში ეს ნაკლებადაა მოსალოდნელი, რადგან ხელმისაწვდომობა შესაძლებელია მხოლოდ იმ დანაზოგებზე, რომელიც გაცილებით მაღალია იმ დონეზე, რაც საჭიროა კომფორტული მოხუცებულობის უზრუნველყოფისათვის.

ავსტრალიაში მხოლოდ მცირე რაოდენობის ადამიანები იყენებენ დანახოვებს, ისიც მხოლოდ მიმდე სიტუაციების შემთხვევაში. მაგალითად, როცა საჭიროა იპოთეკური სესხების საფუძველზე შეძენილი სახლების შენარჩუნება. ასევე, აშშ-ში მომუშავეებს აქვთ უფლება თავიანთი კერძო პენსიებიდან აიღონ სესხები გრძელვადიანი პერიოდით. ეს ძირითადად გადაიხდება პროცენტით, სხვა შემთხვევაში მათ მოუწევთ საგადასახადო ჯარიმის გადახდა. ამ პოლიტიკების ეფექტურობა შემოიფარგლება მხოლოდ გარკვეული რაოდენობის პენსიონერებით, რადგან ნაკლებადა მოსალოდნელი, რომ, ის ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ საკმარისზე მეტი ფინანსური დანაზოგი, კრიზისის დროს ჩავარდნენ მდიმე ფინანსურ სიძნელეებში. საჭიროა სიფრთხილე, რათა ადამიანებმა არაგონივრულად, ნაადრევად არ დახარჯონ თავიანთი საპენსიო დანაზოგები, თუმცა, საპენსიო დანაზოგების ადრეული გამოყენება არ უნდა იქნეს მოლიანად ამოდებული ეკონომიკური პოლიტიკის მენიუდან.

## საპენსიო ანგარიშების დაცვა

უნდა უშეველოს თუ არა მთავრობამ ინდივიდების საპენსიო ანგარიშებს იმავე ზომით, რა ზომითაც ისინი შევლას ითხოვენ? ამაზე ცალსახა პასუხი არ სებობს.

მაგალითად, Defined benefit გეგმები დაფარულია პენსიების დაცვის ფონდით გაერთიანებულ სამეცნიერო და პენსიების გარანტიების კორპორაციით აშშ-ში. ეს პროგრამები ფინანსდება პროფესიული გეგმებით მობილიზებული შენატანებიდან, მაგრამ მთავრობა მოქმედებს, როგორც ფარული (ირიბი) გარანტიორი.

defined contribution სქემების პირობებში, სახელმწიფო ინტერვენცია შემოფარგლება მხოლოდ საპენსიო შემოსავლების სქემის ჩამოყალიბებით. ის სუსტია იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია სახელმწიფო პენსიების სქემით დაფარვა და სადაც ადამიანებს გააჩნიათ საინვესტიციო არჩევანი. ამის საპირისპიროდ, მთავრობებს აქვთ დახმარების გაწევის მორალური და ასევე კანომდებლობით დაგენილი მოვალეობა იმ შემთხვევებში, როდესაც defined contribution პენსიები არის სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი და სადაც პენსიაზე გასვლის შემდეგ ანუიტეტების გაცემა არის სავალდებულო.

პირდაპირი დახმარება – ფულის გადახდა ადამიანების საპენსიო ანგარიშებზე-შეიძლება იქნოს ძალიან დიდ დანახარჯებთან დაკავშირებული და სახელმწიფო ფინანსები, როგორც ცნობილია, არის შემოსაზღვრული. აქ გვაქვს ასევე მორალური ზიანის რისკიც: თუ არის მოლოდინი იმისა, რომ ანაზღაურდება ზარალი, ეს წახალისებს ადამიანებს ინვესტირება მოახდინონ უფრო რისკიან პროექტებში. ამ მიზეზების გამო, საინვესტიციო უკუგებებზე ad-hoc გარანტიები და დანაკარგებზე კომპენსაციები თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

ეკონომიკური სინელექტიდან გამოსვლისათვის დახმარება აზრს იქნს იმ ადამიანებისათვის, ვინც ახლოსაა საპენსიო ასაკთან. მაგრამ ეს პოლიტიკურ სინელექტს წარმოშობს, რადგან ამ შემთხვევაში ახალგაზრდა მომუშავეები მოტყუებულნი რჩებიან. ანალოგიურად, პენსიონერები, რომლებმაც თავიანთი დანაზოგები განათვალისწინებიან ფასიან ქადალდებში, გამოხატავენ საჩივარს იმ შემთხვევაში, თუ მათი ასაკის სხვა ადამიანები, ვინც თავიანთ ფულს ინახავენ ფინანსურ ბაზრებზე, კომპენსირებული იქნებიან სახელმწიფოს მიერ.

ერთადერთი მაგალითი, სადაც დანაკარგების სრული ანაზღაურება ხდება, არის ისრაელი. ამის მიუხედავად, ამ სქემით დახმარებების მოცულობა ძალიან ლიმიტირებულია (ფარავს მხოლოდ 2008 წლის შემდგომი პერიოდის დანაკარგებს) და ასევე, დანახარჯების დაფარვა განაწილებულია 13 წლიან პერიოდზე.

თანასწორობისა და ფისკალური დანახარჯების მიზეზების გათვალისწინებით მთავრობები უნდა დაეყრდნონ სახელმწიფო საპენსიო სქემებს, რათა დარწმუნდნენ იმაში, რომ საინვესტიციო დანაკარგები ანაზღაურდება სიღარისეში მყოფი პენსიონერებისათვის. კომპენსაციების გადახდა სახელმწიფო პენსიის სახით გაანაწილებს დანახარჯებს ამ სქემაში ჩართული ადამიანების მიმართ, შეამცირებს პოლიტიკურ დაბაბულობას და ასევე, შეამცირებს მორალურ ზიანს.

## ინვესტიციები და რისკები

პენსიები არის გრძელვადიანი ინვესტიციები და ძალიან არაშორსმჭვრეტებური იქნებოდა გადაწყვეტილების დაფუძნება მხოლოდ ბოლო-2008-2009 წლებზე, როდესაც საფონდო ბირჟებმა დაკარგეს ფასიანი ქადაღდების დირგბულების დაახლოებით ნახევარი, თუმცა უნდა შევხიშნოთ, რომ სახელმწიფო ობლიგაციებმა აჩვენეს დადგებითი უკუგება.

OECD-ს ქვეყნების მიხედვით აქციებისა და ობლიგაციების უკუგებების ანალიზმა 45 წლიანი დროით პერიოდისათვის აჩვენა, რომ ამ დროით პერიოდში უკუგებები თანაბარ დროით პერიოდებში იყო მედიანურ მნიშვნელობაზე დაბლა და მაღლა. დაბალანსებული პორტფელის შემთხვევაში (როცა ნახევარი მოდის აქციებზე და ნახევარი-ობლიგაციებზე) მედიანური უკუგება არის 7.3% (ინფლაციის ზემოთ). ის უფრო მაღალია აქციებისათვის -8.9% და დაბალი ობლიგაციებისთვის - 5.2%. სხვადასხვა წლებში სხვადასხვა შედეგები იყო და უპუბებები მერყეობდა წელიწადში 5.5%-დან 10%-მდე. დროის განხილულ პერიოდში 10 %-ის შემთხვევაში ის აღმატებოდა 9%-ს. აქციები იძლეოდა უფრო მაღალ უკუგებას, რაც მაღალი რისკის ფასად ხდებოდა. სასურველია, რომ საპენსიო ასაკთან ახლოს მყოფი ადამიანების საპენსიო დანახობების დიდი ნაწილი ჩადებული იყოს დაბალრისკიან ინვესტიციებში. თუმცა, არსებობს სტრატეგია, რომელსაც შეუძლია შეამციროს რისკი, უკუგების გარისკის გარეშეც კერძოდ, ცხოვრების ციკლის შესაბამისი ინვესტირება მოიცავს უფრო მდალრისკიანი აქტივებიდან (როგორიცაა აქციები) გადაადგილებას დაბალრისკიან აქტივებზე – როგორიცაა დეპოზიტები და სახელმწიფო ობლიგაციები და როგორც კი ადამიანები უახლოვდებიან საპენსიო ასაკს, სახელმწიფომ, როგორც მინიჭები, უნდა წაახალისოს ეს ადამიანები, რათა მათ სწორედ ეს სტრატეგია აირჩიონ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Edward Whitehouse, Anna D'Addio and Andrew Reilly (2009), “Inveestment risk and pensions: Impact on individual retirement incomes and government budgets” OESD Social, Employment And Migration working Papers # 87
2. Pension Systems. Sustainability and Distribution Effects in Germany and United Kingdom. Birgit Mattil.2006. Physica-Verlag Heideberg.
3. Antolin, P. and E.R. Whitehouse (2008), “Filling the pension gap:Coverage and value of voluntary retirement saving”, Social, Employment and Migration W/P, # 69, OECD.
4. Bikker,J. and P. Vlaar (2006), “conditional Indexation in defined Benefit Pension Plans”, W/P # 86, Central bank of the Netherlands, Amsterdam.
5. OECD(2009), Pensions at a Glance: Retirement –Income systems in OECD Countries, Paris.
6. OECD(2009), Private pension outlook, Paris.
7. Stewart, f. (2007), “benefit Security Pension fund Guarantee Schemes”, W/P on Insurance and Private Pensions”# 5, OECD Paris.
8. Whitehouse, E.R. Pensions, “Purchasing Power Risk, Inflation, and Indexation”, Social, Employment and Migration W/P, # 77, OECD.
9. Sweeting, P. (2006) “Correlation and the pension protection fund”, Fiscal Studies, vol. 27, # 2. pp. 157-182.

*Marina Muchiashvili  
Academical Doctor of Economics, Professor*

**IMPACT OF ECONOMIC CRISES ON PENSION SYSTEMS: EXPERIENCE  
OF OECD COUNTRIES**

**Summary**

The current financial and economic crisis has highlighted the importance of investment risk for pension systems. The dramatic spread of defined-contribution pension provision around the world shows that investment risk has direct effect on living standards in old age. This paper explores how uncertainty over investment returns affects individuals' retirement income and State budgets. Analysis show that public pensions, and the tax system act as "automatic stabilizers" of retirement incomes in the face of investment risk in defined contribution pension plans. However, the degree of protection offered by these policies varies significantly between countries. Analysis Show that it is impossible to make Investment risks go away: it is only possible to reallocate the risk between private and public sectors in the pension system.

Study of the experience of the OECD countries will help Georgian government in the preparation and implementation future pension reforms in the country.

## მაკროეკონომიკა

**სოლომონ პავლიაშვილი  
სტუ სრული პროფესორი  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი**

### 06 ფინანსი და თანამედროვე ეკონომიკური თეორიები

მიმდინარე მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი და გლობალიზაციის პროცესი ძირებული ცვლის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს. დღეს წინა პლანზე გამოდის ცოდნა, ინფორმაცია, მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის ხარისხი, თანამედროვე მენეჯმენტი და კრეატიული წინადაღებების რეალიზაცია. თანამედროვე ეტაპზე ძალზე მნიშვნელოვანია გრძელვადიანი სტრატეგიის სწორად შემუშავება. ამის საფუძველზე პროგნოზებისა და ლინისძიებათა ნუსხის სწორად განსაზღვრა. სხვანაირად საქართველო ვერ უზრუნველყოფს მსოფლიოს კონკურენტურიან გარემოში თავისი ადგილის დაკავებას და ჩამორჩენილობის დაძლევას.

საქართველოსთვის „კარგი მაგალითი“ იყო გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული ტრანსფორმაციული კრიზისი, ასევე კარგად გვახსოვს 1997-1998 წლებში რუსეთში განვითარებული მოვლენები, როგორ მტკიცნეულად აისახა საქართველოს ეკონომიკაზე. თითქმის ანალიტიურ მდგრმარეობაში აღმოვჩნდით მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე და 2008 წელს განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად. ამ მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე გადასვლის გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელება. ქვეყანამ უნდა მიაღწიოს ეკონომიკური განვითარების ისეთ ზღვრულ პარამეტრებს, რომელიც ძლიერ განვითარებული ქვეყნების ჯგუფში გადასვლის საშუალებას მისცემს. “ამ პირობებში, როდესაც ბაზარი აღიარებულია საზოგადოებრივი განვითარების მთავარ მამოძრავებელ მექანიზმად, სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე დამოკიდებულია მის გლობალურ კონკურენტურიანობაზე... მსოფლიო ბაზარზე საქართველო სეგმენტის დამკვიდრებისა და გაფართოებისათვის”<sup>1</sup>.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოების მზად ყოფნა მოსალოდნელი ეკონომიკური პრობლემების თავიდან ასაცილებლად. დასამალი არ არის, რომ ზოგჯერ ამ ეკონომიკურ „ჩავარდნებს“ აქვს არა მარტო ლოკალური ხასიათი, არა მედ გლობალური ხასიათის მატარებელია. თავისთავად გასაგებია, რომ როდესაც მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე გასუბრობთ, მას უდავოდ გლობალური ხასიათი აქვს და მისი გავრცელების ძირითადი პრინციპი არის – ე.წ „დომინოს პრინციპი“, თუმცა მსოფლიოში იყო შემთხვევები, როდესაც კრიზისს ჰქონდა უფრო ლოკალური ხასიათი, მაგალითად, იაპონიის, კორეის, ახლო აღმოსავლეთ ქვეყნების კრიზისი და სხვა, რომლებმაც გავრცელება ვერ ჰპოვეს რეგიონის მიღმა.

დღეს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანაა, ამიტომ აუცილებელია მდგრადი და უსაფრთხო განვითარების გრძელვადიანი პრო-

<sup>1</sup> ი. მესხია. საქართველოს გლობალური კონკურენტურიანობის თანამედროვე პრობლემები. ურნალი სოციალური ეკონომიკა, №2, გვ.10 2011წ.

გრამის, როგორც მომავალში სახელმწიფო სტრატეგიისა და პოლიტიკის განმსზაღვრელი დოკუმენტის, შემუშავება და განოხოციელება<sup>2</sup>.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული იმის დასტურია, რომ თუ ქვეყანას არ გააჩნია კარგად დამუშავებული, ყოვლის მომცველი, შესაბამისი „მესამრიდების“ შემცველი გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია, მაშინ პატარა წინააღმდეგობების შემთხვევაშიც კი, სახელმწიფო შესაძლოა საერთოდ ჩამოიშალოს. ისმის კითხვა: მაინც რა არის ყველაზე მთავარი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი და სტაბილური განვითარებისათვის?

პირველ რიგში მთავარია ქვეყანას გააჩნდეს ეკონომიკის განვითარების სწორი მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური სტრატეგია, რომლებიც დაბალანსებულები უნდა იყვნენ ყველა დონეზე და შესაბამისობაში იყვნენ ერთმანეთან ერთიანი სინერგიული ეფექტის მისაღებად. ეროვნული ეკონომიკის მასშტაბებში ბიზნესის მაკრო გარემო სამუშარებრივ სუბიექტის საქმიანობაზე ირიბ, მაგრამ არსებით ზეგავლენას ახდენს. ის მოიცავს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, ბაზრის ინსტიტუტებს, სამცხიერო ტექნიკურ პროგრესს, პოლიტიკურ და საერთაშორისო ფაქტორებს<sup>3</sup>.

საქართველოში 90-იანი წლების და შემდგომი კრიზისები ნათელი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ უარყოფითად ზემოქმედებს ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური ინტერესების, პოლიტიკის შეუთავსებლობა. მაკროეკონომიკა ქმნის ეკონომიკურ გარემოს მიკროეკონომიკის ფუნქციონირებისათვის, ხოლო მიკროეკონომიკაში მარკეტინგული კავშირები ქმნის გარემოს მაკროეკონომიკასთან ერთად მთელი ეროვნული მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის<sup>4</sup>. ამ ორი დონის, მაკროეკონომიკის და მიკროეკონომიკის შეთავსებადობა, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში, მათი მიზნებისა და ამოცანების სწორად შერჩევა, ინფლაციის დაუშვებლობა ეკონომიკის ხანგრძლივი მდგრადი განვითარების საფუძველია. მნიშვნელოვანია თითოეული დონის მართვის სწორად განხორციელება.

საქართველოსთვის უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას და განხორციელებას, რომელიც ეკონომიკის მდგრადი განვითარების საშუალებას მოგვცემს, რომლის საბოლოო მიზანიც არის ადგენილი და სიცოცხლისუნარიანი ქართული ეკონომიკის შექმნა.

მოცემულ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ თანამედროვე ეკონომიკური თეორიების შეხედულებებს ინფლაციასთან დაკავშირებით, გავაანალიზებთ ინფლაციას, როგორც ეკონომიკის მდგრადი განვითარების აუცილებელ მაკროეკონომიკურ პირობას. “როგორც ცნობილია, ზომიერი ინფლაცია ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, რადგან მეწარმე დაინტერესებულია, რაც შეიძლება სწრაფად დაასრულოს წარმოებრივი ციკლი, რომ დროზე მიიღოს მოგება და მისი ნაწილი კვლავ ჩადოს წარმოებაში, რათა ამონაგები ინფლაციაში არ გააუფასეროს”<sup>5</sup>. საბაზრო ეკონომიკას აქვს ზრდის უნარი, მაგრამ ხელისუფლება ზოგჯერ ინფლაციის შიშით ახორციელებს ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც შეუძლებელს ხდის ზრდას. უფრო ხშირად კი მთავრობა აკეთებს საპირისპირ შეცდომას: იგი ჭარბი მასტიმულირებელი პოლიტიკით იწვევს უფრო მაღალი ზრდის ტემპებს, ვიდრე საჭიროა წარმოების რეალური მოცულობის ბუნებრივი ზრდისთვის. როგორც წესი, ამის შედეგია ეკონომიკური ზრდა ინფლაციის

<sup>2</sup> ა. აბრალავა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბილისი, 2005წ. გვ. 303

<sup>3</sup> თ. შენგელია. ბიზნესის აღმინისტრირების საფუძვლები. თბილისი, 2008 წ. გვ. 57

<sup>4</sup> ს. პაგლიაშვილი. წარმოების ეფექტიანობის მართვის კომპლექსური სისტემა. თბილისი, 1998 წ. გვ. 33

<sup>5</sup> ვლ. პაპაგა. არატრადიციული ეკონომიკი. თბილისი, 2011, გვ. 262

თანხლებით. ეს არის ინფლაცია, გამოწვეული ერთობლივი მოთხოვნის სიჭარბით. ასეთი ზრდის ანალიზიდან გამომდინარებს შემდეგი დასავნები ეკონომიკური პოლიტიკისთვის: მოკლევადიან პერიოდში ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ წარმოების რეალური მოცულობის ბუნებრივი ზრდის ტემპას, შეუძლია დააჩქროს წარმოების რეალური ზრდის ტემპი და შეამციროს უმუშევრობის დონე. ამ ეფექტის მიღწევა ხდება ზომიერი ინფლაციის ფასად, რომელიც გამოწვეულია მოთხოვნით, მაგრამ მომდევნო პერიოდში ამ თავდაპირველი დაგებითი შედეგის შემდეგ მდგომარეობა იცვლება. ფირმები და მომუშავეები მოელიან ფასების შემდგომ ზრდას მზა პროდუქციაზე და იყენებენ წარმოების სულ უფრო მეტ ფაქტორს. მაშასადამე, ერთობლივი მოთხოვნა უნდა გაიზარდოს სულ უფრო სწრაფად უფრო იმისთვის, რომ შეაფეროს წარმოების რეალური მოცულობის შემცირება მის ბუნებრივ დონეზე და უმუშევრობის ნორმის გადიდება მის ბუნებრივ ნორმაზე. ამიტომ ჩქარდება ინფლაციის ტემპი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ერთობლივი მოთხოვნის უფრო სწრაფი ზრდა, ხოლო წარმოების რეალური მოცულობის ზრდის ტემპის მცირდება. “ამგვარად, ინფლაციურ ზრდას თავისი მაღალი დასაქმებით გრძელვადიან პერიოდში აუცილებლად მოჰყვება წარმოების ზრდის ტემპების შემცირება და უმუშევრობის ზრდა. ამდენად იგი ეფექტიანობის ზრდის შემაფერხებელ ფაქტორად გადაიქცევა. აქ მოტანილი ტენდენციები და მეტანიზმები დადასტურებულია უკანასკნელ ათწლეულებში დასავლეთის განვითარებული ქვეყნების სინამდვილით”<sup>6</sup>.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მაკროეკონომიკური მართვის ძირითადი მიზნები უნდა იყოს: საბიუჯეტო-საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სწორად განსაზღვრა; ინფლაციის დაძლევა-შემცირება, მისი ერთნიშნა ციფრამდე დაწვანა; ბიუჯეტის დეფიციტის მინიმიზაცია (2-5%-მდე); ინგესტიციური აქტიობისა და სტრუქტურული გარდაქმნების რეგულირება. სამომსმარებლო საქონლის და მომსახურების წინგამსწრები წარმოება; ეროვნული ვალუტის კურსის მდგრადობის უზრუნველყოფა; საგადამხდელო ბალანსის წონასწორობის მიღწევა, ამ მიზნით იმპორტ ჩანაცვლებადი პროდუქციის წარმოებისადმი სახელმწიფოს მაქსიმალური მხარდაჭერა.

უველავე დიდი და მნიშვნელოვანი პრობლემა ეკონომიკის სტაბილური, მდგრადი განვითარებისათვის არის სწორედ ის ინფლაციური პროცესები, რომელიც საქართველოშიც გამოიკვეთა. საშუალოვადიან პერიოდში მაკროეკონომიკურ პოლიტიკას გააჩნია სამი ძირითადი მიზანი, ესნია: ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, ინფლაციის დაბალი დონის მიღწევა და ადგილობრივი და უცხოური ინგესტიციების ზრდა<sup>7</sup>. დასამალი არ არის, რომ მაღალი ინფლაცია ხელს შეუშლის ინგესტიციების მოზიდვას ქვეანაში, რადგან იგი ხელს უშლის ინგესტიციების უფასების ამაღლებას და საინვესტიციო კლიმატს აუარესებს. “ინფლაციის ტემპების ზრდა უცხოელი პარტნიორების თვალში, ძალზე დიდი ალბათობით, აღქმული იქნება, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის კურსიდან გადახვევა, რაც, თავის მხრივ, უცხოური ინგესტიციების მოზიდვას კვლავ გადაავადებს”<sup>8</sup>.

დღესდღეობით მსოფლიოს წინაშე დგას პრობლემა, თუ როგორ ებროლოს ინფლაციას. ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ,

<sup>6</sup> ქ. დოლანი. მაკროეკონომიკა. სანკტ-პეტერბურგი, 1994წ. გვ. 277-378

<sup>7</sup> ი. მესხია, კახაბერ გაბეჭდაშვილი. „საქართველოს საბიუჯეტო სისტემა“. თბილისი, 2010წ. გვ. 170

<sup>8</sup> გლ. პაპაგა. არატრადიციული ეკონომიკი. თბილისი, 2011, გვ. 266

ბრძოლის მეთოდები თეორიების მიხედვით რადიკალურად განსხვავებულია და ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი.

მაკროეკონომიკური თეორიის ფუძემდებელი ჯ.მ.კეინის, რომლის “ზოგადი თეორიის” გამოყენებამ გასული საუცუნის 30-50-იან წლებში წინა პლანზე წამოსწია მაკროეკონომიკური კვლევა, კერძოდ, დინამიკური წონასწორობისა და მდგრადობის პრობლემა, როგორც კეინსური თეორია, იხილავდა რა ფასებსა და ინფლაციას, ფასებს მუდმივ სიდიდედ მიიჩნევდა, მიუთითებდა, რომ ეკონომიკა რეაგირებს ფულზე, მოთხოვნის ცვლილებაზე, წარმოებისა და დასაქმების ზრდით ან შემცირებით, და არა ფასების ზრდით ან შემცირებით. თუმცა, ამავე დროს, კეინისი თვლიდა, რომ გრძელვადიან ასპექტში აღინიშნება ფასების ზრდის ტენდენცია, რაც, მისი აზრით, გამოწვეულია ხელფასის ერთეულის უფრო სწრაფი ზრდით წარმოების ეფექტიანობის ზრდასთან შედარებით. მან საფუძველი ჩაუყარა დანახარჯების ინფლაციის თეორიას, რაც დაკავშირებულია ხელფასის ზრდასთან მანმადე, სანამ მიღწეული იქნება სრული დასაქმება.

კეინისმა ფაქტიურად აღიარა, რომ არ არსებობს სრულყოფილი კონკურენციის პირობები და მისთვის დამახასიათებელი წონასწორობის პირობები, კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელია ციკლური განვითარება კრიზისებითა და აღმავლობის ფაზით, არასრული დასაქმება. დაასაბუთა, რომ სახელმწიფოს ჩარეგა ეკონომიკაში, მთავრობის ფუნქციების გაფართოება ერთადერთი საშუალებაა არსებული ეკონომიკური კრიზისების თავიდან ასაცილებლად და საბაზრო ეკონომიკის წარმატებით ფუნქციონირებისათვის. იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა კრიზისიდან გამოსვლის აბსოლიტურად არაეფექტური საშუალებაა, მისი დასკვნით კრიზისის დაძლევისათვის მთავრია რწმენის დაბრუნება მეწარმეთათვის ინვესტიციების განსახორციელებლად, რაც შეიძლება მიღწეული იქნას არა ფულად-საკრედიტო, არამედ სახელმწიფოს საბიუჯეტო პოლიტიკით, სახელმწიფო ინვესტიციების გადიდებით, რადგანაც სწორედ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს საჭირო რესურსების საერთო რაოდენობა და ამ რესურსების მფლობელთა ანაზღაურების განაკვეთები<sup>9</sup>.

შემდგომში ჯ.ხიკის მიერ ჩამოყალიბებული ნეოკლასიკური სინთეზი გახდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინსური პოლიტიკის საფუძველი, რომელმაც მოიცვა როგორც ფისკალური, ისე ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. რეგულირების ინსტრუმენტად აღიარეს საბიუჯეტო პოლიტიკა, ქრძოდ სახელმწიფო გასავლებისა და შემოსავლების, საგადასახადო განაკვეთების გამოყენება მოთხოვნის შესამცირებლად ან გასადიდებლად და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ღონისძიებები, პროცენტის განაკვეთის ცვლილება შესაბამისი ღონისძიებით და ბაზარზე.

ხიკისთან ერთად ნეოკლასიკური სინთეზის რეალიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვის პ. სამუელსონს, დ. პატინიკის, ფ. მოდელიანის, ჯ. ტობინს. თავის სახელმძღვანელოში “ეკონომიკა” სამუელსონი აღინიშნავს, რომ “ნეოკლასიკური სინთეზი, საკრედიტო, ფულადი და ფისკალური პოლიტიკის გაერთიანება ეკონომიკის მკვეთრი დაცემის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა... საბოლოოდ სპოს დიდ განსხვავებას მიკრო და მაკრო ეკონომიკას შორის”<sup>10</sup>.

ნეოკლასიკური სინთეზის სხვა მნიშვნელოვანი თავისებურება იყო ის, რომ სრული დასაქმების იდეის ნაცვლად წინა პლანზე წამოიწია დასაქმებასა

<sup>9</sup> პ. პატინიაშვილი, ეკონომიკური უფექტიანობის თეორიების განვითარების თავისებურებანი. თბილისი, 1998, გვ. 44

<sup>10</sup> პ. სამუელსონი. ეკონომიკა. მოსკოვი, 1964. გვ.396

და ინფლაციის შორის ალტერნატივის, ანუ არჩევანის პრობლემამ. აქცენტების ასეთი გადაადგილება გამოიწვია “ფილიასის მრუდის” კონცეფციამ, რომელიც გამოხატავდა ფუნქციონალურ დამოკიდებულებას დასაქმებასა და ინფლაციას შორის. რაც უფრო მაღალია უმუშევრობა, მით უფრო ნაკლებია ხელფასის მატება და ფასების ზრდა და პირიქით, რაც უფრო ნაკლებია უმუშევრობა და მაღალია დასაქმება, მით უფრო დიდია ხელფასის მატება და ფასების ზრდის ტემპი. მაშასადამე, ინფლაციის დონე განისაზღვრება დასაქმებულობის დონით და პირიქით. ემპირიული გამოკვლევების საფუძვლზე ჩატარებულმა ნამუშევრებმა 50-60-იან წლებში დაადასტურეს ამ დებულების არსებობა. ეკონომისტები იმ დასკვნამდე მივიღნენ, რომ ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არსებობს სტაბილური და წინასწარ განტვრეტადი უკუკავშირი. ასეთი კავშირის გათვალისწინებით ამ პერიოდში დგებოდა ეროვნული ეკონომიკური პროგნოზები მრავალ განვითარებულ ქვეყანაში.

მომდევნო პერიოდში, ამ პრობლემების გამოკვლევებმა და რეალურმა სინამდვილემ დასაქმებასა და ინფლაციას შორის რთული წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ჩამოაყალიბა, რაც ეკონომიკურ ლიტერატურაში “მასტაბი-ლიზებელი პოლიტიკის დილემის” სახემწოდებით არის ცნობილი. გაირკვა, რომ ტრადიციული ფულადი და ფისკალური პოლიტიკა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთობლივი მოთხოვნის გადანაწილებით. ეს ღონისძიება არავითარ ზეგავლენას არ ახდენდა შრომის ბაზრის დისპროპორციებსა და ბაზარზე ბატონობის სისტემაზე, რომლებიც ინფლაციას იწვევდნენ სრული დასაქმების მდგომარეობის მიღწევამდე.

ამასთან, გასული საუკუნის 70-80-იანი წლების ეკონომიკურმა განვითარებამ დაადასტურა, რომ ინფლაციის დონესა და უმუშევრობის დონეს შორის მყარი ალტერნატიული კავშირი არ არსებობს. ამ წლებში ეკონომიკაში ინფლაციისა და უმუშევრობის ერთოდოული გადიდება შეინიშნებოდა, რაც სტაგფლაციის ახალი კატეგორიით იქნა დახასიათებული. ამ პერიოდში ინფლაციის ყოველ ახალ დონეს თან ახლდა მზარდი უმუშევრობა. კეინსური მიმართულების მკვლევარები სტაგფლაციის მიწოდების შოკებით ანუ საფასო შოკის სერიებით სხინდა. ამ შოკებიდან აღსანიშნავია ნავთობის შოკები 1974 და 1979 წლებში, როდესაც ნავთობზე ფასი გაიზარდა შესაბამისად 4-ჯერ და 5,5-ჯერ, სოფლისმეურნეობრივი დეფიციტი 1972-1973 წლებში, რამაც განაპირობა მაღალი დანახარჯები მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც სურსაოთსა და ნატურალურ ბოჭკოს ამზადებდნენ. დოლარის გაუფასურება 1971-1973 წლებში. 1971-1974 წლებში აშშ-ში არსებული ხელფასისა და ფასებზე კონტროლის გაუქმება.

მონეტარისტები მიიჩნევენ, რომ ინფლაცია ყოველთვის ფულადი მოგლება და მასთან ბრძოლა შეიძლება მხოლოდ ფულის მიმოქცევის სფეროში ღონისძიებების მეშვეობით. მათი აზრით, ინფლაცია არ არის ფასების ზრდის შედეგი. ფასების ზრდა წარმოების იარაღებზე – ნედლეულზე, მასალებზე, ენერგიაზე, ხელფასის გადიდება, არ იწვევს კველა საქონლის ერთობლივ ფასის მომატებას და არ არის ინფლაცია მანმადე, სანამ მომსმარებლები არ მიიღებენ უფრო მეტი რაოდენობის ფულს, ე.ი არ გადიდება ფულის მასა მიმოქცევაში. ეკონომიკური მიზეზობრიობის თვალსაზრისით, ისეთი მოვლენა, როგორიც არის დანახარჯების ინფლაცია, საერთოდ არ არსებობს. ის, რასაც უწოდებენ ინფლაციას ფასების გადიდების შედეგად, არის მიმოქცევაში ფულის გადიდების შედეგი, რაც ხორციელდება უმუშევრობის შემცირების მიზნით.

მიმოქცევაში ფულის მასა რომ არ გაიზარდოს, მაშინ წარმოების ფაქტორებზე ფასის გადიდება გამოიწვევდა არა ფასების საერთო ღონის ამაღ-

ლებას, არამედ გაყიდვების შემცირებას და უმუშევრობის ზრდას. ამასთან მეურნე სუბიექტები ხასიათდებიან ფულზე სტაბილური მოთხოვნით თუ ფულის რაოდენობა მიმოქცევაში მოთხოვნაზე მეტია, ისინი ცდილობენ განთავისუფლდნენ ზედმეტი ფულისაგან, რაც იწვევს ინფლაციას. ამიტომ ანტიინფლაციური ღონისძიებაა ფულის რაოდენობის შემცირება მიმოქცევაში. ამ შემთხვევაში შესაძლებელია: კერძო სექტორის მოთხოვნის შემცირება საქონელსა და მომსახურებაზე; ფასიანი ქადალდების რაოდენობის შემცირება, რაც გამოიწვევს პროცენტის ამაღლებას. შედეგად შემცირდება წარმოება, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ გაიზრდება ფასები. გაიზრდება გაცვლითი კურსი, რაც შეამცირებს ფასებს იმპორტულ საქონელზე, ასევე შემცირდება საექსპორტო საქონლის წარმოება, რადგანაც ინფლაცია გამოწვეულია მხოლოდ მოთხოვნაში ცვლილებებით და არ აქვს ხარჯვითი ხასიათი. მონეტარიზმი საერთოდ უარყოფს შემთხვევაშის პოლიტიკას, მონეტარიზმს საჭიროდ მისჩნია ფულის მიწოდების გადიდება ფიქსირებული, წინასწარ განსაზღვრული პროცენტით, რომელიც შეესაბამება მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის გრძელვადიან ტემპს. მონეტარიზმი მოთხოვნები ფულის მასის თანაბარზომიერ ზრდას წინასწარ განსაზღვრული ტემპით, ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპთან შესაბამისობით. ისინი თვლიან, რომ ამ გზით ფულის მიწოდება შესაბამისობაში მოვა მოთხოვნასთან და თვითონ ფულის მასის ზრდის სტაბილურობა უზრუნველყოფს ეკონომიკის ზრდის რეჟიმში ყოფნას<sup>11</sup>.

მონეტარიზმმა საერთოდ უარყო დანახარჯების ინფლაციის თეორია, შემოიტანა ანალიზის ისეთი უმნიშვნელოვანები ინსტრუმენტი, როგორიც არის ბუნებრივი უმუშევრობა და დაასაბუთა სრული დასაქმების თეორიული და პრაქტიკული მიუღებლობა. მონეტარიზმმა განსაზღვრა ანტი-ინფლაციური პოლიტიკის ძირითადი მექანიზმები, რომელიც მრავალ ქვეყანაში წამრატებით იქნა გამოყენებული. ამ პოლიტიკის მთავარი ელემენტებია: ფულის მასის ზრდის სტაბილურობის შენარჩუნება, ხაზოგადოებრივი პროდუქტის რეალური ზრდის შესაბამისად; მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა; ბიუჯეტის დეფიციტის არ დაშვება; მთავრობის ფინანსური მოთხოვნილებების დაკმაყოლების არ დაშვება დაუსაქონდებული ფულის ემისიით. მან გარკვეული როლი მიანიჭა ინვესტიციებსაც, თუმცა ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან ურთიერთ კავშირში.

სამეცნიერო კვლევებმა დაადასტურეს, რომ გარდამავალ ეკონომიკასა და განვითარებულ საბაზო ეკონომიკაში მოქმედებს ერთნაირი კანონზომიერებები – რაც უფრო სწრაფად იზრდება ფულის მასა, მით უფრო სწრაფად იზრდება ფასები, სწრაფად ეცემა ეროვნული ვალუტის კურსი და პირიქით. ფულის ემისიის შენელება იწვევს ინფლაციის ტემპების შემცირებას, ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციას. ინფლაციისა და ფულის მასის დინამიკის მკაცრი ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი ისეთია, რომ პრაქტიკულად გამორიცხულია ინფლაციის არა ფულადი ფაქტორებით გამოწვევა. ფინანსური სტაბილიზაციის მქნე ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ინფლაციის არა ნულოვანი ტემპების შენარჩუნება დაკავშირებულია ფულის მასის არა ნულოვან ტემპების შენარჩუნებასთან.

<sup>11</sup> Р. Хейлбронер. Л. Туру. Зконоомика для всех. М. 1994. стр. 163-164.



გრაფიკი<sup>12</sup>: საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში %

რაც შეეხება დღევანდელ საგანგაშო მდგომარეობას, საქართველოში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 2011 წლის აპრილის მდგომარეობით წლიური ინფლაციამ გადაჭარბა 13.4%-ს. პირველ რიგში მოსახლეობისათვის ყველაზე მძიმეა ის, რომ ფასები გაიზარდა სასურსათო პროდუქციაზე 28%-ით, პურზე ფასმა მოიმატა დაახლოებით 25.8%-ით, მცენარეელ ზეთსა და ცხიმებზე – 34.5%-ით, კარტოფილზე – 30-35%-ით, ხახვები თითქმის 50%-ით, რძის პროდუქტებზე – 15-20%-ით, ასევე ნაკობპროდუქცია, რომლის ფასიც ყოველდღიურად იმატებს. ტრანსპორტზე ფასმა მოიმატა 8%-ით გასულ წელთან შედარებით.

ცხრილი<sup>13</sup>: სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია)

	2005	2006	2007	2008	2009	2010
საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	108.2	109.2	109.2	110.0	101.7	107.1
დეკემბრის წინა წლის დეკემბრთან	106.2	108.8	111.0	105.5	103.0	111.2
წლიური ინფლაციის დონე	6.2	8.8	11.0	5.5	3.0	11.2

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ბოლო 6 წლის განმავლობაში ინფლაციის ზრდის ტემპი ასეთი მაღალი არ ყოფილა, როგორც დღესდღეობით აღინიშნება, მიუხედავად იმისა, რომ 2006-2008 წლებში საინფლაციო “ბუმი” იყო ქვეყანაში. მარტო ამ სამი წლის განმავლობაში 4.5 მილიარდი დოლარის ინვესტიცია იქნა შემოსული. დღევანდელი ინფლაციის ასეთი საგანგაშო მდგომარეობა გამოწეულია როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორებით. გარე ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია ნაკობის ფასის მკვეთრი ზრდა, რომელიც ბოლო 6 თვეში ბარელ ნაკობზე 50-60 დოლარიდან 110 დოლარამდე გაიზარდა. ამის მიზეზია არა

<sup>12</sup> წერტილი: [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/price/2011-aprili-geo.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/price/2011-aprili-geo.pdf)

<sup>13</sup> წერტილი: [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=127&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=127&lang=geo)

მარტო კრიზისის შემდგომი ეკონომიკის გამოცვლება, არამედ ისიც, რომ ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში – ალეპიში, გავიაბუში, ტუნისში, იორდანიაში, ლიბიაში მიმდინარეობს რევოლუციური და სამოქალაქო ომები. განვითარებულმა ქვეყნებმა დაიწყეს საკუთარი ნავთობის რეზერვების შევსება, რაც პირდაპირ აისახა მის ფასზე. ექსპერტების შეფასებებით 1 მილიონი ბარელი ნავთობის გაზრდა იწვევს ბარელი ნავთობის დაახლოებით 7-8 დოლარით გაზრდას. აგვისტოდან დღემდე ხორბლის ფასი 180 დოლარიდან თითქმის 360 დოლარამდე გაიზარდა.

გაეროს მონაცემებით 2011 წელს მსოფლიოს 50 მილიონი ტონა ხორბლის დეფიციტი ექნება. ამას ემატება ისიც, რომ გასული წლის სექტემბრის თვეში რუსეთმა საერთოდ აკრძალა ქვეყნიდან ხორბლის ექსპორტი და ხახვის ექსპორტი აიკრძალა ინდოეთიდან. ცნობისათვის, რუსეთიდან ყოველწლიურად დაახლოებით 12-15 მილიონი ტონა ხორბლის ექსპორტი ხორციელდებოდა. აღსანიშნავია, რომ არც ერთ დიდ სახელმწიფოს ამ საკითხზე არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვას. მაშინ, როცა რუსეთი ძლიერ არის დაინტერესებული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწვერიანებით, ასეთ “ეგოისტურ” ნაბიჯებს ადარ უნდა დგამდეს. ამას დაემატა წყალდიდობა ავსტრალიაში, ბუნებრივი კატაკლიზმები ბრაზილიასა და არგენტინაში. ფასებზე გარკვეულად იმოქმედა გასულ წელს ჩინეთში მიღებულმა კანონმა ხელვასის მინიმუმის ზრდასთან დაკავშირებით, რომელიც 140 დოლარამდე გაიზარდა. ეს შექმნა დაახლოებით 500 მილიონზე მეტ ადამიანს. რამაც მომენტალურად გაზარდა ფასები ჩინეთში წარმოებულ პირველადი მოხმარების საგნებზე, ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, ბამბეულზე და სხვა. ნიშანდობლივია, რომ სურსათზე ფასების ზრდა შეინიშნება მსოფლიოშიც. გაეროს მონაცემებით მარტო გასული წლის დეკემბრის თვეში სურსათზე ფასები 4.2%-ით გაიზარდა.

რაც შეეხება ინფლაციის გამომწვევ შიდა ფაქტორებს, პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ სამომხმარებლო ბაზრის 70-80% იმპორტზეა დამოკიდებული. ამიტომ მიმართია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხარდაჭერა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ქვეყნის ეკონომიკის “დოკომოტიკის” როლი ტურიზმმა კი არა, სოფლის მეურნეობამ უნდა შეასრულოს. სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი 150 მილიონი ლარი თავისთვად კარგია, მაგრამ ეს პანაცეა არ არის. სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა უნდა იყოს მთლიანად ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემადგენლი ნაწილი. სახელმწიფო უნდა შექმნას ყველანირი მაკრო და მიკროეკონომიკური პირობა სოფლის მეურნეობის სტაბილური და შეუფერხებელი განვითარებისათვის. სახელმწიფო რეგულირება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს სამომხმარებლო ფასების განსაზღვრას ამათუ იმ საქონელზე, ან რამე ფორმით ჩარევს, მაგრამ სახელმწიფომ პერმანენტულად უნდა განახორციელოს სექტორების დემონპოლიზაცია. დღევანდელი მდგრამარეობით, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს სამედიცინო, ფარმაცევტული, სადაზღვევო, ნავთობის სექტორში შექმნილი მდგრამარეობა.

ქვეყანაში ინვესტიციების დიდი ოდენობით შემოსვლა იწვევს ეროვნული ვალუტის კურსის გამყარებას, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მთავრობა იცავს ვალუტის კურსს გამყარებისგან, ეს ხელს უწყობს ინფლაციური პოტენციალის წარმოქმნას. შემოსული კაპიტალის განეიტრალიზების მიზნით ეროვნული ბანკები მიმართავენ დია ბაზრის სხვადასხვა ოპერატორებს. ასეთი შეიძლება იყოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები (სახაზინო ვალდებულებების გაყიდვა), რომელიც ამცირებს საფინანსო ლიკვიდურობას. მიუხედავად იმისა, რომ 2004-2010 წლებში საქართველოში შემოვიდა 6 მილიარდზე მეტი ინვესტიცია, ეროვნულმა ბანკმა შეძლო თავიდან აეცილებინა ლარის კურსის მკვეთრი რევენტი.

ლარის კურსის გამყარებამ, რაც დღეს სახეზეა, ზოგადად ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით, გრძელვადიან პერიოდში იმპორტირებულ საქონელზე ფასების კლება უნდა გამოიწვიოს, სინამდვილეში ამის მსგავსი არაფერი ხდება. გასული წლის ზაფხულში, ლარი დოლარის მიმართ 4%-ით გაუფასურდა, იმპორტირებმა რა მალე მოახდინეს რეაგირება. როგორც ნავთობი, ასევე მედიკამენტები თითქმის 10-12%-ით გაზარდეს. “სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი კანონები, რომელებიც მინიმუმამდე დაიყვანს მონოპოლიურ მდგომარეობას ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტში. საქართველოში კი, ნებისმიერ სასაქონლო ჯგუფზე არსებობს მონოპოლია, ყოველ შემთხვევაში, აშკარა ოლიგოპოლია. როდესაც რამდენიმე მოთამაშე ინაწილებს ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტს. შედგომ ისინი შეთანხმებულად აწესებენ ფასებს და ახალ მოთამაშეს ბაზარზე შესვლა არ შეუძლია. სწორედ ამიტომაც არ მცირდება ფასები ლარის გამყარებისას<sup>14</sup>”.

კვლავაც უცნობია ქვეყანაში არაფორმალური სავალუტო ბაზრის მოცულობა, რომელიც ჩვენი აზრით, მთლიანი შიდა პროდუქტის სტატისტიკიდან გამომდინარე, 20-25% უნდა იყოს. ეს კი შემაშოთებელი მაჩვნებელია გაცვლითი კურსისადმი კონტროლის შენარჩუნების თვალსაზრისით. კვლავ დაბალია კომერციული ბანკების მიერ გრძელვადიან პერიოდში წარმოების დაკრედიტება, მოკლევადიან სესხებზე კი პროცენტები ძალზე მაღალია, რომლებიც მაღალ რისკთან არის დაკავშირებული. თუმცა საკრედიტო განაკვეთები გასულ წლებთან შედარებით მაინც მცირდება, გაზრდილი კონკურენციისა და უცხოური კაპიტალის შემოდინების გამო, რომლებიც ძირითადად ევროპისა და ევრაზის ბანკებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით შემოდის. მაღალი განაკვეთები ბანკების კრედიტების ნაკლებობასა და მათ შორის კონკურენციის მიმართებაზე მიუთითებს. კრედიტების ნაკლებობა კი პირდაპირაა დაკავშირებული ბანკების უუნარობასთან – გაზარდოს დეპოზიტები მასზე არც თუ დაბალი საპროცენტო განაკვეთების მიუხედავად. საქართველოში, ბანკების საკრედიტო განაკვეთებთან დაკავშირებით მეტად საინტერესო რამ ხდება რომელიც არანაირ ეკონომიკურ ლოგიკას არ ექვემდებარება. მაშინაც, როცა გასული 5-6 წლის განმავლობაში ინფლაციის ზრდის ტემპები შედარებით სტაბილური იყო და იგი 6-7%-ს აღწევდა, ბანკებს საპროცენტო განაკვეთები არ შეუმცირებიათ და ახლა, როცა ინფლაციის ზრდის წლიური ტემპი 13%-ს გადასცდა, საკრედიტო განაკვეთები უცვლელი დარჩა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია გავაანალიზოთ, თუ რა მიზეზებმა განაპირობებს ინფლაცია საქართველოში, რომ მაღალი ინფლაცია მომავალში არ დაგუშვათ. ი.ფიშერის მიხედვით

$$MV=PQ$$

ანუ აქვდან

$$P=MV/Q$$

სადაც  $P$  ფასების დონეა,  $M$  - ფულის მასა,  $V$  - ფულის ბრუნვის სიჩქარე,  $Q$  - რეალური საქონლის და მომსახურების რაოდენობა. მაშასადამე, ფასების ინდექსი ტოლია ფულის მასის ინდექსის და ფულის მიმოქცევის სიჩქარის

<sup>14</sup> ვლ. პაპავა. რატომ უბრუნდება ლარი გარდების რევოლუციამდელი პერიოდის ნიშნულს და რატომ არის გარდაუვალი მისი შეუცვევადი დევალვაცია. წყარო: [http://tbiliselebi.ge/?mas\\_id=4233](http://tbiliselebi.ge/?mas_id=4233)

ინდუქსის ნამრავლი გაყოფილი მთლიანი შიდა პროდუქტის ინდუქსზე<sup>15</sup>. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეკონომიკის ფინანსურ სტაბილიზებაში და ინფლაციის აღაგმვაში 90-იანი წლების მეორე ნახევარში<sup>16</sup>, საქართველომ შეძლო პიპერინფლაციის დაძლევა 1995-1996 წწ. მირითადად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით, ბიუჯეტის დაფიციტის არაემისიური დაფინანსებით საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტების საფუძველზე. მაგალითად, 1995 წელს ბიუჯეტის შემოსავლებმა სულ შეადგინა 188,4 მლნ ლარი, ხარჯებმა 341 მლნ ლარი, რომელიც დაფინანსდა სავალუტო ფონდის სისტემური ტრანსფორმაციის კრედიტით და მსოფლიო ბანკის სარეაბილიტაციო კრედიტით. 1996 წელს ბიუჯეტის დაფიციტმა შეადგინა 256,2 მლნ ლარი, რომელიც დაფინანსდა მსოფლიო ბანკის მიერ მთავრობისათვის გამოყოფილი სესხით.<sup>17</sup>

ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა გაგრძელდეს მკაცრი ფულად- საკრედიტო პოლიტიკა, ძვირი ფულის პოლიტიკა, ფულის მიწოდება განხორციელდეს ეკონომიკური ზრდის ტემპების გათვალისწინებით. აუცილებელია მაქსიმალურად შეზღუდვის მთავრობის ემისიური დაკრედიტება. განხორციელდეს ბიუჯეტის დაფიციტის მინიმიზაცია.” ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების დაცვა კანონით განსაზღული 6%-იან ზღვარს ზემოთ ინფლაციის ზრდისგან<sup>18</sup> საჭირო ეროვნული ბანკის სარეზერვო მოთხოვნების მაღალი დონის შენარჩუნება. სავალუტო პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს თავისუფლად მცურავი კურსის რეჟიმს, რომელიც ქვეყნის გარედან შემოსული სავალუტო ნაკადების შესაბამისად განსაზღვრავს ლარის გაცვლითი კურსის წონასწორულ დინამიკას და შეასუსტებს საგარეო შოკების რეალურ სექტორზე გავლენას. ეროვნულმა ბანკმა უნდა განხორციელოს მკაცრი მონიტორინგი კომერციული ბანკების მიერ საკრედიტო და საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებაზე, დასამალი არ არის, რომ ხშირად ბანკები ძირითად დაკავებულები არიან საინვესტიციო საქმიანობით, უშადოდ იპოთეკური კრედიტების გაცემაზე, ზოგიერთი ბანკი ლამის სამშენებლო კომპანიად გადაიქცა. ეროვნული ბანკის საქმიანობა მაქსიმალურად ორიენტირებული უნდა იყოს კომერციულ ბანკებში საპროცენტო განაკვეთის შემცირების მიზნით. დღვისათვის მათ მიერ კომერციული ბანკების რეფირანსირება ძირითად კერძო ბანკების მოგების ზრდას ემსახურება, რომელიც ზოგ შემთხვევაში სახიფათოც არის, კარგად გვასსოვს ის „შავი პარასკევი“, რამაც კინაღამ მთლიანად დაანგრია საბანკო სისტემა. აუცილებელია ასევე გაიზარდოს კომერციული ბანკების მიერ საწარმოების დაკრედიტების დონე გრძელვადიან პერიოდში. ხშირად არსებული მაღალი განაკვეთები ბანკების კრედიტების ნაკლებობასა და მათ შორის კონკურენციის უქონლობაზე მიუთითებს. კრედიტების ნაკლებობა პირდაპირ არის დაკავშირებული ბანკების უშანობიანობასთან – გაზარდონ დებოზიტები, რაც ჯერ კიდევ საზოგადოების გარკვეული უნდობლობის შედეგია.

<sup>15</sup> ს. პავლიაშვილი. წარმოების ეფექტიანობის მართვის კომპლექსური სისტემა. სისტემა მრეწველობაში. თბილისი, 1998. გვ. 429

<sup>16</sup> ქ. ღურწეათ. ეკონომიკის პრინციპები (ლექციების კურსი). თბილისი, 2007. გვ. 414

<sup>17</sup> საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. თბილისი. 1995. გვ.8

<sup>18</sup> მ. ჯიბუტი. ინფლაციისა და უმუშავრობის პარადოქსი საქართველოში. ეკონომიკური პოლიტიკა და ბიზნეს-პროცესების მართვა. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბილისი 2001. გვ.29

**Solomon Pavliashvili**  
*Doctor of Economic Sciences*  
*Full Professor of STU*

## INFLATION AND MODERN ECONOMIC THEORIES

### **Summary**

In the article there is considered the compatibility of macroeconomic and microeconomics both in short-term and in the long-term period is a basis for stable and safe development of economy. There is discussed the views of modern economic theories connected with the inflation processes. Their advantages and disadvantages. There is also characterized the way of overcoming 90<sup>th</sup> hyper inflation existed in Georgia.

It is shown that proper selection of objectives and problems of macroeconomic and micro-economics, barring to inflation, are one of the major foundations long-term stable economic development. The article deals with the summary of macroeconomic conditions of stable progress of economy. In particular, inflation itself as one of the major problems interfering the sustainable development of economy and are provided recommendations to overcome this problem.

## ეკონომიკური თეორია

ანზორ კურატაშვილი  
ეკონომიკის დოქტორი

### სოციალურად ორიგინალული საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცესები

სოციალურად ორიგინალული საბაზრო-ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება წარმოუდგენელია საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის მიზანდასახული პოლიტიკურ-სამართლებრივი სახელმწიფო მართვის გარეშე.

კურატაშვილის იმსახურებს ის ფაქტი, რომ XXI საუკუნის დასაწყისის გლობალურმა კრიზისმა მკვეთრად გაამწვავა საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა, რის გამოც, თავის მხრივ, პრობლემური ხდება ადამიანის კონსტიტუციური უფლებების, თავისუფლებებისა და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო მართვის პოლიტიკურ-სამართლებრივი პრობლემის მეცნიერულ კვლევას სოციალურად ორიგინალული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რამეთუ ამ პრობლემის სათანადოდ გადაჭრის გარეშე საბაზრო-ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაცია ფაქტიურად შეუძლებელია.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია აღნიშნული საბაზრო-ეკონომიკური სისტემის თავისუფალ ფუნქციონირებასთან ერთად მოითხოვს საბაზრო ურთიერთობების შესაბამის სახელმწიფო მართვას, შესაბამის სახელმწიფოებრივ რეგულირებას, თუმცა გონივრული ადგილობრივი ინიციატივისა და შემოქმედების შეზღუდვის გარეშე.

ამასთან, თუ გავითვალისწინებო, რომ საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და მისი სოციალური ორიენტაცია წარმოუდგენელია სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების გარეშე, კიდევ ერთხელ აშკარა ხდება სამართლებრივი ფაქტორის – როგორც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევის აუცილებელი საშუალების მნიშვნელობა.

ამრიგად, როგორც ჩემს მიერ ადრეც არაერთხელ იყო აღნიშნული, სოციალურად ორიგინალული საბაზრო ეკონომიკა გულისხმობს, ერთი მხრივ, საბაზრო ორგანიზაციის მრავალფეროვანი ფორმებისა და საბაზრო მექანიზმების მარეგულირებელი როლის გამოყენებას, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს სამართლებრივი და ორგანიზაციული ჩარევის (მეწარმეთა შესაძლო თავისუფლების მაქსიმალური შენარჩუნებით) აუცილებლობას საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისა და მისი სოციალური ორიენტაციისათვის [1, გვ.6].

მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და ერთდროულად მისი სოციალური ორიენტაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს თავისუფლად ფუნქციონირებადი საბაზრო ურთიერთობებისა და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის მატიმალური შესამება შესაბამისი პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმებისა და, აგრეთვე, სათანადო ორგანიზაციული ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით, რომელთა შორის სამართლებრივი ფაქტორი წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის თავისუფალ ფუნქციონირებასა და სახელმწიფოს მარეგულირებელ როლს შორის არსებული წინააღმდეგობების დაძლევის აუცილებელ საშუალებას.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ სამართლებრივი ფაქტორის სათანადო გამოყენების გარეშე, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაცია შეუძლებელი იქნება.

ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა საბაზრო ურთიერთობების თავისუფლად ფუნქციონირების აუცილებლობასა და საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობას შორის დაკავშირებულია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითად წინააღმდეგობასთან და გამომდინარეობს ამ წინააღმდეგობიდან, ანუ გამომდინარეობს წინააღმდეგობიდან, ერთი მხრივ, საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა, რაც გამოიხატება მაქსიმალური მოგების მიღებისადმი სწრაფვაში, და, მეორე მხრივ, საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის, რაც გულისხმობს ეკონომიკის მიმართულებას ხალხის ინტერესების რეალიზაციისათვის, და რაც განხორციელებადია მხოლოდ შესაბამისი პოლიტიკურ-სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის პირობებში.

ამასთან, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობანი ობიექტურ ხასიათს ატარებენ, რადგან ისინი მოქმედებენ ცალკეული ადამიანების ნებისა და სურვილისაგან დამოუკიდებლად, თუმცა ამ ობიექტური წინააღმდეგობის დაძლევა შესაძლებელია თვით ადამიანის – სუბიექტის მიერ სახელმწიფო დონეზე მიღებული პოლიტიკურ-სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ, როგორც ცნობილია, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შინაგანი წინააღმდეგობანი და მათი დაძლევის გზები მჭიდროდ არის დაკავშირებული კონკურენციის პრობლემასთან.

კონკურენციასთან დაკავშირებით ლურჯის ერხარდი სამართლიანად ამახვილებდა ყურადღებას იმაზე, რომ „კონკურენციის მეშვეობით შეიძლება მიღწეულ იქნეს – ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით – პროგრესისა და მოგების სოციალიზაცია... [2, გვ. 13-14], თუმცა კონკურენციის პრობლემა, ჩემი ღრმა რწმენით, მეტად როგორც და წინააღმდეგობრივია.

კონკურენციის, უფრო ზუსტად კი ყოველი კონკურენციის, ისევე როგორც საბაზრო ეკონომიკის, მიზანია მოგება.

ამასთან ერთად, როგორც სახელმწიფო შეგნებულად უშვებს კონკურენციას, საბაზრო ეკონომიკას, მისი მთავარი მიზანი უნდა იყოს არა ცალკეული კონკურენტების გამდიდრება, თუმცა კონკურენტების კანონიერ გამდიდრებასაც უნდა შეუწყოს მან ხელი, არამედ ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება ხალხის – ყოველის ადამიანის – საკონილდღეოდ, რაც, თავის მხრივ, თავისთავად გულისხმობს კონკურენტების მომებიან საქმიანობასაც, რადგან სხვაგვარად ქვეყნის ეკონომიკაც ვერ იქნება ეფექტიანი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ კონკურენციის და, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, საერთოდ საბაზრო ეკონომიკის მიზანი – მოგება, მოგების მიღება, შედის წინააღმდეგობაში უშუალოდ ხალხის ინტერესების რეალიზაციის, ე. ი. სოციალური მიზნის რეალიზაციის პრობლემის გადაჭრასთან, რაც კონკურენციის პირობებში წარმოადგენს მეტად როგორც ფენომენს საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის თვალსაზრისით.

საზოგადოების ორიენტაციის პრობლემა ცალკე სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენს. ხოლო რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკას და მის მიზანსწრაფვას მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ, უნდა აღინიშნოს, რომ, ცალკედია, სახელმწიფო ეკონომიკური სიმდიდრის შექმნა სოციალური პრობლემების გადაჭრის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, მაგრამ, ამასთან ერთად,

შეუძლებელია, რომ მიღებული მოგება ავტომატურად ემსახურებოდეს სოციალური მიზნის – ხალხის ინტერესების რეალიზაციას.

სწორედ ამან განაპირობა, ჩემი აზრით, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის კონცეფციის შექმნა, რომელიც ეკონომიკური მიზნის რეალიზაციასთან ერთად წინა პლანზე წამოწევს სოციალური პრობლემების გადაჭრის აუცილებლობას.

საბაზრო მექანიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენს კონკურენცია, რომელიც ხელს უწყობს მოგების მაქსიმიზაციას.

ამასთან, კონკურენციას, როგორც ცნობილია, ადამ სმიტმა ბაზრის „უხილავი ხელი“ უწოდა, რომელიც (ე. ი. კონკურენცია) ცალკეული ინდივიდების მიერ მოგების მიღებაზე გამიზნული ეგოისტური საქმიანობის შედეგად ხელს უწყობს, საბოლოო ჯამში, ეკონომიკის განვითარებას და მოელი საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ამრიგად, აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ კონკურენცია მოგებაზე გამიზნული საქმიანობის შედეგად თითქოსდა თავისთავად – ავტომატურად იწვევს სოციალური მიზნის რეალიზაციას.

კერძოდ, ადამ სმიტი წერდა: „იგი (ადამიანი – ა. კ.) ჩვეულებრივად ამ დროს არც ფიქრობს საზოგადოებრივ სარგებლობაზე და ვერ აღიქვამს, როგორია ზემოქმედება მასზე... მას მხედველობაში აქვს მხოლოდ საპუთარი ინტერესი... ამასთან ასეთ შემთხვევაში, ისევე როგორც მრავალ სხვაში, იგი უხილავი ხელით წარიმართება მიზნისაკენ, რომელიც სულაც არ პქონდა გათვალისწინებული... მიჰყვება საპუთარ ინტერესებს, იგი ხშირად უფრო ქმედითად ემსახურება საზოგადოებას, ვიდრე მაშინ, როდესაც შეგნებულად ფიქრობს ამის გაკეთებას“ [3, გვ. 332].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივდივართ ლოგიკურ დსკვნამდე, რომ თითქოს საბაზრო ეკონომიკას „უხილავი ხელის“ მოქმედების შედეგად თავისთავად აქვს „უხილავი“ სოციალური ორიენტაცია, რადგან მას მივყაროთ სოციალურად მნიშვნელოვან შედეგებამდე.

საბაზრო ეკონომიკას „უხილავი ხელის“ მოქმედებასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ მოცემული დასკვნა გარკვეულწილად ამჟამადაც შეესაბამება ჰემარიტებას.

თუმცა, თუ ადამ სმიტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირობებში „უხილავი ხელის“ თეორიას განსაკუთრებული მნიშვნელობა პქონდა, ამჟამად მხოლოდ კონკურენციით დაკმაყოფილება და „უხილავი ხელის“ იმედზე ყოფნა, ჩემი აზრით, სერიოზულ შეცდომას წარმოადგენს, რადგან, ჯერ ერთი, მაქსიმალურად შესაძლო ეკონომიკური ზრდა მიუღწევადია საზოგადოებაში სახელმწიფოს ხელმძღვანელი და მარკეტინგებელი პოლიტიკურ-სამართლებრივი და ორგანიზაციული როლის გარეშე, ეკონომიკური მოღვაწეობის სუბიექტების მაქსიმალურად შესაძლო თავისუფლების შენარჩუნებით, და, ძეორეც, მაღალი ეკონომიკური შედეგებიც კი, შესაბამისი სამართლებრივი რეგულირების გარეშე, ვერ იქნება ავტომატურად ტრანსფორმირებული სოციალურ თრიენტაციაში და, მთელი უმეტეს, ამ ორიენტაციის პრაქტიკულ რეალიზაციაში.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრობლემის გადაჭრის გასაღები კონკურენციის პირობებში, ჩემი ღრმა რწმენით, ძეგს არა „უხილავი ხელის“ მოქმედებაში, არამედ სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიან გამოყენებაში, ანუ ფაქტორივად სახელმწიფო მართვაში.

## გამოყენებული ლიტერატურა

**1. Кураташвили Аизор А.** Рыночная экономика и правовой фактор. BULLETIN "Medicine, Science, Innovation and Business New" ("Новости медицины, науки, инновации и бизнеса – голос профессионалов и бизнесменов США, СНГ и других стран мира"). Volume 6, Number 7 (57), July, 1999. New York, USA.

**2. Эрхард Л.** Благосостояние для всех. Пер. с нем., - М.: Начала-Пресс, 1991.

**3. Смит А.** Исследование о природе и причинах богатства народов. М.:

Издательство социально-экономической литературы, 1962.

*Anzor Kuratashvili  
Doctor of Economics*

### THE POLITICAL-LEGAL PROBLEMS OF STATE REGULATION OF SOCIALLY ORIENTED MARKET ECONOMY

#### Summary

In scientific work problems of effective functioning of socially oriented market economy and value of the state management for social orientation of this market-economic system.

In work, necessity of the decision of a political-legal problem of the state management in the conditions of socially oriented market economy is proved.

აღრიცხვა და აუდიტი

გ. წევრავა  
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,  
ო. აბულაძე  
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,  
გ. ბრუვაძე  
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,  
ლ. ნარიძანაშვილი  
აკადემიური დოქტორი,  
მ. ბეგიაშვილი  
დოქტორანტი,  
გ. სირაძე  
ინჟინერ-მშენებელი,  
ლ. ბერიშვილი  
სტუდენტი

გულალტრული აღრიცხვის სისტემის სამრთაშორისო სტანდარტებთან  
პარმონიზაციის საპირისისათვის საჭართველოში

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოში ბიზნესის განვითარება, რასაც თან ახლავს ეკონომიკის სფეროში საერთაშორისო ინტეგრაციის როლის გაზრდა, განსაზღვრულ მოთხოვნებს უყენებს სხვადასხვა ქვეყნებში გამოყენებულ მოგების გამოანგარიშების ალგორითმების, გადასახადებით და-საბეგრი ბაზის, გამომუშავებულ საშუალებათა ინვესტირებისა და კაპიტალიზაციის პირობების ფორმირების ერთგვაროვნებისა და გასაგებობის პრინციპებს. ყოველივე ზემოხსენებული კი შეიძლოდა დაკავშირებული იმ სუბიექტთა წრის გაფართოებასთან, რომელიც იღებენ საინვესტიციო და სხვა სახის როგორც სამეურნეო, ასევე მმართველობით გადაწყვეტილებებს, რაც, თავის-თავად ცხადია, ეკონომიკულ ბუღალტრულ აღრიცხვას და კერძოდ კი, ბუღალტრულ მონაცემებს. შესაბამისად იცვლება აღრიცხვისა და ანგარიშგებისადმი წაყენებული მოთხოვნებიც. თუ ადმინისტრაციულ-გეგმიანი ეკონომიკის ჩარჩოებში ამა თუ იმ სამეურნეო სფეროში ფულად-მატერიალურ საშუალებათა დაბანდების თაობაზე გადაწყვეტილებები მიიღებოდა მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი სუბიექტის – სახელმწიფოს მიერ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამგვარი გადაწყვეტილებები მიიღება მეურნე სუბიექტების უმეტესი ნაწილის ერთობლივად გადაწყვეტილებების საფუძველზე. ამასთან ერთად, აშკარად იზრდება დაინტერესებულ პირთა როლი, უწინარეს ყოვლისა კი-ინვესტორებისა და კრედიტორების სახით, რომელიც საერთო ეკონომიკური ინტერესების საფუძველზე ჰორიზონტარულად ურთიერთქმედებენ საწარმოსთან. შესაბამისად, თუკი აღრე აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა გამიზნებული გახლდათ სახელმწიფო გეგმებისა და გადაწყვეტილებათა შესრულების შედეგების ასახვაზე, ახლა მის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს იმ პიროვნებათა ფართო სპექტრის სარწმუნო წყაროებზე დაფუძნებული ინფორმაციით უზრუნველყოფა, რომელიც დაინტერესებული არიან კომპანიათა აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმიანობით. ცხადია, აღნიშნულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა კანონიერი ინტერესები უშუალოდ დამოკიდებულია კომპანიათა საქმიანობის შედეგებზე. ბუღალტრულ მონაცემთა ფორმა და მოცულობა იმგვარი უნდა იყოს, რომ ხსენებულმა პირებმა შეძლონ მმართველობითი და სამეურნეო

გადაწყვეტილებების მიღება და პრაქტიკულად განხორციელება მოცემულ კომპანიებთან მიმართებაში [1].

აღნიშნულ მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სააღრიცხო-ანალიზური ინფორმაციის ფორმირება უნდა ხორციელდებოდეს გარკვეულ საზოგადოდ მიღებულ ერთიან წინაპირობათა, ხორმებისა და წესების საფუძველზე, რომლებიც თავის მხრივ განსაზღვრულია საერთაშორისო კონცეპტუალური სააღრიცხო პრინციპებით. უნდა აღინიშნოს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის მოდელების შეუსაბამობის პრობლემა და მათი გადაჭრის გზების ძიება არ არის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დამახასიათებელი. იგი ატარებს გლობალურ ხასიათს და ამიტომ აღნიშნული პრობლემის წინაშე მსოფლიოს მრავალი ქვეყანა დგას. გამომდინარე ზემოხსენებულიდან, თანამედროვე პირობებში გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა ბუღალტრული აღრიცხვის უნიფიკაციის პრობლემის გადაჭრისადმი წაყენებულმა ორმა მიდგომამ – პარმონიზაციამ და სტანდარტიზაციამ.

ბუღალტრული აღრიცხვის სხვადასხვა სისტემების პარმონიზაციის იდეა რეალიზდება ევროპის თანამეგობრობის ჩარჩოებში. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა ქვეყანაში შეიძლება იარსებოს აღრიცხვის ორგანიზაციისა და სტანდარტების მათმა მარეგულირებელმა სისტემამ. ამასთან აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ აღნიშნული სტანდარტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს თანამეგობრობის წევრ ქვეყნებში არსებულ ანალოგიურ სტანდარტებს, ანუ ისინი უნდა არსებობდნენ ერთმანეთთან პირობით პარმონიაში. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, კერძოდ 1961 წლიდან.

აღრიცხვა-ანგარიშების განვითარების კონცეფციის ფორმირების მიზნით ევროპის თანამეგობრობის ქვეყნებში შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის პრობლემების შემსწავლელი კვლევითი ჯგუფი. მისი მოღვაწეობა განიხილებოდა როგორც კომპანიების შესახებ კანონის ეროვნულ ვერსიათა პარმონიზაციის პროგრამის შემადგენელი ნაწილი. მათი მუშაობის შედეგები გამოქვეყნებულია ნორმატიული დოკუმენტების სახით, რომლებიც უკროპის თანამეგობრობის თითოეული წევრის მიერ ჩართულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის ნაწილში.

სააღრიცხო პროცედურათა სტანდარტიზაციის იდეა რეალიზდება აღრიცხვის უნიფიკაციის ჩარჩოებში, რომელსაც ახორციელებს ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი, ამჟამავებს და აქვეყნებს რა ფინანსური ანგარისხების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს). სტანდარტების მიღების არსი მდგომარეობს სტანდარტების უნიფიცირებული ნაკრების შემუშავებაში, რომელთა გამოყენებაც უპრიანი იქნებოდა ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერ სიტუაციაში, რომლის საფუძველზეც აღარ წარმოიშობა ეროვნული სტანდარტების შექმნის აუცილებლობა. რაც შექმნა ერთიანი სტანდარტების დანერგვას, ამ საკითხს უნდა მივაღწიოთ არა საკანონმდებლო, არამედ ქვეყნების პროექტის უფრო როგორიზაციათა ნებაყოფლობით შეთანხმების გზით.

თანამედროვე პირობებში ცნობილია ბუღალტრული აღრიცხვის რამდენიმე სისტემა, კერძოდ ანგლო-ამერიკული, ევროპული და რიგი სხვა სისტემების. თუმცადა სპეციალისტების აზრით, ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ფასს) მიერ შემუშავებული სტანდარტები უასელოეს მომავალში გამოყენებული იქნება მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს მიერ.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო სტანდარტების პოპულარობის ზრდა განპირობებული იყო ორი მოვლენით. პირველი აღნიშნული მოვლენათაგანი გახლდათ ფასსკა და ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო კომისიას შორის შეთანხმებაზე ხელმოწერა, რომელშიც ასახვა პპოვა

აშშ-ის კონვრესისა და ფინანსური წრეების სწრაფვამ ამერიკის ბირჟებზე თავისი აქციების ფასის დასაწებლად მოქმიდათ უფრო მეტი უცხოური კომპანია.

მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც დააჩქარა ფასს-ის გადასვლა, გახდდათ გერმანიის დემოკრატიული და ფედერაციული რესპუბლიკების გაერთიანება. აღნიშნულმა ფაქტმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა და დააჩქარა ქვეყანაში კაპიტალის მოზიდვის და მოთხოვნილების ზრდა. ამასთან დაკავშირებით კომპანიათა ფინანსური ანგარიშგება გაცილებით უფრო მეტად ორიენტირებული უნდა ყოფილიყო გარეშე მომსმარტებელზე, მაგალითად საფონდო ბირჟებზე ან საერთაშორისო ინვესტიციებზე. ამიტომ საფონდო ბირჟების ლისტინგში შემავალი კომპანიები, რომლებიც ადგენდნენ კონსულიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, იძულებული იყვნენ მიეღოთ ფასს. ამჟამად თანამედროვე პირობებში არსებობს ქვეყნების მიერ აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების რამდენიმე ფორმა:

- ეროვნული სტანდარტების სახით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება (კვიპროსი, ჭუვეითი, ლატვია, მალტა, პაკისტანი, ტრინიდადი, თობაგო, ხორვატია).
- ეროვნული სტანდარტების სახით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება, მაგრამ იმ პირობით, რომ საერთაშორისო სტანდარტებით ხელშეუხებელი საკითხებისათვის მუშავდება ეროვნული სტანდარტები (მალაიზია და აპუა ახალი გვინეა) ეროვნული სტანდარტების სახით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება, თუმცადა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია მათი მოდიფიცირება ეროვნულ თავისებურებებთან შესაბამისობაში. (ალბანეთი, ზამბია, ზიმბაბვე, კენია, ბანგლადეში, კოლუმბია, სუდანი, ტაილანდი, ურუგვაი, იამაიკა);
- ეროვნული სტანდარტები დაფუძნებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე და უზრუნველყოფენ მათ დამატებით ახსნა-განმარტებას. ასეთ ქვეყნებს შორის შეიძლება დავასახელოთ ჩინეთი, ირანი, სლოვენია, ტუნისი, ფილიპინები.
- ეროვნული სტანდარტები ეფუძნება ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა ცალკეული სტანდარტები შეიძლება იყოს გაცილებით უფრო დეტალიზებული, ვიდრე ფასს. (ინდოეთი, ირლანდია, ლიბერტა, მავრიკიანია, მექსიკა, ნამიბია, ნიდერლანდები, ხორვაგია, პორტუგალია, სინგაპური, სლოვაკეთი, თურქეთი, საფრანგეთი, ჩეხეთი, შვეიცარია, სამხრეთ აფრიკა).
- ეროვნული სტანდარტები ეფუძნება ფასს-ს, იმ ცალკეული გამონაპლისების გარდა, რომ თითოეული ეროვნული სტანდარტი თავის თავში მოიცავს დებულებას, რომელიც ახდენს ეროვნული სტანდარტის ფასს-სთან შედარებას (ავსტრალია, პონტონგი, დანია, იტალია, ახალი ზელანდია, შვედეთი, იუგოსლავია).

ხოლო სულ რამდენიმე წლის წინ აქტიურად განიხილებოდა საკითხი ეფროპის თანამეგობრობის ქვეყნების მიერ ფასს-ის მიღების შესახებ სულ მცირე იმ კომპანიებთან მიმართებაში, რომელთა აქტივებიც განიცდის ფასის დაწესებას საფონდო ბირჟებზე. ვინაიდან აღნიშნული სტანდარტები წარმოადგენს სისტემას, რომელიც საშუალებას აძლევს ახალ საფინანსო სტრუქტურებს გამოიყენონ საფინანსო აღრიცხვის ანგარიშგების წარმოების საერთაშორისო მიღებული და აღიარებული ბაზა, მათი გამოყენება დაიწყო მრავალმა განვითარებადმა ქვეყანამ.

აქვე აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო სტანდარტებს ეროვნული სტანდარტების წინაშე გააჩნიათ როგორც დადგბითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ცალკეულ ქვეყნებში მათ ობიექტურ უპირატესობებს წარმოადგენს:

1. მკაფიო ეკონომიკური დოგიკა.
2. აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში საუკეთესო თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკის განზოგადება.
3. მთელს მსოფლიოში ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთათვის აღქმის სიმარტივე.

ამასთან საერთაშორისო სტანდარტები საშუალებას იძლევა არა მხოლოდ საგრძნობლად შეიკვეცოს კომპანიის ხარჯები გასავლის მუხლების მიხედვით თავიანთ პირად ანგარიშგებათა მომზადებისას, განსაკუთრებით კი სხვადასხვა ქვეყნებში მომუშავე საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციის პირობებში, არამედ შემცირდეს კაპიტალის მოზიდვის დანახარჯები.

ცნობილია, რომ კაპიტალის საბაზისო ფასი განისაზღვრება ორი ძირითადი ფაქტორით – პერსპექტიული უკუგებითა და რისკებით. ამასთან რისკთა განსხვავებული ნაირსახეობანი მართლაც დამახასიათებელია თვით კომპანიათა საქმიანობისათვის, თუმცა არსებობს ისეთებიც, რომელიც გამოწვეულია ინფორმაციის ნაკლებობით, კერძოდ, კაპიტალდაბანდებათა უკუგების შესახებ ზუსტი ინფორმაციის უქონლობით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საინფორმაციო ვაკუუმის ერთ-ერთ მიზეზად გვევლინება სტანდარტული ფინანსური ანგარიშგების უქონლობა, რომელიც ინარჩუნებს რა კაპიტალს, ფაქტიურად ზრდის მას. აღნიშნული გარემოება აიხსნება იმით, რომ ინვესტორები თანახმანი არიან მიიღონ გაცილებით უფრო მცირედი შემოსავალი, აღიარებენ რა საყველთაო ჰემმარიტებას იმის თაობაზე, რომ ინფორმაციის სიაშპარავე ამცირებს რისკებს.

მოცემულ უპირატესობათა ერთობლიობა განაპირობებს სხვადასხვა ქვეყნების სწრაფვას აღრიცხვის ეროვნულ პრაქტიკაში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენებისაკენ.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ნაკლოვანებათა შესახებაც. კერძოდ, მათ შეიძლება მივაკუთნოთ:

- სტანდარტების განზოგადებული ხასიათი, რომელიც აღრიცხვის მეთოდებში ითვალისწინებს საკმაოდ დიდ მრავალფეროვნებას (მრავალგვარობას).
- კონკრეტული სიტუაციებისათვის სტანდარტების დანართების შესაბამისი ინტერპრეტაციებისა და წესების უქონლობა.

ამასთან ერთად სტანდარტების დანერგვას მთელს მსოფლიოში აბრკოლებს ისეთი ფაქტორებიც, როგორიც გახდავთ განვითარების დონე და ტრადიციებში გამოხატული ეროვნული სახესხვაობანი, ასევე ეროვნული ინსტიტუტების მაფიოზ გამოხატული უარი, დათმონ თავიანთი პრიორიტეტები აღრიცხვის რეგულირებისა და მეთოდოლოგიის დარგში.

ამასთან ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი მხედველობაში იღებს ზემოხსენებულ ნეგატიურ ფაქტორებს და ატარებს ქმედით დონისძიებებს მათ აღმოსაფხვრელად. 1989 წრის 1 იანვარს კომიტეტმა გამოაქვეყნა დოკუმენტი E32 „ფინანსური ანგარიშგების შეპირისპირება.”, რომელშიც მოყვანილია მოქმედი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიერ ნებადართული აღრიცხვის მეთოდების შერჩევის შესაძლებლობათა შემზღვდავი 29 წინადაღება. აღნიშნული დოკუმენტი მრავალი სპეციალისტის მიერ მიჩნეულია და განიხილება როგორც ფინანსური

ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის განხორციელებული ერთ-ერთი საუკეთესო პროექტი. იგი საშუალებას იძლევა გარკვეული ხარისხით აღმოიფხსერას როგორც ანგარისგებაში არსებული რიგი განსხვავებებისა, ასევე გამარტივდეს ტრანსფორმაციის პროცედურები საერთაშორისო კონტაქტებში შედარებით ანალიზის ჩატარების დროს.

რაც შეეხება ინტერპრეტაციათა დამუშავებას, ზუსტადაც, რომ უშუალოდ აღნიშნული პრობლემების გადაჭრა გახდავთ აღიარებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო კომიტეტის მიერ, სადაც ზემოთხსენებული მიმართულებით მუშაობა დღესაც გრძელდება. ამასთან დაკავშირებით ამ რამდენიმე წლის წინ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ფასსკის ფარგლებში სტანდარტების ინტერპრეტაციის მუდმივმოქმედი კომიტეტის შექმნის შესახებ. ამასთან, დაახლოებით ათიოდე წლის წინ, კერძოდ, 1999-2000 წწ.-ში ქვეყნების კომპანიებისა და ბირჟების უმრავლესობამ დაიწყეს ფინანსური ანგარიშგებების შედგენა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა შემთხვევაში აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა ითვლება ან შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად. უდავო ფაქტია, რომ თავის საკუთარ შეხედულებებზე მებრძოლი და თავისი ეროვნული ინტერესების დამცველი სახელმწიფოს აქტიურ პოზიციას შეუძლია კარდინალურად შეცვალოს ფასსკის თვალსაზრისი, გინაიდან კომიტეტი მიისწრავგის განაზოგადოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება საადრიცხვო სისტემის ორგანიზაციაში. სავსებით შესაძლებელია, რომ უახლოეს მომავალში კომიტეტის კონსტიტუციაში განიცადოს ცალკეული და შესაძლოა არსებითი ცვლილებებიც, რომლებიც მიმართული იქნება ფასსკ-სა და თავიანთ სახელმწიფოებში სტანდარტების დამდგენელ ეროვნულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთქმედებათა განმტკიცებაზე [2,3].

ამჟამად საქართველოს საზოგადოებისათვის ერთ-ერთ გაცილებით უფრო აქტუალურ პრობლემად გვევლინება ქვეყნაში არსებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის საბაზრო ეკონომიკისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. სამწუხაროდ, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმირების პროგრამა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად არ არის მიღებული. არ არსებობს რაიმე ნორმატიული აქტი, რომელიც დაარეგულირებდა ზემოსხენებულ პროგრამას. (რუსთის ფედერაციაში არსებობს მთავრობის 1998 წლის 6 მარტის № 283 დადგენილება) რომელიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად არეგულირებს ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმირების პროგრამას, რასაც თან ერთვის დაახლოებით 20 ახალი ეროვნული სტანდარტი ბუღალტრული აღრიცხვის დებულებათა სახით, სადაც თითოეული გამყრებულია მეთოდურ მითითებათა ერთდროული მომზადებით.

ჩვენი აზრით, ჩვენს ქვეყანაში სამომავლოდ სტანდარტების შემუშავება უნდა განხორციელდეს სამი ძირითადი მიმართულებით, კერძოდ კი ესენი გახლავთ:

- ბუღალტრული ანგარიშგების სტანდარტები;
- სტანდარტები, რომლებიც დაკავშირებულია ქონებასა და ვალდებულებებთან;
- სტანდარტები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ შედეგებთან.

თავისოთავად ცხადია, რომ ახალ მოთხოვნებთან შეთავსებულ უნდა იქნას საგადასახადო კოდექსის შემუშავებიდან გამომდინარე საგადასახადო აღრიცხვისადმი წაყენებული ახალი მოთხოვნებიც, სადაც მკაფიოდ უნდა იქნას

განსაზღვრული ბიუჯეტში გაწერილი დებულებები გადახდებსა და გადასახდებზე.

აუცილებლად უნდა შეიქმნას საქართველოს საბაზრო ეკონომიკაში ბუღალტრული აღრიცხვის კონცეფცია, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული ახალი ეკონომიკური გარემოს პირობებში ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის აგების საფუძვლები, ანუ შემოთავაზებული იქნება ორიენტაცია საბაზრო ეკონომიკის მოდელზე, სადაც გათვალისწინებული იქნება განვითარებული საბაზრო მეურნეობის მქონე ქვეყნების გამოცდილება და რა თქმა უნდა, აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპები.

ამასთან ერთად, კონცეფციაში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული ბუღალტრული აღრიცხვის მიხედი, დადასტურებულ იქნას ბუღალტრული აღრიცხვის მსოფლიო პრაქტიკის ფუძემდებლური პრინციპების ერთგულება. ამასთანავე საჭიროა ახლებური მიდგომა ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციის ფორმირებისადმი საგადასახადო სისტემაში გამოყენების ოვალსაზრისით, კერძოდ კი, ბუღალტრული აღრიცხვის ამოცანას წარმოადგენს მხოლოდ ორგანიზაციის საქმიანობაზე მონაცემების მომზადება, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია გადასახადით დაბეგვრისათვის აუცილებელ მაჩვენებელთა მიღება.

და ბოლოს, ჩვენი ქვეყნის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის რეფორმირებისას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ორი ძირითადი გარემოება, კერძოდ:

■ უწინარეს ყოვლისა, ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უნდა მომზადეს არა იმდენად საქართველოს სამინისტროებისა და უწყებებისათვის, არამედ კერძო მომხმარებელთათვის, პირველ ყოვლისა კი პრედიტორებისა და ინვესტორებისათვის.

ამგვარი ანგარიშგების შედგანა მოითხოვს საქართველოში აღრიცხვის სამართლებრივ-ნორმატიული ბაზით გათვალისწინებულ მეთოდებს, რომლებიც მსოფლიო პრაქტიკის თვალსაზრისით საწარმოს სამეურნეო მდგომარეობის გაცილებით უფრო აღექვაბურ სურათს იძლევა.

შეორე შხრივ, საქართველოს საფონდო ბაზრის განვითარების ნორმალიზაციის დროს, გაიზრდება საქართველოს კრედიტორებისა და ინვესტორების წილი, რომლებიც დაინტერესებული არიან საწარმოს სამეურნეო მდგომარეობის შესახებ უტესარი ინფორმაციის მიღებაში.. ანგარიშგების აღნიშნულ მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინება სამომავლოდ მოითხოვს როგორც აღრიცხვის მეთოდების გაცილებიტ უფრო ფართო ნაკრების გამოყენებას, ასევე მის სამართლებრივ- ნორმატიულ ბაზაში შესაბამის ცვლილებათა შეტანას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. დუბაძე მ., ჭუმბურიძე ლ. ბუღალტერია, თბილისი 1995.
2. Качагин В.В. Финансовый учёт и отчётность в соответствии с стандартами ГААР.М.; дело, 1998.
3. Панков Д.А. бухгалтерский учёт и анализ в зарубежных странах. М.: Экоперспектива, 1998.

**Vl. Tsverava**

*Candidate of Technical Sciences,*

**I. Abuladze**

*Candidate of Technical Sciences,*

**G. Bregvadze**

*Candidate of Economic Sciences,*

**D. Narimanashvili**

*Academic Doctor,*

**M. Begiashvili**

*Doctorant,*

**M. Siradze**

*Engineer-Constractor,*

**L. Berishvili**

*Undergraduate Student*

## **CONCERNING THE HARMONIZATION OF GEORGIAN ACCOUNTING SYSTEM WITH INTERNATIONAL STANDARDS**

### **Summary**

In this article are stated the basic directions of reformation of the system, existing in Georgia, of organization of the financial account and reporting, according the requirements of the market economy and international standards.

**მერაბ ჯიქია  
თხუ ასოცირებული პროფესორი**

### გადახსის აასივის რაციონალური სტრუქტურის შეფასება

ფინანსური მდგრადობის ანალიზისას უმთავრეს საკითხს წარმოადგენს საკუთარი და ნასეხები კაპიტალის თანაფარდობის რაციონალურობის შეფასება. საწარმოს საშუალებების წყაროების სტრუქტურის შეფასება ინფორმაციის როგორც შიდა, ასევე გარე მომხმარებლების მიერ ტარდება.

გარე მომხმარებლები (ბანკები, ინვესტორები, კრედიტორები) აანალიზებენ საწარმოს საკუთარი და ნასეხები საშუალებების თანაფარდობას საშუალებათა წყაროების მთლიან ჯამთან, დასაშვები ფინანსური რისკის შეფასების თვალსაზრისით. რისკი მატულობს საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წონის შემცირებასთან ერთად.

წყაროების სტრუქტურის შიდა ანალიზი დაკავშირებულია საწარმოს საქმიანობის დაფინანსების აღტერნატიული ვარიანტების შეფასებასთან. ამასთან, არჩევანის გაკეთების ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს ფინანსური რესურსების მოზიდვის პირობები, მათი ღირებულება, რიგის ხარისხი, გამოყენების შესაძლო მიმართულებები და ა.შ.

ერთობლივი კაპიტალის სტრუქტურის მახასიათებელ ძირითად მაჩვენებლებს მიეკუთვნება: ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი, ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტი, გრძელვადიან ნასეხებ კაპიტალზე დამოკიდებულების კოეფიციენტი, დაფინანსების კოეფიციენტი და სხვა. აღნიშნული მაჩვენებლების ძირითადი დანიშნულებაა დაახასიათოს კრედიტორების ინტერესების დაცვის ხარისხი და საწარმოს ფინანსური მდგრადობა. ამ კოეფიციენტებიდან აღსანიშნავია:

$$K_{\text{დამოუკიდებლობა}} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{ბალანსის ვალუტა}} \times 100\%$$

იგი ახასიათებს იმ საშუალებების ხევდრით წონას, რომელიც დაბანდებულია მესაკუთრეთა მიერ საწარმოს ქონების მთლიან ღირებულებაში. კიდევ ერთი კოეფიციენტი, რომელიც ასევე გამოიყენება ფინანსური სტრუქტურის ანალიზისას, არის ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტი (გრძელვადიანი პასივების კოეფიციენტი). მისი გაანგარიშებისათვის გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$K_{\text{ფინანსური მდგრადობა}} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი} + \text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{ბალანსის ვალუტა}} \times 100\%$$

ამ კოეფიციენტის მნიშვნელობაა ის, რომ იგი გვიჩვენებს დაფინანსების იმ წყაროების ხევდრით წონას, რომელიც საწარმოს შეუძლია გამოიყენოს მის საქმიანობაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

$$K_{\text{დამოკიდებულება}} = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{საკუთარი კაპიტალი} + \text{გრძელვადიანი ვალდებულებები}} \times 100\%$$

გრძელვადიანი კაპიტალის ანალიზისას (მოიცავს საკუთარ კაპიტალს და გრძელვადიან გალდებულებებს) მიზანშეწონილია შეგაფასოთ, თუ რა ხარისხით არის დამოკიდიებული საწარმო გრძელვადიან კრედიტებსა და სესხებზე. ამ მიზნით გაიანგარიშებენ დაფინანსების გრძელვადიან ნახესები წყაროებზე დამოკიდებულების კოეფიციენტს. ამასთან, არ განიხილება მიმდინარე პასივები და მთელი უურადღება გადატანილია კაპიტალის სტაბილურ წყაროებსა და მათ თანაფარდობაზე.

ნახესები და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობის შეფასებისთვის გამოიყენება ფინანსური ბერკეტის კოეფიციენტი:

$$K_{\text{დაფინანსება}} = \frac{\text{ნახესები კაპიტალი}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} \times 100\%$$

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს საწარმოს საქმიანობის რა ნაწილი ფინანსდება საკუთარი საშუალებების ხარჯზე და რა ნაწილი – ნახესების ხარჯზე. ითვლება, რომ თუ კოეფიციენტის სიდიდე ერთზე მეტია, მაშინ ეს მნიშვნელოვან ფინანსურ რისკზე მეტყველებს, რაც ხშირად ართულებს კრედიტის მიღების შესაძლებლობას.

იმავდორულად, განხილული მაჩვენებელების მნიშვნელობების ინტერპრეტაციისას პირდაპირი რეკომენდაციებისაგან თავი უნდა შევიკავოთ. ცალკეულ საწარმოში საკუთარი კაპიტალის ხევდრითმა წონამ წყაროების მთლიან მოცულობაში შეიძლება შეადგინოს ნახევარზე ნაკლები და მიუხედავად ამისა, ასეთმა საწარმოებმა შეიძლება შეინარჩუნონ საკმაოდ მაღალი ფინანსური მდგრადობა, ეს, პირველ რიგში, ეხება საწარმოებს, რომელთა საქმიანობისთვის დამახასიათებელია აქტივების მაღალი ბრუნვადობა, სტაბილური მოთხოვნა გასაყიდ პროდუქციაზე, მომარაგებისა და გასადების აწყობილი არხები, მუდმივი დანახარჯების დაბალი დონე (მაგალითად, სავაჭრო და საშუალავლო ორგანიზაციები).

კაპიტალტევადი საწარმოებისთვის, საშუალებების პრუნვადობის ხანგრძლივი პერიოდით, რომლებსაც გააჩნიათ მიზნობრივი დანიშნულების აქტივების მნიშვნელოვანი ხევდრითი წონა (მაგალითად, მანქანითმშენებელ საწარმოებში) ნახესები საშუალებების 40-50% ხევდრითი წონა შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს ფინანსური სტაბილურობისთვის.

კაპიტალის სტრუქტურის მახასიათებელი კოეფიციენტები, ჩვეულებრივ განიხილება, როგორც საწარმოს რისკის ხარისხის მაჩვენებელი. რაც უფრო მაღალია სესხის ხევდრითი წონის სიდიდე, მით უფრო დიდია მოთხოვნილება ფულად საშუალებებზე, რაც აუცილებელია მისი მომსახურებისათვის ფინანსური სიტუაციის გაუარესების შემთხვევაში, ასეთ საწარმოებში მაღალია გადახისუუნარობის რისკი.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მოყვანილი კოეფიციენტები შეიძლება განხილულ იქნეს როგორც წარმოებაში არსებული „პრობლემური მომების“ გამოსავლენი ინსტრუმენტები. რაც უფრო მცირეა სესხების ხევდრითი წონა, მით უფრო ნაკლებია კაპიტალის სტრუქტურის რისკის ანალიზის გადრმავების აუცილებლობა. სესხების მაღალი ხევდრითი წონის პირობებში აუცილებელია ისეთი ძირითადი საკითხების განხილვა, როგორიცაა: ნახესები კაპიტალის შემადგენლობისა და სტრუქტურის ანალიზი (იმის გათვალისწინებით, რომ ბალანსის მონაცემები შეიძლება წარმოადგენდეს საწარმოს ვალდებულებების მხოლოდ საწარმოს უნარიანობის შესწავლა ფულადი საშუალებების გენერირებაზე (გამომუშავებაზე), რაც აუცილებელია არსებული

ვალდებულებების დასაფარავად, ასევე, საქმიანობის შემოსავლიანობისა და სხვა არსებითი ფაქტორების ანალიზი.

საწარმოს ქონების წყაროების სტრუქტურის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აქტივებში მათი განლაგების წესს.

განვიხილოთ კომერციულ საწარმოებში აქტივებისა და პასივების თანაფარდობის გავრცელებული ვარიანტები.

აქტივებისა და პასივების თანაფარდობის წარმოდგენილი სქემა (1 ვარიანტი) საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ საკუთარი და ნაესხები კაპიტალის უსაფრთხო სტრუქტურის შესახებ. სრულდება ორი ძირითადი პირობა: საკუთარი კაპიტალი აღემატება გრძელვადიან აქტივებს, მიმდინარე აქტივები მოკლევადიან ვალდებულებებზე მაღალია.

### ვარიანტი 1

აქტივები	საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები
მიმდინარე აქტივები – 50%	მოკლევადიანი ვალდებულებები – 20% გრძელვადიანი ვალდებულებები – 0%
გრძელვადიანი აქტივები – 50%	საკუთარი კაპიტალი – 80%

### ვარიანტი 2

აქტივები	საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები
მიმდინარე აქტივები – 70%	მოკლევადიანი ვალდებულებები – 60% გრძელვადიანი ვალდებულებები – 0%
გრძელვადიანი აქტივები – 30%	საკუთარი კაპიტალი – 40%

აქტივებისა და პასივების თანაფარდობის მე-2 ვარიანტი, საკუთარი კაპიტალის არც თუ ისე მაღალი ხევდრითი წონის მიუხედავად, ასევე არ იწვევს საფრთხეს, ვინაიდან მოცემულ საწარმოში გრძელვადიანი აქტივების ხევდრითი წონა მაღალი არ არის და საკუთარი კაპიტალი სრულად ფარავს მის სიდიდეს.

### ვარიანტი 3

აქტივები	საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები
მიმდინარე აქტივები – 50%	მოკლევადიანი ვალდებულებები – 30% გრძელვადიანი ვალდებულებები – 20%
გრძელვადიანი აქტივები – 50%	საკუთარი კაპიტალი – 50%

მე-3 ვარიანტი აქტივების და პასივების თანაფარდობა ასევე გვიჩვენებს გრძელვადიანი წყაროების გადაჭარბებას გრძელვადიან აქტივებზე. აქტივებისა და ვალდებულებების უტყუარი შეაფსებისას ფინანსურ მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.

### ვარიანტი 4

აქტივები	საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები
მიმდინარე აქტივები – 40%	მოკლევადიანი ვალდებულებები – 30% გრძელვადიანი ვალდებულებები – 20%
გრძელვადიანი აქტივები – 60%	საკუთარი კაპიტალი – 50%

ბალანსის სტრუქტურის მოცემული ვარიანტი, ერთი შეხედვით, მიუთიობს საბუთარი კაპიტალის უქმარისობაზე. ამასთან, გრძელვადიანი ვალდებულებების არსებობა შესაძლებლობას იძლევა სრულად მოვახდინოთ გრძელვადიანი აქტივების ფორმირება საშუალებათა გრძელვადიანი წყაროების ხარჯზე.

### ვარიანტი 5

აქტივები	საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები
მიმდინარე აქტივები – 40%	მოკლევადიანი ვალდებულებები – 50%
	გრძელვადიანი ვალდებულებები – 5%
გრძელვადიანი აქტივები – 60%	საკუთარი კაპიტალი – 45%

სტრუქტურის მოცემული ვარიანტი სახიფათოა საწარმოს ფინანსური მდგრადობისათვის. საანალიზო საწარმოს ნამდვილად არ ყოფნის გრძელვადიანი წყაროები ბრუნვისგარეშე (გრძელვადიანი) აქტივების ფორმირებისათვის, რის შედეგადაც ის იძულებულია გამოიყენოს მოკლევადიანი ნასესხები საშუალებები გრძელვადიანი აქტივების ფორმირებაზე. მაშასადამე, ცხადია, რომ მოკლევადიანი ვალდებულებები გახდა ძირითადი წყარო მიმდინარე და ნაწილობრივი წყარო ბრუნვისგარეშე აქტივების ფორმირებისათვის, რაც დაკავშირებულია ასეთი საწარმოს საქმიანობის ფინანსური რისკების ამაღლებასთან.

შესაბამისად, ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის ზოგადი წესი შემდგენია: გრძელვადიანი აქტივები ფორმირებული უნდა იყოს საკუთარი და ნასესხები გრძელვადიანი წყაროების ხარჯზე, თუ საწარმოს არ გააჩნია გრძელვადიანი პირობით მოზიდული ნასესხები საშუალებები, ძირითადი საშუალებებისა და სხვა ბრუნვისგარეშე აქტივის ფორმირება უნდა მოხდეს საკუთარი კაპიტალის ხარჯზე.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს საკუთარი და ნასესხები საშუალებების თანაფარდობაზე, არის საწარმოს დანახარჯების სტრუქტურა. იმ საწარმოებს, რომლებშიც მუდმივი დანახარჯების ხვედრითი წონა მთლიან დანახარჯებში მნიშვნელოვანია, უნდა გააჩნდეთ საკუთარი კაპიტალის დიდი მოცულობა.

ფინანსური მდგრადობის ანალიზისას ასევე აუცილებელია გავითვალისწინოთ საშუალებების ბრუნვის სიჩქარე. საწარმოს, რომელსაც საშუალებების ბრუნვის უფრო მაღალი სიჩქარე აქეს, შეიძლება პქონდეს ნასესხები წყაროების მაღალი ხვედრითი წონა პასივების მთლიან ერთობლიობაში ისე, რომ საფრთხე არ დაემუქროს მის გადახდისუნარიანობას და არ გაიზარდოს კრედიტორთა რისკები (საწარმო, რომელსაც კაპიტალის მაღალი ბრუნვადობა აქეს, ადგილად უზრუნველყოფს ფულადი საშუალებების შემოდინებას და შესაბამისად, ანგარიშსწორებას ვალდებულებებზე), ამიტომ, ასეთი საწარმოები უფრო მიმზიდველია კრედიტორებისა და გამსესხებლებისთვის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Роберт С. Хичинс. Финансовый анализ: инструменты для принятия бизнес решений. М. 2008.
2. Ионова А. Ф. Селезнева И. Н. Финансовый анализ. М. 2008.
3. Савицкая Г. В. Анализ хозяйственной деятельности предприятия. М. 2008.
4. Ефимова О. В., Мельник М. В. Анализ финансовой отчетности. М. 2008.
5. Ефимова О. В. Финансовый анализ: бухгалтерский учет. М. 2002.

*Merab Jiqia  
Associated Professor*

## **ASSESSMENT OF RATIONAL STRUCTURE OF THE BALANCE LIABILITY**

### **Summary**

There is following general rule of providing financial sustainability: the source of formation long term assets are own sources, or long term borrowed sources. If organization has not long term loan, the formation of long term assets have to be realized on basis of owner's equity.

Additional factor influencing on relationship of own assets and borrowed assets is the structure of costs of organization. Organizations with high level of fixed costs have to have large amount of owner's equity.

Analyzing financial sustainability, one have to take in account turnover of an assets and liabilities. Organization with high level of turnover, can have high level of borrowed assets and it is not terrible for organization financial solvency or factor of increasing creditor's risks (Organization with high level of capital turnover can provide cash income very easily and can disburden his liabilities), hence, organization is very "attractive" for creditors and borrowers.

## მეცნიერება

**გიული ქეშელაშვილი**  
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

### ნაცოტებნოლოგიების განვითარებაში ინოვაციური მეცნიერების მოთხოვების უძა უასუხეოს

ბიზნესის განვითარების გლობალურმა პროცესმა ახალი მიმართულებები შეიძინა. იგი შეიჭრა მეცნიერების სფეროში, რის შედეგადაც წარმოქმნა ინოვაციური, ანუ ცოდნის ეკონომიკა, რომლის გარეშეც შეუძლებელია თანამედროვე ბიზნესის განვითარება. როგორ შეუძლიათ დინამიური კონკურენციის პირობებში არსებული რესურსების გამოყენებით თანამედროვე კომპანიებს კონკურენტული უპირატესობის მოპოვება? თანამედროვე ბიზნესის მიღწევები განპირობებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით, რის შედეგადაც იქმნება ახალი საქონელი, ახალი ტექნოლოგიები, კომპიუტერული სისტემები, რობოტოსისტემები, ინოვაციური მეცნიერებები. გარემოში მიმდინარე სწრაფი ცვლილებები მეცნიერებისაგან დაბალი დანახარჯების ეკონომიკურ დოგიკურობასა და დიფერენციაციას შორის გონივრული თანაფარდობის დაცვას მოითხოვს, რაც მომხმარებელს წარმოებული პროდუქციის შეძენისკენ აძლევს ბიძგს. დინამიური კონკურენცია კომპანიათა წინაშე აკენებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თამაშის წესების შეცვლის საფიქსირებულ ქავენებში მცირე ფირმები სიახლეებს გაცილებით სწრაფად ხერგავენ, ვიდრე მსხვილი ორგანიზაციები, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ საწარმოებზე. 2010 წლისათვის საქართველოში არსებული 4 ათასი მცირე საწარმოდან მხოლოდ 3% ეწოდა ინოვაციურ საქმიანობას. მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველო კვლავ ინარჩუნებს მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს, კვალიფიციურ სამეცნიერო და საინინრო კადრებს, აქვს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსები და შიდა ბაზრის ზრდის დიდი პოტენციალი. ჩვენთან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინოვაციური სფეროს განვითარება, რადგან ძირითადად ამ სფეროში ხდება უუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ბაზაზე მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე საბაზრო საქონლის და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროდუქციის შექმნა.<sup>19</sup>

ნანოტექნოლოგიებს ამჟამად უდიდესი უურადღება ეთმობა, თუმცა მათი ეკონომიკური ასპექტები ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი. კეთდება მცდელობები, რათა შეფასებულ იქნას: თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს ამდაგვარი ტექნოლოგიების დანერგვამ წარმოებაში; რამდენად ძლიერი იქნება ეკონომიკური და საწარმო ეფექტი. მიმდინარეობს ინტენსიური კვლევები, თუ როგორ შესაძლო გავლენას იქონიებს ეს დარგი მსოფლიოს ეკონომიკურ ზრდაზე და ზოგადად მსოფლიოს ეკონომიკურ სურათზე მთლიანობაში. საუბარია ახალ ბაზრებზე, მომავალი თაობის საქონლებისა და მომსახურების გაჩენაზე, ნანოტექნოლოგიების გავლენაზე ადამიანების ჯანმრთელობასა და მის გარემოზე.

ტერმინი ნანოტექნოლოგია პირველად 1974 წელს გამოიყენა ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორმა ნორიო ტანიგუჩიმ. ხოლო 1992 წელს აშშ-ის კონგრესის კომისიის წინაშე გამოსვლისას ერიკ დრეკსლერმა დახატა ნანოტექნოლოგიური რევოლუციის შემდგომი მსოფლიოს სურათი: მოისპობა შიმშილი, ავადმყო-

<sup>19</sup> ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბ., 2011, გამომ. „ნეკერი“, გვ.217-230.

ფობები, გარემოს დაბინძურება და სხვა ყოფითი პრობლემები. პრაქტიკულად ყველაფერი, რაც აუცილებელია ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის, შესაძლებელია დაამზადონ ნანორობოტებმა გარემოს ატომებისა და მოლებულებისაგან. კვების პროდუქტების დამზადება შესაძლებელი გახდება ნიადაგისა და ჰაერისაგან, ზუსტად ისევე, როგორც ეს მცენარეებში ხდება. წარმოება გახდება გაცილებით რენტაბულური და ეკოლოგიური, ვიდრე დღვანებელი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ნანოკომპიუტერები და ნანომანქანები შეავსებენ გარემობის სივრცეს: ისინი იქნებიან ჰაერის მოლებულებს შორის, ყოველ საგანში, ადამიანის ორგანიზმის ყოველ უჯრედში, მოხდება კაცობრიობის შერწყმა გარემოცველ სამყაროსთან ერთიან თრგანიზმად.

„ნანო“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და „ჯუჯას“ ნიშნავს. იგი არის მეტრის მეტილიარდებით ნაწილის ზომის მქონე ნაწილაკი. ნანოტექნოლოგია ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებისა და ტექნიკის დისციპლინათშორისი სფეროა, რომელიც საგნების ატომურ და მოლებულურ დონეზე მანიპულირების მეთოდებსა და ხერხებს შეისწავლის. ზოგადად ნანოტექნოლოგია იკვლევს ისეთ სტრუქტურებს, რომელთა ზომა 100 ნანომეტრს არ აღმატება და მოიცავს მასალებისა და მოწყობილობების შემუშავებას აღნიშნული ზომის ფარგლებში. მცირე ზომის ობიექტთა პრინციპული მნიშვნელობა ხაზგასმული იყო ნობელის პრემიის ლაურეატის, რიჩარდ ფინიმანის მიერ კალიფორნიის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ამერიკის ფიზიკური საზოგადოების სხდომაზე 1959 წლის 29 დეკემბერს წაკითხულ დექციაში: ”იქ, ქვევით საგმარისი ადგილია“. ისმის მოსაზრებები, რომ ნანომეცნიერება და ნანოტექნოლოგიები, რომლებიც მიმართულნი არიან ნანოსამყაროს შესწავლისა და გამოყენებისაკენ, იმდენად სწრაფად ვითარდებიან, რომ შესაძლოა იქცნებ XXI საუკუნის ეკონომიკური ზრდის საბაზო დარგად. ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, ნანოტექნოლოგია წარმოადგენს არა მარტო მაღალი ტექნოლოგიის ერთ-ერთ ტოტს, არამედ ის არის 21-ე საუკუნის ცოდნის ეკონომიკაზე დაფუძნებული ეკონომიკის სისტემაწარმომქმნელი ფაქტორი. მოცემული თვისებების მქონე მასალების მიღების პრობლემებისადმი სპეციალისტების მიერ შემუშავებული ახალი მიღებობი სულ უფრო და უფრო მეტ შურადღებას იძყრობს ისეთ უმნიშვნელოვანებს დარგებში, როგორიცაა: მედიცინა, ფარმაკოლოგია, ენერგეტიკა, ელექტრონიკა, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, მასალათმცოდნობა, ოპტიკა, ეკოლოგია, საწვავის ახალი სახეები, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვა და სხვ უახლოეს პერიოდში ნანოტექნოლოგიები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდება, ხოლო მრავალ დარგში (ელექტრონიკა, ოპტიკა, ფარმაკოლოგია და მასალათმცოდნებობა) ისინი საიმედოდ არიან განმტკიცებულნი წამყვან პოზიციებზე.

ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიის განვითარება იმპულსს ანიჭებს მედიცინის, ბიოტექნოლოგიის, ქიმიის, გარემოს დაცვის, მასალათმცოდნების (ლითონები, პოლიმერები, კერამიკა) განვითარებას. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის ფაქტი, რომ ქიმიური ნანოტექნოლოგიები მცირენარჩენიანია, რაც ხდის მათ განსაკუთრებით ფასეულს თანამედროვე პირობებში. შთამბეჭდავია, თუ როგორ მოიცვა ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მხარეები ნანომეცნიერების აღმოჩენებისა და ნანოტექნოლოგიების მიღწევების წყალობით განვითარებულმა ეკონომიკის მრავალმა დარგმა. ეს დარგებია: ელექტრონული, კოსმეტიკური, საფეიქრო მრეწველობა, ფარმაცევტიკა, გარემოს დაცვა. ნანოტექნოლოგიები გამოიყენება გაუხუნავი საღებავების, გამჭვირვალე მზედამცავი საფარების, ნაკარგებისადმი მდგრადი სავტომობილო საღებავების, გაზრდილი სიმძლავრის ნახევარგამტარების მისაღებად, ენერგიის „წმინდა“ წარმოების, იაფი მაღალაქტიური კატალიზატორების,

საწვავის ელემენტების შექმნისას, ნახშირის გაზიფიკაციის პროცესებში, საპროტეზო მასალების წარმოებაში და სხვ<sup>202122</sup>.

პრობლემათა მთელ წელს იმ ვადების მიხედვით, რომლებიც საჭიროა საგრძნობი შედეგების მისაღებად სპეციალისტები სამ კატეგორიად ჰყოფენ: მოკლევადიანი (1-5 წელი), რომელსაც მიეკუთვნება ნანოკომპოზიტები, ნანომებბრანები, ფილტრები, ახალი თაობის კატალიზატორები დოთონის შემცველობით ერთი რიგით ნაკლები, ვიდრე ამჟამადაა გამოყენებული, ქმიური და ბიოლოგიური სენსორები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ხელსაწყოები, აკუმულატორები გაზრდილი მომსახურეობის ვადით; საშუალოვადიანი (5-10 წელი), რომელსაც მიეკუთვნება მიზანმიმართული სამკურნალო თერაპია, ზუსტი სამედიცინო დიაგნოსტიკა, მეზოფორიანი მასალები, მზის მაღალეფებიანი იაფი ბაზარები, თბოელემენტები, წყლისაგან წყალბადის მიღების მაღალეფებიანი ტექნოლოგია; გრძელვადიანი (20 წელზე მეტი), რომელსაც მიეკუთვნება მოლეკულური ელექტრონიკა, უჯრედის გარსში წამლების შეკვანა, ინფორმაციის გადაცემის ოპტიკური საშუალებები.

მეზომივად მიმდინარეობს კამათი და დისკუსია ნანოტექნოლოგიების განვითარების პერსპექტივების თაობაზე პოტენციური ბაზრის შეფასებები რამოდენიმე ტრილიონ დოლარს შეადგენს 2015 წლისათვის.

ნანოტექნოლოგიების ბაზარს მიეკუთვნება როგორც ის ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება გარკვეული თვისებების მქონე ნივთიერებების მისაღებად საჭირო სხვადასხვა მასალების დასამზადებლად, რომლებზეც არსებობს მოთხოვნა ამა თუ იმ სახის საქმიანობაში, ასევე ნანოტექნოლოგიები, რომლებიც იძლევიან პრინციპულად ახალი პროდუქტების შექმნის საშუალებას.

ნანომასალები, ანუ შუალედური პროდუქტები ნანოტექნოლოგიების გამოყენებით - ეს მხოლოდ ის მასალებია, რომლებსაც შეისყიდის საწარმო საბოლოო პროდუქტის წარმოებისთვის. ამიტომ მნიშვნელოვანია პროდუქციის საბოლოო დირებულებაში ამ მასალების წილის დადგენა. სხვადასხვა დარგში ეს წილი მნიშვნელოვნად განსხვავდება. მაგალითად, აგრომრეგულობაში, წამყვანი მწარმოებლების ანგარიშების თანახმად, მასალებისა და შუალედური პროდუქტების დირებულება აღწევს საბოლოო დირებულების 60% მაშინ, როდესაც ტანსაცმლისა და ფესსაცმლის წარმოებაში - 20%-ს არ აღემატება. საშუალოდ მასალებისა და შუალედური პროდუქტების წილი საქონლის საბოლოო დირებულების 1/3 შეადგენს.

საინტერესოა ის გარემოება, რომ დღეისათვის ნანოტექნოლოგიები ყველა გამოყენებული მასალის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს. რა არის ნანოპროდუქტი? ეს არის ძირითადად ის საფარი, ფირი, ან ფეხნილი, რომელსაც ამატებენ მასალებს დამზადებისას სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესების მიზნით. იმ კომპანიების გამოკითხვით, რომლებიც აწარმოებენ პროდუქტებს ნანოტექნოლოგიების გამოყენებით, ნანოს წილი მასალებსა და შუალედურ პროდუქტებში საშუალოდ შეადგენს დაახლოებით 10%-ს.

შესაძლებელია 2015 წლისათვის მივიღოთ ნანოტექნოლოგიების მსოფლიო ბაზრის (ნახვარგამტარების გათვალისწინების გარეშე) აღექვაზური შეფასება<sup>23</sup>,

<sup>20</sup> Mark Ratner, Daniel Ratner, Nanotechnology: A Gentle Introduction to the Next Big Idea, 2003, publ.: Pearson, 188 p.

<sup>21</sup> Жоаким К., Плевер Л. Нанонауки. Невидимая революция. 2009, Изд.: Колибри, 240 ст.

<sup>22</sup> Балабанов В.И., Балабанов И.В. Нанотехнологии: правда и вымысел. 2010, Изд.: Эксмо, 384 ст.

სადაც პრინციპულად ახალი პროდუქტების წილი იქნება  $5\% * 1,5$  ტრლნ. დოლარი = 75 მლრდ. დოლარი, დანარჩენი:  $95\% * 1,5$  ტრლნ. დოლარი  $* 1/3 * 10\% = 47,5$  მლრდ. დოლარი, ანდა ჯამურად დაახლოებით 122, 5 მლრდ. დოლარი 2015 წელს. ნახევარგამტარების წილი საბოლოო პროდუქციაში ნანოტექნოლოგიების გამოყენებით იქნება 18-19%, ხოლო, ნანოტექნოლოგიების გამოყენებით ნახევარგამტარების ბაზრის აღექმატური შეფასება  $0.185 * 0.7 * 2$  ტრლნ. დოლარი = 259 მლრდ. დოლარი. ნანოტექნოლოგიების მსოფლიო ბაზრის მოცულობა მთლიანობაში იქნება:  $259 + 122,5 = 381,5$  მლრდ. დოლარის ტოლი.

მოსალოდნელი შემოსავლიანობა უახლოეს წლებში ჯერ-ჯერობით კვლავ დაბალი დარჩება ( $15-20\%-ზე$  ნაკლები). მოსალოდნელია, რომ უახლოეს პერიოდში ნანოტექნოლოგიებში ინვესტირების საშუალო შემოსავლიანობა წლიური შემოსავლის  $10\%-ს$  არ აღმატებოდეს, ხშირად  $5\%-ზე$  ნაკლებსაც. ამასთანავე, თუ ავიდებთ მომდევნო რამოდენიმე წლიურადში გაყიდვების ზრდის ისეთივე ტემპებს, როგორიცაა ინვესტიციების ზრდის ტემპები ბოლო წლებში, აგრეთვე გავითვალისწინებთ მოსალოდნელ რენტაბელობას  $15-20\%-ის$  დონეზე, მაშინ მივიღებთ 2015 წლისათვის ნანოტექნოლოგიების ბაზრის 150-350 მლრდ დოლარიან შეფასებას ( $\text{შემოსავლიანობა } 5-10\%$ , ამოგება 10 წელი, რენტაბელობა  $15-20\%$ ). ამავე დროს, ნანოტექნოლოგიებთან დაკავშირებულ პროექტებში ინვესტიციების მოცულობაზე მოყვანილ მონაცემებში არ არის გათვალისწინებული მსხვილი კორპორაციების მიერ განხორციელებული ინვესტიციები ნახევარგამტარებში. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ შედეგები მიიღება ინვესტიციების საშუალო მოსალოდნელი შემოსავლიანობისას  $3-5\%-ის$  დონეზე, როგორც ზემოთ იყო ნავარაუდევი.

მენეჯერები იმ სფეროებში, რომლებიც მსხვილი ინვესტიციებით, რისკისა და მოქნილობის მაღალი ხარისხით ხასიათდება (მაგ. ნავთობი და გაზი, სამთო-სამომავლებლო, ფარმაკოლოგია და ბიოტექნოლოგიები), იწყებენ რეალური ალტერნატივების გზების ძიებას. კომპანიებს ბაზრის კვლევისა და საკონსტრუქტორო სამუშაოების შესახებ უამრავი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ, რომელიც გაურკვევლობის დროს საიმედო დაშვებების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდება. მათთვის ასევე მნიშვნელოვანია საინიციატივის კორპორატიული კულტურის ფლობა, რომლისთვისაც უცხო არ არის როგორი მათემატიკური ინსტრუმენტების შემდეგ ნიუანსებს:

რადგან გამრდვევ ტექნოლოგიებს ის ტექნოლოგიები მიეკუთვნება, რომელთა საშუალებითაც ჩნდება ახალი ბაზრის ძიების, ბაზრის მსხვილი სეგმენტის დაყრობის, ან არსებულ ბაზარზე ლიდერის პოზიციის დაკავების შესაძლებლობები, ნანოტექნოლოგიების ბაზრის შეფასებისას ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ ნიუანსებს:

პირველი, თუ არ გავითვალისწინებთ ნახევარგამტარებს, მაშინ ნანოტექნოლოგიების ბაზრის ყველაზე დიდ წილს დაიკავებენ პრინციპულად ახალი პროდუქტები ახალ დარგებში, ან დარგების ახალ სეგმენტებში. შეფასების მიხედვით 2015 წლისთვის ნანოტექნოლოგიების  $5\%$  დაიკავებს ბაზრის  $60\%-ზე$  მეტს და მათი წილი მნიშვნელოვნად გაიზრდება გრძელვადიან პერსპექტივაში. ამიტომ პოტენციური ინვესტიციების განსაზღვრისთვის უნდა შეირჩეს ის დარგები და ტექნოლოგიები, რომლებიც შექმნიან ახალ მზარდ ბაზრებს (მაგალითად, მზის ენერგეტიკა);

მეორე, ნანოტექნოლოგიების ბაზრის განვითარება შექმნის უდიდეს გარე ეფექტს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისთვის, რომელიც თავისი მასშტაბებით

<sup>23</sup>Консалтинговая компания “Кислород”, Методология оценки рынка нанотехнологий, 2011, o2consulting.ru/.../metodologiya-ocenki-rynka-nanotehnologij/

მნიშვნელოვნად აღემატება ნანოტექნოლოგიების ბაზრის მოცულობას. ეს ეფექტი შეჯერებული იქნება მიკროტექნოლოგიების განვითარებასთან. ცხადია, რომ კომპიუტერების, ინტერნეტისა და მობილური კავშირის განვითარებამ მიგვიყვანა მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვან ცვლილებებამდე. თუ მიკროტექნოლოგიების განვითარებამ მიგვიყვანა ინფორმაციის დამუშავებისა და გადაცემის დირექტულების მნიშვნელოვან შემცირებამდე, მაშინ ნანოტექნოლოგიების განვითარება მიგვიყვანს წარმოების უფექტიანობის მნიშვნელოვან ზრდამდე და რესურსების ეკონომიკიდან ცოდნის ეკონომიკაზე საბოლოო გადასხვლამდე, ანუ ეკონომიკაზე ბუნებრივი რესურსების გავლენის შემცირებასა და ადამიანური კაპიტალის გავლენის ზრდამდე.

ნანოტექნოლოგიებში ინვესტირება ჩვენს ქვეყანას უდიდეს ეკონომიკურ ეფექტს მოუტანს, რომელიც საბოლოოდ ეკონომიკის უფექტიანობის ზრდაში აისახება და არა ნანოტექნოლოგიების მასშტაბურ წარმოებაში. ამავე დროს ახალი პროდუქტების გამოჩენა და ახალი დარგების აღმოცენება მსოფლიოში ძალით განლაგების ცვლილების შესაძლებლობას შექმნის. სწორედ ამ ორი ასპექტის შეფასება (გარეგანი ეფექტების შეფასება და გამრდვევი ტექნოლოგიების გამოვლენა) მნიშვნელოვან როლს შეასრულებს უახლოეს პერსპექტივივაში. გამრდვევი ტექნოლოგიების დანერგვაში გაიმარჯვებს ის, ვინც შეძლებს ეკონომიკაზე ნანოტექნოლოგიების ბაზრის განვითარების გავლენის აღექვაზურ შეფასებასა და აირჩევს უფრო ეფექტიან სტრატეგიას.

ინვაციურ-ტექნოლოგიური პოტენციალის განვითარებისა და მისი ეფექტიანი სახელმწიფო მხარდაჭერის საკითხი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ჩვენთან ინვაციური პროდუქტის წარმოება მნიშვნელოვანად ჩამორჩება ბაზრის ფორმირების პროცესს და მოთხოვნას, ხოლო შექმნილი სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტი იშვიათად გადაიქცევა ხოლმე საწარმოო, კომერციულ პროდუქტად. საქართველოს წინაშე მდგარი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა კი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამეცნიერო და საინჟინირო-ტექნოლოგიური საქმიანობის მკვეთრ გაუმჯობესებაზე, ინვაციური საქმიანობის გააქტიურება ის პრიორიტეტული მიმართულებაა, რომლის წარმატებული განხორციელება განაპირობებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემების გადაჭრას, ის არის ქმედითი საშუალება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური წინსვლა და ბაზრის შექსება საქუთარი წარმოების კონკურენტუნარიანი პროდუქციით.

*Giuli Keshelashvili*

*Doctor of Economics, Professor*

## **THE DEVELOPMENT OF NANOTECHNOLOGIES SHOULD RESPOND TO THE REQUIREMENTS OF INNOVATIVE MANAGEMENT**

### **Summary**

Work provides discussion of the substance of nanotechnologies, their significance and economic aspects of development. It demonstrates that because of limited monetary assets of small enterprises operating in Georgia no significant amounts could be invested in new equipment, technologies, marketing; manufacturing of innovative products stays far behind the process and requirements of market formation. Focus is made on the issues of development of innovative-technological potential of Georgia and its effective state support. Development of nanotechnologies is the priority direction in the science, which would contribute to dealing with the problems of economic and social development, saturation of market with locally manufactured competitive products in our country.

**რეგიონული ეკონომიკა**

**ლამარა მინდორაშვილი  
სტუ ასოცირებული პროფესორი**

**საქართველოში რეგიონული საინიაციო პოლიტიკის  
მიზნები და ამოცანები**

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ხდება ცოდნის ეკონომიკაზე, ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ორიგენტირებული რეგიონული ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება, რაც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს გამოიყენოს მისი შედარებითი უპირატესობები, განავითაროს პრიორიტეტული დარგები და აამაღლოს მათი კონკურენტურიანობა.

მიზანშეწონილად მიგვაჩინია ინოვაციების წახალისება სახელმწიფო შესყიდვებითა და საჯარო და კერძო სექტორებს შორის ტექნოლოგიების ტრანსფერის ინსტრუმენტების შექმნით. უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს დონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ტექნოლოგიურ ტრანსფერს საჯარო კვლევით ინსტიტუტებს, კერძო სექტორსა და სამქარეო სუბიექტებს შორის; აღნიშნულმა უნდა გაზარდოს კვლევებში ინვესტირებული საჯარო რესურსების ეფექტურობა და პროდუქტიულობა. ტექნოლოგიების ტრანსფერის შესაბამისი პოლიტიკითა და საკინონმდებლო რეგულირებით, შესაძლებელია ინოვატორების ცოდნის ნაკადის შეფასება და თანამშრომლობის სტიმულირება. საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების ტრანსფერის თემა, ადამიანური კაპიტალის, ცოდნის, ინოვაციური სისტემების მწირი შესაძლებლობების ფონზე, უადრესად აქტუალურია ქავენის კონკურენტურიანობის და ეკონომიკურ განვითარების საკითხის გადაწყვეტაში. ამ ეტაპზე საქართველოში უნდა შეიქმნას ადგილობრივი საწარმოების განვითარებისათვის ტექნოლოგიური ტრანსფერის განხორციელების მყარი ეკონომიკური და საკანონმდებლო ბაზა, რამაც თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს უცხოური ინვესტიციებით მოწინავე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ტრანსფერს.

პირველ ყოვლისა, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ცენტრები, გაიმიჯნოს ცენტრისა და რეგიონის ქონებრივი უფლებები, რაც მთავარია მიღწეულ იქნას ზუსტი, სამედი რეგიონული სტატისტიკის და ანგარიშების წარმოება.

**რეგიონული საინოვაციო ცენტრების შექმნის ხელშეწყობა.** რეგიონული საინოვაციო სისტემის კონსოლიდაციის ქმედით ინსტრუმენტს წარმოადგენს რეგიონული საინოვაციო ცენტრების (რსც) ჩამოყალიბება. რეგიონული განვითარების ცენტრები ძირითადად განახორციელებენ შემდეგ საქმიანობას: კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების მცირე და საშუალო მეწარმეებს შორის შეაძლობა; ტექნოლოგიური და საინოვაციო საჭიროებისა და კვლევით შესაძლებლობებს შორის საბროკერო როლის შესრულება. ამგვარი ცენტრების ჩამოყალიბება შესაძლებელია რეგიონული ადმინისტრაციების ინიციატივით და, ამასთანავე, სამთავრობო უწყებების მნიშვნელოვანი მხარდაჭერით. რეგიონული საინოვაციო ცენტრების მთავარ პარტნიორებად განიხილებიან: ცენტრალური ხელისუფლების დარგობრივი უწყებები და სამინისტროები, საქპარტენტი, ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, რეგიონული ადმინისტრაციები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რეგიონული საინვესტიციო ფონდები, რეგიონული/ადგილობრივი განვითარების სააგენტოები, სავაჭრო-კომერციული ბალატები, მეცნიერებათა აკადემიები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, კვლევა-განვითარების ინსტიტუტები, ბიზნეს ინკუბატორები, ტექნო-

ლოგიური ტრანსფერის ცენტრები, ტექნოპარკები და ტექნოპოლისები, მცირე და საშუალო მეწარმეები, სარისკო კაპიტალის ფირმები, არასამთავრობო ორგანიზაციები.

კონკრეტულ რეგიონებში საინოვაციო ცენტრების საქმიანობის პრიორიტეტები შესაძლოა მისადაგებულ იქნეს კონკრეტულ მოცულობასთან, რაც უკავშირდება ამა თუ იმ რეგიონში არსებული საინოვაციო ინფრასტრუქტურის შემადგენლების (ბიზნეს ინკუბატორები, ინოვაციის და ტექნოლოგიების ცენტრები) რაოდენობას და დონეს.

#### რეგიონული საინოვაციო ცენტრების ძირითადი მიზნებია:

- მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევების, პატენტების, პროტოტიპების, ნოუ-ჰოუს, ლიცენზიების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა და სხვ;
- ინოვაციებზე ორიენტირებული ორგანიზაციების და მეწარმეობის მხარდაჭერა;
- ქსელური კავშირების შექმნის წახალისება და მხარდაჭერა, ერთი მხრივ, მცირე და საშუალო ბიზნესსა და, მეორე მხრივ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და აკადემიური ინსტიტუტებს შორის;
- კოოპერაციული კავშირების შექმნის წახალისება და მხარდაჭერა მცირე და საშუალო სამეწარმეო სუბიექტებს შორის საინოვაციო პროექტების განსახორციელებლად;
- ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესსა და უცხოურ ინვესტიციებს შორის კავშირის წახალისება და მხარდაჭერა;
- რეგიონში მოქმედი სამეწარმეო სუბიექტების ტექნოლოგიური აუდიტი და მცირე და ახალი ტექნოლოგიების კომეციალიზაციის შესაძლებლობათა შეწავლა და პარტნიორთა დაკავშირება-კონსოლიდაცია;
- ერთობლივი კვლევებისა და საიმპლემენტაციო პროექტების წახალისება სხვადასხვა სამეწარმეო სუბიექტების ჯგუფების მიერ;
- კონსულტაციები და ტრენინგი ახალი ტექნოლოგიების სფეროში;
- პირდაპირი რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ინიცირება ინოვაციებისა და მეწარმეობის სფეროში.

რეგიონულ საინოვაციო ცენტრებს შეუძლიათ აღნიშნული მიზნების განხორციელება საკუთრივ ამ გარევეული ფუნქციების დელგირებით იმ ინსტიტუტებზე, რომლებიც მოქმედებენ ამ კონკრეტულ რეგიონში და შეადგენენ რეგიონული საინოვაციო სისტემის გაუყოფელ ნაწილს.

**საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების შექმნის ხელშეწყობა.** ქვევანაში საინოვაციო პროექტების დასაფინანსებლად ადგილობრივი ინვესტიციების დონე დალიან დაბალია, ამიტომ მკვეთრად იზრდება უცხოური დაფინანსებისა და ინვესტიციების როლი; ამ მხრივ, რეგიონებში საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების შექმნა ემსახურება სპეციფიკური საინვესტიციო ამოცანების გადაწყვეტას;

ამგვარი ცენტრების მიერ გასაწევი მომსახურება შეიძლება იყოს:

- რეგიონული საინვესტიციო პროექტების შემუშავება, პოტენციური უცხოური ინვესტორების მოძიება, პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, საქმიანობა სარეკლამო ბაზარზე.
- საინფორმაციო რესურსების სისტემატიზირება და მისი გავრცელება; რესურსების დოკუმენტირება და ამ რესურსული ინფორმაციის გავრცელება; რეგიონის ეკონომიკური ვებ-გვერდის შექმნა;
- ინვესტორების კონსულტაცირება რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის, ინვესტიციების განხორციელების ოპტიმალური იურიდიული ფორმების, ერთობ-

ლიფი საწარმოების შექმნის შესაძლებლობის, უძრავი ქონებისა და სხვადასხვა იურიდიულ საკითხებზე;

• სპეციალური ბიზნესფორუმების, პრეზენტაციების, მარკეტინგული ანალიზის, მიზნობრივი ტრენინგების ჩატარება, რეგიონის წარდგენა საერთაშორისო გამოფენაზე;

• რეგიონის აქტივების რუქის შექმნა.

• რეგიონების ეკონომიკის სტრუქტურის ძირეული ანალიზი შესაძლებელს გახდის მომზადების პირველადი დასკვნები რეგიონის ეკონომიკის პოტენციურ რად რენტაბელურ სკოლებზე.

საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ეფექტიანი საქმიანობა მოითხოვს აღნიშნული ინიციატივების კოორდინირებას შესაბამისი ცენტრალური ინსტიტუციის მიერ. ამავე ინსტიტუციის კომპეტენციადევე შეიძლება განისაზღვროს: საწყის ეტაპზე შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადება და ცენტრების დაფუძნების/ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირველადი რესურსების მოზიდვის კოორდინირება; ამ მიზნით, ადგილობრივ და რეგიონულ ადმინისტრაციებთან სხვა ადგილობრივ თუ ცენტრალურ ინსტიტუტებთან, დონორებთან და პოტენციურ კერძო ინვესტორებთან კონსულტაციების გამართვა. გრძელვადიან პერსპექტივაში, ცენტრების დაფინანსების და მდგრადობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ წყაროდ შეიძლება განისაზღვროს, ასევე, გარკვეული პროცესზე წარმატებით განხორციელებული საინვესტიციო პროექტებიდან.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და ქვეყნის რეგიონებში მათი მოზიდვის სტიმულირება.** ქვეყნის ეკონომიკის ზრდა და მოდერნიზაცია, რეგიონებში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და საინოვაციო პროექტების დაფინანსება, მოწინავე ტექნოლოგიების და ცოდნის დანერგვა მოითხოვს დიდ კაპიტალს. საქართველოს დანაზოგების დაბალი დონის, შემოსავლების მობილიზების შეზღუდული შესაძლებლობებისა და, ამის შედეგად, ძირითად კაპიტალში ინვესტირების დაბალი მაჩვენებელის გათვალისწინებით, ერთადერთი გზა, რომლითაც ქვეყანას შეუძლია ძირითადი კაპიტალის დაგროვება და მოდერნიზაცია, არის ინვესტირება. ასეთ დროს, ბუნებრივია, მკვეთრად იზრდება უცხოური დაფინანსებისა და ინვესტიციების როლი, რომლებიც ფიზიკური და ფინანსური კაპიტალის საშუალებით განაპირობებენ არა მარტო შესაძლებლობების, მატერიალური სიმძიდრისა და ახალი სამუშაო ადგილების გენერირებას, არამედ ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების ზრდას და დამატებითი დირექტულების შექმნას ე.წ. ექსტრაფინანსური სარგებლის და ტექნოლოგიური დიფუზიის ხარჯზე. ტექნოლოგიური დიფუზია არის ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების, მოწინავე მენეჯერული გამოცდილების, პროდუქტულობის ზრდის მასტიმულირებელი იდეებისა და ნოუ-პაუების გაზიარება და ტრანსფერი მიმღებ ქვეყანაში. აღნიშნული ტიპის ინვესტიციებს თან ახლავს მოწინავე ცოდნა პროდუქციის გადამუშავების მეთოდების, პროდუქციის შეფუთვისა და დიზაინის, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და, ასევე, ბაზრის განვითარებისა და სტრატეგიის შესახებ. ეს საწარმოო რესურსები და ნაკადები, როგორც წესი, შემოედინება ინვესტიციების შესახებ. ეს საწარმოო რესურსები და ნაკადები, როგორც წესი, შემოედინება ინვესტიციების თანადროულად, რაც უზრუნველყოფს პროექტებით მდგრადობას და იძლევა ტექნიკური ქვეყნის რესურსების განვითარებაზე ორიენტირებული უცხოელი ინვესტორების ინიციატივები, კერძოდ, ადგილობრივი მუშა ხელის შრომის ნაყოფიერების ზრდის ხელშემწყობი ტრენინგების ჩატარება, თანამედროვე მენეჯმენტის პრაქტიკის და სხვადასხვა საორგანიზაციო ხასიათის ინოვაციების დანერგვა.

საჭიროა სპეციალური საგადასახადო სტიმულირების შექმნა ქვეყნის რეგიონებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და ინოვაციების

წასახალისებრლად. კერძოდ, მიზანშეწონილია, ორი წლის განმავლობაში გადასახადებიდან გათავისუფლება ამ დიფერენცირებული საგადასახადო შედაგათების შემოღება იმ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში, რომლებიც განხორციელდება ქვეყნის რეგიონებში (თბილისის გარდა). მსგავსი ტიპის შედავთების აუცილებელ წინაპირობად შეიძლება განისაზღვროს ინვესტორის მიერ შემდეგი ვალდებულებების აღება:

- განხორციელებული ინვესტიციის მთლიანი მოცულობის არა ნაკლებ 2% უნდა ითვალისწინებდეს კვლევა-განვითარების ხარჯებს;
- განხორციელებული ინვესტიციების მთლიანი მოცულობის არა ნაკლებ 1% უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი ადამიანური რესურსების ტრენინგისა და გადამზადების ხარჯებს;
- ადგილობრივად პროდუქციის წარმოების შემთხვევაში, მოცემული პროდუქციის არა ნალებ 30% უნდა იყოს საექსპორტო;
- დასაქმებული მუშახელის და სხვა ადამიანური რესურსების არა ნაკლებ 70% უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობა;
- განხორციელებული ინვესტიცია უნდა ითვალისწინებდეს ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერს და ადგილობრივ სამიმწოდებლო ბაზართან მჭიდრო ურთიერთობას.

ვინაიდან ადნიშნული პირობების შესრულება (ნაწილობრივ ან ერთობლიობაში) პირდაპირ პროპორციულ კავშირშია დამატებით, დიფერენცირებულ საგადასახადო შედაგათებით სარგებლობასთან, იგი ეფუძნება მხოლოდ კორპორატიული დისკრეციისა და ნებაყოფლობითობის პრინციპს. ინვესტორის მხრიდან ამგვარი ინტერესის უქონლობის შემთხვევაში, მისი საქმიანობა რჩება არსებული საინვესტიციო და საგადასახადო კანონმდებლობის რეესტრში.

**რეგიონული ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების როლის გაზრდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში.** რეგიონული ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების უმნიშვნელო როლი საინვესტიციო პროექტების შემუშავებაში და ადგილებზე სტანდარტული რეგიონული ბაზის განსახორციელებლად როგორც სათანადო რესურსებს, ისე კარგად ფორმულირებულ და არაორაზროვან სამართლებრივ უფლებამოსილებებს. ამ მხრივ, შესაბამისი ინსტიტუციური ბაზის შექმნა და ეფექტური თანამშრომლობა სამხარეო ადმინისტრაციებსა და შესაქმნელ რეგიონულ საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებს შორის მნიშვნელოვნად გაზრდის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალს და წაახალისებს უკავშირებებს ადგილობრივ საწარმოებსა და შემოსულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის.

**საინვესტიციო პროცესების დამატებითი სტიმულირება რეგიონებში.** რეგიონების როლი საინვესტიციო პროცესებში უმნიშვნელოა. ხშირად, რეგიონის ინოვაციური პოტენციალი არსებითად იზღუდება ფინანსურ-ორგანიზაციული ხასიათის ფაქტორებით. ეს შეზღუდვები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: 1. ფინანსური ხასიათის შეზღუდვები – რეგიონის ეკონომიკის მიერ შექმნილი ფულადი სახსრების ძირითად მასას კონტროლს უწევს ცენტრლური ხელისუფლება; 2. ტერიტორიული ხასიათის შეზღუდვები – რეგიონისათვის შეუძლებელი ხდება იქ განლაგებულ, მაგრამ იმგვარად ინტეგრირებულ საწარმოთა ინვაციური პროგრამის განხორციელება, რომელთა გამაერთიანებელი ცენტრი მდებარეობს რეგიონის გარეთ; 3. სპეციფიკური რეგიონული შეზღუდვები – დღევანდელ პირობებში, ფულადი ნაკადები უმთავრესად მიმართულია არსებული ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდასაჭერად.

ამ სიძნეების გადაღახვის აუცილებელი რგოლია რეგიონის განვითარების შედეგებზე მოიგონება სტრატეგია – საინვაციო-საინვესტიციო

რეგიონული სტრატეგია, რომელსაც შეუძლია ცალკეულ რეგიონებში განსაკუთრებული საინვესტიციო სისტემის და საგადასახადო სტიმულების შექმნით, შესაძლებელი გახდოს მისთვის ხელმისაწვდომი ყველა რესურსის ეფექტური გამოყენება. კერძოდ, არსებობს ინოვაციური პროექტების სტიმულირებისა და გადასახადების ოპტიმიზების რამდენიმე შესაძლებლობა, რომელიც მოიცავს:

- ინოვაციური პროექტების განმახორციელებელი საწარმოების გადასახადებისა და განვითარების ფინანსური შედეგებით;
- საგადასახადო დანახარჯების სადაზღვევო გადასახადად გარდაქმნას; ეს უკანასკნელი აერთიანებს საგადასახადო და სადაზღვევო მექანიზმებს, ქმნის საფინანსო საფუძველს საინვესტიციო პროექტების სადაზღვევო მხარდაჭერისათვის;
- ლიზინგური სქემებით ოპერირებას, რაც საშუალებას იძლევა უფრო აქტიურად და მოქნილად მოხდეს ინოვაციური ტექნოლოგიების ტრანსფერი და განვითარება. ასეთი სტრატეგიის შემუშავებამ და განხორციელებამ არსებითად დადგებითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს, როგორც რეგიონული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, ისე მთლიანად რეგიონის განვითარებაზე.

**ექსპორტის ხელშეწყობა და ექსპორტზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება.** ამჟამად, საქართველოს ეკონომიკა უმეტეს წილად დამოკიდებულია იმპორტზე, რაც ასახავს ეროვნული ეკონომიკის არაკონკურენტუნარიანობას და შეზღუდულ ადგილობრივ წარმოებას. ინოვაციური და ექსპორტზე ორიენტირებული ადგილობრივი წარმოება არ არის სამართლებრივად მხარდაჭერილი და წახალისებული.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანების დღიდან, საქართველოს განხორციელებული ექსპორტი უპირობოდ სარგებლობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით ამ ორგანიზაციაში შემავალი 147 წევრი-ქვეყნის ბაზარზე, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოდან იმპორტირებული საქონელი მათ ბაზარზე ისარგებლებს იმ ხელსაყრელი რეჟიმით, რომელსაც იმპორტიორი ქვეყანა ანიჭებს რომელიმე მესამე ქვეყნიდან განხორციელებულ იმპორტს.

ექსპორტზე ორიენტირებული მეწარმეობის წახალისების მიზნით, სხვა ღონისძიებებს შორის, აუცილებელია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ შეიქმნას შესაბამისი კომპლექსური პროგრამა. ამასთან, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ექსპორტ-იმპორტის ანალიის საფუძველზე, უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციები იმ სასაქონლო ნუსხის წარმოების შესახებ, რომლის ჩანაცვლებაც და წარმოებაც შეიძლება ქვეყნის შიგნით ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებით და რომელიც უმოკლეს დორში მოგვცემს რეალურ ეფექტს შიდა ბაზარზე, ხოლო შემდგომ მას გახდის კონკურენტულს რეგიონულ და საერთაშორისო ბაზარზე. ადგილობრივ მეწარმეებს საწყის ეტაპზე უნდა გაეწიოთ საინფორმაციო დახმარება ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შესახებ.

**საინფორმაციო კანონმდებლობის გაუმჯობესება.** ინოვაციური საქმიანობის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა ისეთი ერთიანი საინვესტიციო პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობას, რომელიც დააკმაყოფილებდა მსოფლიოში დღეს შექმნილ გლობალური კონკურენტუნარიანობის მოთხოვნება და სტანდარტებს.

**რეგიონალური საინვესტიციო პოლიტიკის ბენჩმარკინგის შექმნა და სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება – საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია.**

ამჟამად, საქართველოში არ წარმოებს რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის სპეციალური ბენჩმარკინგი. ინოვაციების აღრიცხვისა და შეფასების ინდიკატორების შემუშავება საფუძვლად უნდა დაედოს საინოვაციო პოლიტიკის ბენჩმარკინგის შექმნას. ადნიშნული უკავშირდება შესაბამისი პარამეტრების კლასიფიცირებას გლობალურ, ეროვნულ, რეგიონულ ან წარმოების დონეზე.

ამავე დროს, ცენტრალური ხელისუფლება საქართველოში არ ფლობს და, შესაბამისად, ვერც იყენებს სათანადოდ დამუშავებულ ინფორმაციას რეგიონებში საინოვაციო საქმიანობისა და ინიციატივების შესახებ; სანდო სტატისტიკური მონაცემების არარსებობა შეუძლებელს ხდის ეროვნული საინოვაციო მზაობის ადეკვატურ შეფასებას, საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებას და განხორციელებული ინიციატივების შეფასებას. საიდუსტრაციოდ, ამ დროისათვის არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა საქართველოს რეგიონებში შესული უცხოური ინვესტიციების შესახებ, მათ შორის, საინოვაციო განვითარების შეფასების ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტის შესახებ, როგორიცაა კვლევა-განვითარებისათვის გათვალისწინებული ხარჯები შესაბამის სამეწარმეო სუბიექტებში, როგორც ზოგადად ქვეყნის მასშტაბით, ისე ცალკეული რეგიონების მიხედვით. საჭიროა, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტმა და ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ ითანამშრომლონ, რათა აღმოფხვრან ხარვეზები და უზრუნველყონ საქართველოს ყველა რეგიონის შესახებ კომპლექსური ინფორმაციის მიწოდება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მახვილაძე რ., მახვილაძე ჯ., ჩოგოვაძე ჯ., მჭედლიშვილი დ., გოგოლაძე ი. ინვენსტიციების თეორია და ანალიზი, I ნაწილი, ინვესტირების თეორია, თბ., 2006.
2. ბარათაშვილი ე., ჭალაგანიძე შ. ინვესტიციების ფორმირების საკითხები რეგიონალურ სამრეწველო კომპლექსებში, თბ., ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, გ. 5., 2007.
3. ბურდული ვ. რეგიონის ეკონომიკის მართვის სრულყოფა (საქართველოს მაგალითზე), თბ., 1985.
4. ბარათაშვილი ე.. ვეშაპიძე შ., რეგინალური ეკონომიკური პოლიტიკა, თბ., 2002.
5. გიტმანი ლ. ჯონი მ., შმიდტი პ., ინვესტიციების საფუძვლები (ლამარა ქოქიაურის თარგმანი), თბ., 2001.
6. სიჭინავა ა., ინვესტიციები, თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა (ლექციების კურსი), თბ., 2010.

*Lamara Mindorashvili  
Associated Professor of STU*

## THE GOALS AND TASKS OF A INNOVATIVE REGIONAL POLICY IN GEORGIA

### Summary

It is very important to stimulate the economic initiatives oriented at realizing into practice the innovations and new technologies including the traditional production factors and to use the comparable advantages of the country optimally for the dynamic growth of the developing economy of Georgia.

This means the proper policy of central as well as local and regional government.

**მაბისტრანტებისა და დოკტორანტების სამეცნიერო ნაშრომები**

**განილ ხიზანიშვილი**

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,  
ასისტენტ-პროფესორი

**ეთიკური ეკონომიკის საბაზო, სოციალური და ეკოლოგიური ასახულები**

ეთიკური ეკონომიკა პოსტმოდერნის ეკონომიკაა, რომლისთვისაც უმნიშვნელოვანებია საბაზო-ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ასპექტები. მათი სინთეზი აყალიბებს აღტერნატიულ საბაზო ფუნდამენტალიზმს.<sup>24</sup> ამ ეკონომიკის საფუძველია ინოვაციური საბაზო ეკონომიკა სოციალური სამართლიანობითა და ეკოლოგიური ასუსტიმგებლობით. სოციალური წონას-წორობა წარმოადგენს სოციალური კონსენსუსის, ხოლო ეკოლოგიური მდგრადობა – ცივილიზაციის გადარჩენის წინაპირობას.<sup>25</sup> აღნიშნული მიდგომა განიხილება ორთოლიტერალურ კონცეფციად<sup>26</sup>, რომელიც სოციალური საბაზო ეკონომიკის ლოგიკური განვითარებაა 21-ე საუკუნის მოთხოვნების მიხედვით. საბაზო კონსისტენტური ასპექტი გულისხმობს ეკონომიკური კონკურენტურიანობის უზრუნველყოფას, ინოვაციებისა და მეწარმეობისათვის სტიმულების შექმნას, ინესტიციების გაფართოებას, ნორმატიული და ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებას კეთილსინდისიერი კონკურენციის განხორციელებისათვის გლობალურ მასშტაბში, საგადასახადო სისტემის მოდიფიცირებას „დირგბულების მწარმოებელი ეკონომიკას“ სასარგებლოდ; სოციალური ასპექტი – სამართლიანი ურთიერთობის განხორციელებას სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკასა და ინსტიტუციონალურ სოციალურ მომსახურებას შორის, სოციალურ სოლიდარობას გლობალურ დონეზე; კულტურული ასპექტი გულისხმობს გარემოს დაცვასა და მის მდგრად განვითარებას გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების განადგურების ტენდენციის შემცირების გზით, ეკოლოგიურად სამართლიან ფასებსა და დანახარჯებს, რეალურ ეკოლოგიურ გადასახადებსა და ეკოლოგიაზე ორიენტირებულ კანონებს, პროდუქტის წარმოების, ვარგისიანობის, გენური ინჟინერიის, პორმონების გამოყენებისა და ა.შ. საკითხების მკაცრ და ზუსტ კონტროლს.<sup>27</sup>

მთელ მსოფლიოში 1.4 მლრდ ადამიანი ცხოვრობს აბსოლუტურ სიდარიბეში და ყოველდღიურად იდებს 1.25 აშშ დოლარზე ნაკლებს. 2.5 მლრდ ადამიანს აქვს 2 დოლარზე ნაკლები შემთხვევალი. აფრიკაში, საპარის სამხრეთით, უდარიბესი ადამიანების რიცხვი 1981 წლიდან თითქმის გაორმაგდა. სამხრეთ აზიაში, ლათინურ ამერიკაში, კარიბის აუზში, ახლო აღმოსავალსა და ჩრდილოეთ აფრიკაში შეინიშნება სიდარიბის მაჩვენებლის კლება, თუმცა ჯერ კოდევ მრავალი ადამიანი განიცდის გაჭირვებას. ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისმა კიდევ უფრო დააზარალა განვითარებადი ქვეყნები, რადგან მათ კრი-

<sup>24</sup> Eco-Social World Order /global-commons.net

<sup>25</sup> <http://www.slideshare.net/netzwerkvonchristen/eco-social-market-economy-21-7-2010>

<sup>26</sup> Franz Josef Rademacher: Global Marshal Plan – Warum der Marktfundamentalismus die Welt arm macht, in: Welt in Balance, გვ. 111.

<sup>27</sup> <http://www.slideshare.net.netzwerkvonchristen/eco-social-market-economy-21-7-2010>.

ზისების მართვისათვის საკმაოდ შეზღუდული რესურსები გააჩნიათ. ეს სიტუაცია დრმავდება საკვებზე ფასების ზრდითა და კლიმატის ცვლილებებით.<sup>28</sup>

უკანასკნელ ათწლეულებში მკვეთრად გაიზარდა ბუნებრივი რესურსების მოხმარება. 1980 წელს თითქმის 40 მლრდ ტონა რესურსი იქნა ამოდებული გლობალური ეკო-სისტემიდან. მსოფლიოში ამჟამად რესურსების ყოველწლიური მოხმარება 50%-ით იზრდება. თუ მიმდინარე ტენდენცია შენარჩუნდა, რესურსების ყოველწლიური მოხმარება 2030 წლისათვის გაიზრდება 100 მლრდ ტონამდე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს როგორც განახლებადი (სასოფლო-სამურნეო დანიშნულების სავარგულები, ტეს მასივები, წყალი), ისე არაგანახლებადი რესურსების (მეტალი და წიაღისეული, საწვავ-სათბობი, ნავთობპროდუქტები) დეფიციტის გამწვავება გლობალური მასშტაბით. ჰაერი, წყალი, მიწის სავარგულები, ცხოველები წარმოადგენს ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს, თუმცა დღემდე არ მომხდარა მათი დირექტულებითი ფორმით შეფასება. ბუნავლტრულ ანგარიშგებაში არ არსებობს ბუნებრივი კაპიტალის (ისეთის, როგორიცაა ჰაერი ან წყალი), სრული შეფასება. დღეს მსოფლიო ეკონომიკა გლობალური მთლიანი შიდა პროდუქტის სახით ყოველწლიურად ქმის 39 ტრლნ დოლარს. მთელი ჩვენი პლანეტის დირექტულება უხეში გაანგარიშებით 500 ტრლნ აშშ დოლარია, რომლის დაახლოებით 1/3 ადამიანებმა, სამწუხაროდ, უკვე გაგანადგურეთ, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი ფლორა-ფაუნის სახეობათა და სასოფლო-სამურნეო სავარგულების მოსპობაში, ჰაერისა და წყლის დაბინძურებაში. ჩვენს პლანეტაზე თითოეული ადამიანისათვის ყოველწლიურად ხელმისაწვდომია 70000 დოლარის ექვივალენტის ბუნებრივი კაპიტალი. აქედან ნათელია, თუ რაოდენ დიდი სიმდიდრე გვაქვს ბუნებისგან ნაბოქი, მაგრამ დღემდე მას არაგონივრულად ვიყენებთ. უახლოეს 50 წელიწადში ყველა ქვეყნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, თუ რამდენად მოუფრთხილდებიან ისინი საკუთარ ბუნებრივ სიმდიდრეს და მკვეთრად შეამცირებენ ბუნებრივი რესურსების მოხმარებას.<sup>29</sup> ამასთანავე, ეკოლოგიურმა ორიენტაციამ არ უნდა გააფერმოთალოს ტრადიციული სოციალური საბაზრო ეკონომიკის არსი. ეკოლოგიური კომპონენტები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც საბაზრო ელემენტები და სოციალური მახასიათებლები. ბაზრის სოციალური და ეკოლოგიური ასპექტები ჰარმონიაში უნდა იყვნენ ერთმანეთთან<sup>30</sup>.

ნეოლიბერალურ ეკონომიკას დიდი ხანია გააჩნია მწვავე პრობლემები: სამუშაო ადგილების არქონა, განათლების მიღების ნაკლები შესაძლებლობა, ტარორიზმი, ქსენოფობია, კორუფცია, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები.<sup>31</sup> თანამედროვე ეკონომიკურ ზრდაზე, თუმცა ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება და რესურსების დეფიციტის გადიდება სვამს კითხვას - როგორ უზრუნველვყოთ ხანგრძლივი დროით კეთილდღეობა ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ დონეებზე. ბუნებრივი რესურსების გამოყენება და მთელი ეკონომიკური საქმიანობა წარმოადგენს ჩვენი ცხოვრების საფუძველს, მაგრამ მათმა ექსპლუატაციამ შეიძინა იმგვარი მასშტაბები, რომ შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარება თანამედროვე პირობებში საფრთხის ქვეშ დგება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ეკონომიკური ზრდის იმ მოდელის შექმნა და გამოყენება, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის რაოდენობრივი მაჩ-

<sup>28</sup> Ecosocial Market Economy (For a sustainable and responsible society). გვ. 10.

[www.oecosozial.at/uploads/txt.../Policypaper\\_Ecosocialforum-web-01.pdf](http://www.oecosozial.at/uploads/txt.../Policypaper_Ecosocialforum-web-01.pdf).

<sup>29</sup> Die Dialektik – Die Freie Zeitschrift – Die öko-sociale Marktwirtschaft und ihre Theorie://www.diedialektik.org/cms/node/95

<sup>30</sup> ORDO: Jahrbuch für die Ordnung von Wirtschaft und Gesellschaft, Band 51 (2000): გვ. 169-202

<sup>31</sup> იქვე

გენებლების ნაცვლად წინა პლანზე დააყენებს ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების ამოცანას. ხარისხობრივმა ზრდამ უნდა შეცვალოს რესურსების ინტენსიურ გამოყენებაზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდა, რომელსაც ჩვენ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე განვიცდით.

მთელ მსოფლიოში მწვავდება სოციალური პრობლემები და კიდევ უფრო ღრმავდება ქონებრივი დიფერენციაცია მდიდრებსა და დარიბებს შორის. გარდა ამისა, რესურსებისათვის ბრძოლა ძლიერდება. საზოგადოებაზე უაღრესად ნებგატიურ ზეგავლენას ახდენს თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები, რომლებიც გამოწვეულია ზღვარგადასული დერეგულირებითა და იაფი ფულის პოლიტიკით. ერთადერთი გონივრული გამოსავალი შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან არის ეკო-სოციალური ცვლილებები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მსოფლიოს მოსახლეობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების პარმონიზაცია.

21-ე საუკუნეში კაცობრიობას სჭირდება იმგვარი ეკონომიკური წესრიგი, სადაც აქცენტი გაკეთდება არა უბრალოდ რაოდენობრივ, არამედ უფრო მეტად ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, რაც ნიშანებს როგორც ხარისხობრივ ზრდას, ისე ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. ამ კონტექსტში ეროვნულ-ფისკალური სისტემა წარმოადგენს ეკოლოგიურ-სოციალური საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. მიუხედავად იმისა, რომ ფისკალური პოლიტიკა მუშავდება და ხორციელდება ეროვნული სახელმწიფოს შიგნით, არსებული პრობლემების ეფექტიანად გადაჭრისათვის აუცილებელია ფისკალური პოლიტიკის ან მისი გარკვეული ასპექტების საერთაშორისო კოორდინაცია. თანამედროვე პირობებში არსებობს ძალიან მცირე საგადასახადო სტიმულები ენერგიისა და რესურსების ეკონომიისათვის, დაბინძურებისა და ნარჩენების შესამცირებლად. ფისკალური ინსტრუმენტები იქნება ძლიერი სტიმული მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.<sup>32</sup> ეკო-კაპიტალიზმი გვთავაზობს ახალ საგადასახადო და სუბსიდირების რადიკალურ სისტემას. ეკო-სოციალური ფისკალური რეფორმები აუცილებელია ეკოლოგიური და სოციალური მდგრადობის განსამტკიცებლად. აუცილებელია კონტროლუქტიული სუბსიდიებისა და საგადასახადო შედავათების შემცირება და გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადების გაზრდა. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საშემოსავლო გადასახადისა და სოციალური უზრუნველყოფის ანარიცხების დაწევა დაბალ და საშუალო შემთხველიან მოქალაქეთათვის. ამ გზით შესაძლებელი გახდება დასაქმების პრობლემის მნიშვნელოვანი გამოსწორება და უპირატესობის მოპოვება ბაზარზე.

ბაზარს ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ - არა ყველაფერი. მის ამოცანას წარმოადგენს ეკონომიკის შესაძლებლობების გაუმჯობესება მეტი დამატებითი დირექტულების შექმნისა და ინოვაციური მეწარმეობის მხარდაჭერის გზით. რაც ბაზარს ესაჭიროება, არის ეკოლოგიური და სოციალური წესები და შესაბამისი პასუხისმგებლობის მექანიზმები როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ დონეზე. უკანასკნელ ხანს განვითარებული მოვლენები, რაც ვლინდება ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისებში, ცხადად გვიჩვენებს, რომ ინდივიდის კერძო ინტერესები საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი სტრუქტურული კომპონენტია, თუმცა შესაძლებელია ის დამანგრევებლ ეგოიზმში გადასარდოს. შესაბამისად, ეთიკური ამოცანაა, დაბალანსდეს ადამიანის კერძო ინტერესები მის ეკონომიკურ, სოციალური და ეკოლოგიურ პასუხისმგებლობასთან. <sup>33</sup>

<sup>32</sup> ECOSOCIAL MARKET EKONOMY. [www.oecosozial.at/uploads/ttx.../policypaper\\_Ecosocialforum\\_web\\_01.pdf](http://www.oecosozial.at/uploads/ttx.../policypaper_Ecosocialforum_web_01.pdf)

<sup>33</sup> The Ethical Dimension of the „EV2020” Strategy, January 2010. გვ.10.

იმისათვის, რომ სწრაფად იქნას მიღწეული მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკურ-ტექნილოგიური უფექტიანობის ერთიანობა, საჭიროა ბაზრისათვის სწორი სიგნალების გაგზავნა. ამ მიზნის მისაღწევად შესაძლოა გამოყენებული იქნას შემდეგი ინსტრუმენტები: 1. ბუნებათსარგებლობისათვის სამართლიანი ფასების გადახდა; 2. საგადასახადო სისტემის ეკო-სოციალური რეფორმა; 3. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება; 4. მდგრადობის ხელშემწყობი სუბსიდიები; 5. გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების საკითხებთან დაკავშირებული განათლება და ინფორმაცია; 6. ეკო-სოციალური პროდუქტი ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ნაცვლად; 7. გარემოს დაცვა, როგორც საერთაშორისო ვალდებულება და ა.შ. ამასთან, გარემოს დაბინძურება და რესურსების გამოყენება უნდა აისახოს წარმოების პროცესისა და პროდუქციის ფასის კალკულაციაში. კანონები და წესები უნდა იქცეს იმის გარანტად, რომ ისინი თანაბრად შექება ყველა საწარმოს პატიოსანი კონკურენციის უზრუნველყოფისათვის.<sup>34</sup>

ეკონომიკა მსოფლიო მასშტაბით საჭიროებს შეჯერებულ გლობალურ წესებს. უნდა მოხდეს ეკონომიკის რეფორმირება ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტების მხარდაჭერით, როგორებიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და სავალუტო ფონდი.<sup>35</sup> ასევე საჭიროა ძლიერი საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობა, სამართლიანი წესების შექმნა და უზრუნველყოფა ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის პირობებში, სოციალური და ეკოლოგიური სტანდარტების ჩამოყალიბება და ტრანსპარანტულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.<sup>36</sup>

არსებული ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი ჩვენი საზოგადოების ფასეულობათა კრიზისიცაა.<sup>37</sup> დღის წესრიგში დგება ეთიკური დიმენსიის, ეთიკური ქცევებისა და ფასეულობების შემოტანა და დამკვიდრება ეკონომიკის ახალ მოდელში. საჭიროა დაუყოვნებლივ გადასცემა ისეთი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პოლიტიკის გატარებაზე,<sup>38</sup> რომლის შედეგად გაფართოვდება და განვითარდება პოსტკიკლური მსოფლიო ეკონომიკა და რომელიც თავიდან აგვაცილებს საფონდო ბაზრების ჩამოშლასა თუ საბირჟო კრახებს. ამგვარი პოლიტიკა მიმართულია ეკოლოგიურ-ეკონომიკურ-სოციალური პარმონიის პირობებში კაცობრიობის მშვიდობიანი და უსაფრთხო თანაცხოვრებისაგენ.<sup>39</sup>

<http://csc.ceceurope.org/...?>

Social\_Economic.../Conference\_of\_European\_Churches\_CSC\_of\_CEC\_Contribution\_to\_EU\_2020\_Consultation.pdf

<sup>34</sup> Eco-social market economy an European innovation, J. Riegler, Eko-social forum of Europe, Vienna, Austria, [www.cazv.cz/2003/AE3\\_03/1-Riegler.pdf](http://www.cazv.cz/2003/AE3_03/1-Riegler.pdf)

<sup>35</sup> Eco-Social World Order/global-commons.net/www.global-commons.net/node/47

<sup>36</sup> Josef Rieger, Referat” „ ökosoziale Marktwirtschaft”. [http://news.forum-fuehung.com/vp-content/uploads/2009/02/josef\\_riegler\\_21102006.pdf](http://news.forum-fuehung.com/vp-content/uploads/2009/02/josef_riegler_21102006.pdf)

<sup>37</sup> José Manuel Barroso. Political guidelines for the next Commission. Brussels, September 2009, გვ. 13. [http://ec.europa.eu/commission\\_barroso/president/pdf/press\\_20090903\\_EN.pdf](http://ec.europa.eu/commission_barroso/president/pdf/press_20090903_EN.pdf)

<sup>38</sup> Eco-social market economy an European innovation, J. Riegler, Eko-social forum of Europe, Vienna, Austria, [www.cazv.cz/2003/AE3\\_03/1-Riegler.pdf](http://www.cazv.cz/2003/AE3_03/1-Riegler.pdf)

<sup>39</sup> ORDO:Jahrbuch für die Ordnung von Wirtschaft und Gesellschaft, Band 51 (2000): გვ. 169-202

**Vasil Khizanishvili**  
Doctorant of J. Gogebashvili  
Telavi State University,  
Assistant Professor

## MARKET, SOCIAL AND ECOLOGICAL ASPECTS OF ETHIC ECONOMICS

### Summary

The most important aspects of ethic economics, as post-modern economics, are market economic, social and ecological aspects, synthesis of this forms alternative market fundamentalism. It (eco-social market economics) is discussed with ordo-liberal conception, which is farther logic development of social market economics according to the demands of 21<sup>st</sup> century.

Our economic system with its present form is depended on quantitative economic increase. However, decreasing economic increase rate and augmentation of resources deficit set a question about how we provide welfare on a national, regional and global level with long-term period. In 21<sup>st</sup> century mankind needs such economic order, where accent will be not simply on quantitative, but more on qualitative indicators, that means as quantitative increase, so increase of life quality.

Neo-liberal economics is experiencing weakness for a long time that is attested by financial-economic crisis. Financial-economic crisis, existed in the world, is crisis of values of our society as well. In such situation ethic dimension sets in agenda, bringing ethic behaviors and values and inculcation in a new model of economics. It is necessary to move on leading firm economic, social and ecological policy immediately. Ethic question is to balance own interests with economic, social and ecological responsibility to become able to live together mankind peacefully and safely in the conditions of ecological-economic-social harmony.

**საქართველოში მეცნიერების განვითარებისათვის საჭირო ზიგნი  
(არჩილ ფრანგიშვილი, ოლეგ ნამიჩევიშვილი – საუბრები მეცნიერების  
ფილოსოფიის შესახებ. თბ., 2009. 432 გვ.)**

მეცნიერების ფილოსოფია ფილოსოფიის ის სფეროა, რომელშიც მეცნიერების ყოველი დარგი თავის თავს აღიქვამს ერთი მთლიანობის ნაწილად და ამით თავისებურად უბრუნდება თავის პირველსაწყისს, რომელსაც ერთ დროს გამოეყო. ის პირველსაწყისი ფილოსოფია იყო, დღევანდელი ფილოსოფია კი მეცნიერების თუმც გასაძუთრებული, მაგრამ ერთი დარგია მხოლოდ, მისი კვლევის საგანი არაა სინამდვილის ცალკეული სფეროები (საგანი დანაწილდა). ცხადია, განსხვავებულია მისი მიზანიც: იგი იმისათვის განაზოგადებს სხვა მეცნიერებათა პროდუქტებს, რომ ჩამოაყალიბოს საერთო-მსოფლისებრივი შეხედულებები. გამორნაკლისია მეცნიერების ფილოსოფია. მისი საგანია მეცნიერებათა განვითარების საერთო კანონზომიერებანი, რომელთა შეუძლებლად მეცნიერების ვერცერთი დარგი საკუთარ კანონზომიერებებს ვერ დაადგენს. მაშასადამე, ეს დისციპლინა, როგორც სარეცენზიონ ნაშრომის ავტორებიც აღნიშნავენ, ასრულებს მეცნიერების მეთოდოლოგიური აპარატის კონსტრუირების ფუნქციას (იხ. სარეცენზიონ ნაშრომი, გვ. 418).

მეცნიერებათა დიფერენციაცია უსასრულო პროცესია და ამ პროცესში უგროდაუფრო მეტი ნაყოფიერი იდეა ცალკეული მეცნიერებების ჩარჩოებში კი არ იძალება, არამედ – მათ მიჯნებზე. ინტერდისციპლინარული კვლევების ეფექტიანობა გვიჩვენებს, რაოდენ მნიშვნელოვანია დარგთა ურთიერთკავშირისა და ერთიანობის გააზრება, რომელიც უმაღლეს დონეს მეცნიერების ფილოსოფიაში აღწევს.

სამწუხაროდ, ამ სფეროში ქართული მეცნიერება განხილვებული არაა სისტემური კვლევებით, რომლებიც საფუძველს შეუქმნიდა მისი მიღწევებისა და სიძნელეების მთლიანობაში აღქმას. თუმცა ასეთი კვლევების აუცილებლობა მწიფოდება და მისთვის ნოვიერ ნიადაგს ქმნის ჩვენი მდიდარი მეცნიერული ტრადიციები როგორც ფილოსოფიის სფეროში, ისე მის და დარგობრივი მეცნიერებების მიჯნებზე მეხუთე საუკუნიდან (პეტრე იბერიდან) დღემდე (საგმარისია დავასახელოთ ს.ავალიანის, კ. ბაქრაძის, გ. ბაჩულაშვილის, გ. თოდუას, გ. მამარდაშვილის, ი. ფრანგიშვილის, ს. წერეთლის, ხ. ჭავჭავაძისა და სხვათა ნაშრომები). დაბრკოლება კი უთუოდ არის ქართული მეცნიერების დღევანდვლი შეჭირვებული ყოფა და არის ისიც, რომ წმინდა მეთოდოლოგიურ-თეორიული გამოკვლევები ჯეროვნად არ ფასდება მათი უშუალო სამეცნიერო-პრაქტიკული შედეგის უქონლობის საბაბით. მაგრამ, საბაბი არ არის მიზეზი, არ არის საფუძველი, ისინი კი ამ მიღომას არ გააჩნია.

ჩვენთან ჯერ კიდევ საბჭოთა ხანაში მოიკიდა ფეხი შეხედულებამ, თითქოს ასეთი კვლევები მეტისმეტი ფუფუნებაა, რომელიც ხელეწიფებათ მხოლოდ „იქ“ და ჩვენ კი მათგან უნდა ავიდოთ მზა შედეგები ჩვენი გამოყენებითი კვლევების საფუძვლად. ამ მაცდურსა და მცდარ აზრს მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია, რამეთუ მეცნიერების დარგთა კავშირებისა და ერთიანობის სიღრმისეული გააზრების გარეშე ვერც გამოყენებითი მეცნიერება იქნება ეფექტიანი, ხოლო ამ კავშირებისა და ერთიანობის გააზრება მხოლოდ სწავლით ვერ მოვა, იგი კვლევით უნდა იქნას განმტკიცებული. ამ კვლევას – მხოლოდ მას – შეუძლია შეუქმნას საფუძველი აგრეთვე ქართული მეცნიერების მიღწევებისა და სიძნელეების მთლიანობით გააზრებას, მისი საგანმურის შესწავლასა და გამოყენებას და, მაშასადამე, ეროვნული ცნობიერების ამაღლებას.

ცალკეული ნაშრომები ვერ იტვირთავენ აღნიშნული ამოცანების მთლიან გადაწყვეტას და სარეცენზიონ ნაშრომიც ეხება მეცნიერების ფილოსოფიის

მხოლოდ ფუძემდებლურ, კარდინალურ თეორიულ-მეთოდოლოგიურ საკითხებს, მაგრამ ამით იგი წინაპირობას უქმნის ქართული მეცნიერების არა მხოლოდ რეტროსპექტულ ანალიზს, არამედ მისი პერსპექტივის გააზრებასაც.

მასალის გადმოსაცემად ავტორებს აურჩევიათ სწორი – თავმდაბლური და მიმზიდველი – ფორმა, საუბრების ფორმა, რაც რთული პრობლემებით სავსე ამ წიგნს შედარებით იოლ, ხელმისაწვდომ საკითხავად ხდის საკმაოდ ფართო მკითხველისთვის და ქმნის შესაძლებლობას გამოყენებულ იქნას როგორც სახელმძღვანელოც შესაბამისი პროფილის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის (წიგნი სულ ოთხი კარისა და 15 საუბრისაგან – თემისაგან – შედგება).

ამიტომ არის გამართლებული სარეცენზიო მონოგრაფიის პირველი საუბრის სათაურად „მეცნიერების ფილოსოფიის საგნის“ არჩევაც. რა არის მეცნიერების ფილოსოფია? ავტორები მას განსაზღვრავენ როგორც ფილოსოფიის შტოს, რომელიც შეისწავლის მეცნიერების ფილოსოფიურ საფუძვლებს, მის სისტემებს და, აქედან გამომდინარე, შედეგებს როგორც საბუნებისმეტყველო, ასევე სოციალურ სფეროებში (გვ. 15). მას ბევრი რამ აქვს ნასესხები როგორც გნოსეოლოგიის, ისე ონტოლოგიის სფეროებისაგან და, ამავე დროს, საკითხების ახალ დასმასაც იძლევა (იქვე), მათ შორის, არა მხოლოდ მეთოდოლოგიის სფეროში: მეცნიერების განვითარების ზოგად კანონზომიერებათა დადგენა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი ადგილისა და როლის განსაზღვრა, ვფიქრობთ, განუყოფელია მეცნიერების (ზოგადი) პროგნოსტიკული ფუნქციისაგან და, ამ საფუძველზე, კულტურულ დირებულებათა სისტემის ეფოლუციის მიმართულებათა განსაზღვრისაგან.

წიგნის ბოლოსიტყვაობა კვლავ უბრუნდება კითხვას, რა არის მეცნიერების ისტორია და ფილოსოფია, რაც, არქიტექტონიკის თვალსაზრისით, საეჭვოა მიეცუთვნოს წიგნის პლუსებს (პლუსი იქნებოდა, ავტორები აქ ამ კითხვაზე შემაჯამებელ-განმაზოგადებელი მსჯელობით რომ დაკმაყოფილებულიყვნენ და არ მოეცათ ის მსჯელობაც, რომელიც პირველ საუბარს უფრო მოუხდებოდა), მაგრამ ეს არ არის არსებითი. კითხვას უფრო მეტად იწვევს ის, რომ ავტორები აქ უკრიტიკოდ მოიხსენიებენ ეგზისტენციალურ მიღღომას, რომელმაც დავიწყებას მისცა მეცნიერების ტოტალური ერთიანობისა და მეცნიერული მეთოდოლოგიის უნივერსალურობის იდეა (გვ. 419). ახალ კვლევათა უურადღება, აგრძორთა მოწმობით, კონცენტრირებული აღარაა გარკვეული უნივერსალური საყოველთაო ლოგიკის ძებნაზე, მეცნიერების ფილოსოფიის ფარგლებში წამყვანი პოზიციები ამიერიდან უკავია არა ლოგიკას, არამედ მეცნიერების ისტორიას (იქვე). მართალია, ავტორები შემდეგ იმასაც განმარტავენ, რომ თანამედროვე მეცნიერების ფილოსოფია უარს აცხადებს ეგზისტენციალური მიღღომების აბსოლუტიზაციაზე მეცნიერების შეთოდოლოგიის კონსტრუირების საქმეში, მაგრამ აქ ისინი არ იძლევიან კონკრეტულ პასუხს, როგორი გადაწყვეტია იქნებოდა მართებული. ამ კითხვას პასუხობს თვით მონოგრაფიის შინაარსი. მის მთავარ დირსებად ჩვენ სწორედ ის მიგვაჩნია – და ქვემოთ მას წამოვწევთ კიდევ წინა პლანზე, – რომ მასში თანმიმდევრულად, ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის პრინციპით არის გაშუქებული მეცნიერება, როგორც სისტემა ანუ, როგორც მთლიანობა. ამ მთლიანობას ექვემდებარებს ვერ აყენებს ვერც აგრძორთა უურადღება კარლ პოპერის თეორიის მიმართ.

გამოვყოთ ამ მრავალწახნაგოვანი პრობლემის ზოგიერთი ასპექტი. ავტორები განიხილავენ მეცნიერების ადგილს საზოგადოებაში კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა საფეხურზე და, განსაკუთრებით კი, თანამედროვე ტექნოგანურ სამყაროში, აგრეთვე მის როლს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესსა და გლობალური კრიზისების დაძლევაში, საზოგადოების დირებულებითი ორიენ-

ტირების ფორმირებაში და ა. შ. აღსანიშნავია, რომ მონოგრაფიაში მეცნიერება აღიქმება ცივილიზაციის უზენაეს ფასეულობად. შემდეგ აგტორები გვიხსიათებენ მეცნიერების როლს საზოგადოებრივ პროგრესში, გვიჩვენებენ, რომ ჩვენ ისე შევეზარდეთ ინოვაციური სასწაულების ეპოქას, რომ აღარ გვაპვირვებს ანუ, როგორც ავტორები წერენ, არც კი გვსურს შევნიშნოთ ისინი ან, მით უფრო, დავინახოთ მათში განსაკუთრებული მიღწევები. მაგრამ მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის გავლენა საზოგადოებრივ პროგრესზე ცალსახა არ არის, მათგან შექმნილი ხელოვნური გარემო-პირობები საფრთხეებსაც უქმნიან კაცობრიობას და ამ საფრთხეებს, რა თქმა უნდა, მეცნიერების ცალკეული დარგების პროდუქტები ქმნიან, მაგრამ კარდინალური შემობრუნება ამ საქმეში ვერ განხორციელდება ამ დარგთა დონეზე. ავტორთა დასკვნა ასეთია: „თანამედროვე გლობალური კრიზისები უჭირვებს აყენებს პროგრესის იმ ტიპს, რომელიც რეალიზებულია წინაჩერნოგენური განვითარებით. ...კაცობრიობაში, ალბათ, უნდა განახორციელოს რადიკალური შემობრუნება ცილიზაციური პროგრესის რადაც ახალი ფორმისაკენ“ (გვ. 29).

ცხადია, მეცნიერების, როგორც მთლიანობის დახასიათებისთვის უწინარესად პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: რა არის მეცნიერება? რა არის მეცნიერული შეცნობა – რა საეციფიკური ნიშნებით განსხვავდება იგი ჩვეულებრივი შემეცნებისაგან? ამ კითხვებზე პასუხი ვერ იქნება მარტივი, ამიტომ იგი საფეხურებრივად არის წიგნში განხილული (§§2.3; 2.4; 3.1 და ა.შ.). მათ შორის 4.1 პარაგრაფში კრიტიკულად არის მიმოხილული კარლ პოპერის დემარკაციის თეორია, რომლის საგანს შეადგენს არა ის, როდის არის თეორია სწორი ან როდის არის იგი სამართლიანი, არამედ სწორედ ის, თუ სად გადის ზღვარი მეცნიერებასა და არამეცნიერებას (მათ შორის, ფსევდომეცნიერებას) შორის, ნაჩვენებია, რომ ამ გამიჯვნის საქმარისი ნიშანი არ არის ფაქტებზე დაყრდნობა, ემპირიული მეთოდის გამოყენება და თეორიის შემთწევა ცდით და ა.შ.

მეცნიერების რაობის გააზრებასთან არის დაკავშირებული მისი გენეზის საკითხი. ავტორები საინტერესოდ მოგვითხოვთ „მეცნიერებისწინეთის“ მდგრმარეობაზე და განმარტავნ მეცნიერების ეტაპზე გადასვლის არსეს, კერძოდ იმას, რომ ამ ეტაპზე ახალი ცოდნის ფორმირება ხდება უკვე არა უშალოდ პრაქტიკული საქმიანობის საფუძველზე, არამედ – ამ საქმიანობის მეშვეობით მანამდე შექმნილი ცოდნის სისტემის საფუძველზე (გვ. 51). ავტორების ამ მსჯელობიდან თვალიათლივ ჩანს, რომ მეცნიერული აზროვნების ეს წესი ვითარდება ადრინდელი, „წინარემეცნიერებისდროინდელი“ წესის ფარგლებში, როგორც მისი თვისებრივად ახალი საფეხურის განმსაზღვრელი საწყისი, რომელიც მას იქვემდებარებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ასეთ გაგებას შეუძლია შეასრულოს გადამწყვეტი როლი იმამი, რომ თანამედროვე მეცნიერებაში საბოლოოდ დამკვიდრდეს კალევის დიალექტიკური მეთოდი, რომელიც კი არ გამორიცხავს ემპირიულ მეთოდს, არამედ მის წიაღში აღმოცენებული საწყისია და მხოლოდ იმიტომ ვერ ჰქოვა სრული აღიარება, რომ მისი როგორც განსხვავებული საწყისის მნიშვნელობა საქმარისად არ არის გაცნობიერებული.

შემცნების მეთოდში თვისებრივ ცელილებას, როგორც ეს სარეცენზიო მონოგრაფიაშია ხაზგასმული, შეუძლია ახალ გზებზე – ახალი მიზნებისქვე მიმავალ გზებზე – გაიყვანოს მეცნიერება და მთლიანად კაცობრიობა და სწორედ ეს იქნებოდა რადიკალური შემობრუნება ცივილიზაციური პროგრესის ახალი ფორმისაკენ, ახალი კულტურული დირებულებებისაკენ. ხოლო თუ როლს თამაშობს პრინციპულად ახალი მეთოდი მეცნიერულ სისტემებში, ამას ავტორები დამაჯერებლად გვიჩვენებენ წიგნის არაერთ „საუბარში“, უწინარესად – მესამეში – „მეცნიერული შემეცნების გენეზისი“.

ანტიკურობის სულიერ რევოლუციას უპავშირებენ ავტორები მეცნიერების გადასცლას შედგენილი საგნების შესწავლიდან რთულ სისტემებზე, რომელთა ძირითად ტიპს ანტიკურ მეცნიერებაში „შესაძლო სამყაროთა“ მოდელები წარმოადგენდა. თუმცა, გადასცლამ მოიცვა სანგრძლივი ისტორიული პერიოდი XIX საუკუნის ჩათვლით. ეს გადასცლა აუკენებს ნაწილისა და მთელის, მიზეზობრიობის და სხვა კატეგორიების ახალ დონეზე გააზრების პრობლემას. „როგორც კი მეცნიერება გადადის დიდი სისტემების ათვისებაზე, მეცნიერული აზროვნების ქსოვილში უნდა შევიდეს ახალი კატეგორიალური კანგა“ (გვ. 56). ეს არ არის იოდი: დიდ სისტემათა შესწავლას მეცნიერება თავიდან ისვე მცირე სისტემათა შესწავლის მეთოდით ცდილობდა, მხოლოდ თანდათანობით მოხდა იმის გააზრება, რომ თავისი თვისებებით მთელი არ დაიყვანება ნაწილზე, თუმცა მისი გარკვეული ნაწილი (უჯრედი) ჩანასახოვანი (პოტენციის) ფორმით შეიცავს მის თვისებებს. ამან მოითხოვა ახალი კატეგორიალური სისტემების ჩამოყალიბება და, ჩვენი აზრით, ეს პროცესი დღესაც არ არსი დასრულებული, რაც ქმნის სიძნელეებს, რაკი, როგორც აგტორები მიიჩნევენ, „თუ კულტურაში არ ჩამოყალიბდა ობიექტთა ახალი ტიპის შესაბამისი კატეგორიალური სისტემა, მაშინ ამ ობიექტის აღქმა კატეგორიათა არაადეკვატური ბადით მოხდება, რაც მათი არსებითი მახასიათებლების მიკვლევის საშუალებას არ მისცემს მეცნიერებას (გვ. 57). ავტორები ვრცლად პასუხობენ აგრეთვე კითხვას, რა მქანიზმები უზრუნველყოფს კატეგორიათა ახალი სისტემის შემუშავებას.

ზემოთ განხილული საკითხებიდან, ვფიქრობთ, ცხადია, რომ კვლევის ჩაკეტვა ცალკეულ მეცნიერებათა ჩარჩოებში ადარიბებს ამ მეცნიერებათა მეთოდოლოგიურ არსენალს, აშორებს მათ იმ ფუნდამენტს, რომელსაც გვაძლევს მეცნიერების როგორც მთლიანობის აღქმა, რაც სარეცენზიო ნაშრომს ანიჭებს ფართო, მეცნიერების კველა დარგის გადამწვდომ მნიშვნელობას.

წიგნის მესამე კარი თოხი კარიდან კველაზე ვრცელია, თხუთმეტიდან შეიდი საუბარი მასზე მოდის. მათი გამაერთიანებელი სათაურია „მეცნიერება როგორც ტრადიცია“ რა თქმა უნდა, მეცნიერული ტრადიციები ერთი კი არა, მრავალია, მაგრამ აქაც ავტორები წინა პლანზე წამოსწევენ მათ გამაერთიანებელ (მთლიანობით) ასპექტებს. ამას მკითხველი გრძელებს მთელ ტექსტში, მაგალითად, მსჯელობაში არაცხადი ცოდნის ცნებაზე, რომელიც სამეცნიერო ბრუნვაში მაიკლ პოლანდმა შემოიტანა. არაცხადი ცოდნა ის არის, რაც არათუ ზუსტ მეცნიერულ დეფინიციას ვერ გვამდებარება, არამედ ვერც მკაფიო ვერბალურ გამოხატულებას პოულობს. „პოლანიმ გასული საუკუნის ორმოცდათიან წლებში დამაჯერებლად აჩვენა, რომ მეცნიერების საქმიანობაში დასაყრდენ წინაპირობათა სრული ვერბილიზება (ე.ი. ენთი გამოსახვა) შეუძლებელია“ (გვ. 88). მაგალითად, წარმოდგენა იმის შესახებ, რა არის ლამაზი თეორია, შემოიანად დაყენებული ექსპრიმეტი ან დახვეწილი მსჯელობა, არის არაცხადი ცოდნა. ეს მაგალითები ისე არ უნდა გავიგოთ, რომ იგი არის რაღაც ზედაპირული შეხედულება. როგორც ავტორები წერენ, თვით „მეცნიერების გულში არსებობს პრაქტიკული ცოდნის არები და მათი გადმოცემა ფორმულირებათა (დაფორმულებათა) მეშვეობით შეუძლებელია.. ფასეულობითი ორიენტაციები თამაშად შეიძლება მივაკუთვნიოთ მათ რიცხვებს“ (გვ. 88-89). სწორედ ფასეულობები (კულტურული დირებულებანი) ყალიბდება კველაზე მეტად ტრადიციების ზემოქმედებით.

ახალი და ახალი კატეგორიალური სისტემების გაჩენა (რაც მხოლოდ დიდი სისტემების კვლევაზე გადასცლასთან როდია დაკავშირებული), მეცნიერებისა და არამეცნიერების გამიჯვნა, არაცხადი ცოდნის პოლანისეული ცნება და სხვა საკითხები, რომლებსაც ზემოთ შევხეთ, წარმოადგენენ მეცნიერების

მიერ საკუთარი თავის, როგორც მთლიანობის (იქნებ ჯობდეს ვთქვათ – როგორც აბსოლუტის), შემეცნების საფეხურებს.

ამ საკითხებიდან ყველაზე არსებითი, ცხადია, არის ცოდნის, მათ შორის მეცნიერული ცოდნის, რაობისა და წარმომავლობის საკითხი. რა ბუნებისაა ცოდნა როგორც მეცნიერების პროდუქტი და როგორ ჩნდება იგი? ავტორები კიდევ არაერთი კუთხით პასუხობენ ამ კითხვას, გვიხასიათებენ ტრადიციის ორად როლს შემეცნების პროცესში. მასთან არის კავშირში ცოდნისა და არცოდნის – ჯერაც შეუმეცნებელის – გამიჯვნა და არცოდნის სფეროს სტრუქტურის დადგნაც ფასეულია ავტორთა თეზა ამ სტრუქტურის იერარქიულობის შესახებ, ოღონდ, გვინდა შევვაძამოთოთ მათ იმაში, რომ იღებალებას ამ სტრუქტურის მიღმა ათავსებენ. არცოდნის სფეროში, ავტორთა აზრით, მეცნიერებას შეუძლია ჩამოაყალიბოს შემეცნების ამოცანა – დასვას კითხვები, როგორ შეიძლება ცოდნის ამ ვაკუუმის შეკვება – ანუ იმოქმედოს შემეცნების არის გასაფაროთოებლად მის მიერ უავე შემუშავებული პარადიგმების (მოდელების) საფუძველზე, იდუმალების სფერო კი ის სფერო, რომელშიც ეს პარადიგმები უძლურია და რომელში შემეცნების „შეჭრაც“ შესაძლებელი ხდება, მაშასადამე, არა მეცნიერების ენდოგენური მოქმედებით, არამედ გარე (ეგზოგენური) ფაქტორების, ხშირად – შემთხვევითობის, წყალობით.

მაგრამ, ასეთი შეჭრაც მხოლოდ ბედის გაღიმების პროდუქტი არ არის. „ნიუტრის გაშლის“ ცნობილი მაგალითი იმას გვიჩვენებს, რომ თვით მეცნიერში მწიფება წინაპირობა, რომლისთვისაც ”ვაშლეს“ მხოლოდ სასხლები ფუნქცია აქვს.

ცოდნის რაობისა და საზღვრების განხილულ საკითხებთან კორესპონდირებს ფაუსტის შეკითხვაც – „რას ნიშავს იცოდე?“ – რომლის დასმის შემდგაც აანალიზებენ ავტორები კარლ პოპერის „მესამე სამყაროს“ არსს (პირველ სამყაროს მიეკუთვნება ფიზიკური საგნები, მათი მდგომარეობა და მისთანანი, მეორეს – ცნობიერება, შეგნება, სააზროვნო მენტალური მდგომარეობა, მესამე კი არის მეცნიერული იდეებისა და პრობლემების, როგორც აზროვნების ობიექტური შინაარსის, სამყარო). გოეთედან მეცნიერების თანამედროვე ხედვამდე, მათ შორის პოპერამდე, დროითი მანძილი 1,5 საუკუნეზე მეტს შეადგენს და, ვფიქრობთ, ისტორიზმის თვალსაზრისით უინტერესო არ იქნებოდა მეცნიერებისა და ცოდნის შესახებ ამ ეპოქების წარმოდგენათა შედარება, თუნდაც – წიაღსვლის სახით, რომელსაც როგორც მასალის გადმოცემის ხერხს ავტორები ხშირად და ოსტატურად იყენებენ. ხშირად ეს არის მონოგრაფიის ძირითადი ხაზიდან გადახვევა და იგი მხოლოდ საინტერესო დამატებით ინფორმაციას შეიცავს, ამდენად, არც აუცილებლობას წარმოადგენს, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში კი იგი საგნის შემადგენელი ნაწილია და ამ კუთხით კპოქათა შედარებითი ანალიზი, ჩვენი აზრით, უფრო აღქმადს გახდიდა სწორედ წიგნის ძირითად ხაზს. ცხადია, საკუთრივ პოპერსა და გოეთედი კი არაა საქმე. ამ თრი ეპოქის წარმოდგენები შემეცნების შესაძლებლობებსა და ცოდნაზე ერთმანეთის სრულ ანგიპოდს წარმოადგენს. გოეთეს თანამედროვისა და თანამემამულის, უდიდესი ფილოსოფოსის პეგელის მოდერნებაში აბსოლუტური სული თავის მოძრაობას ასრულებს აბსოლუტური ცოდნის დაუფლებით. არცოდნისთვის სივრცე აღარ რჩება. ასეთ გაგებასთან შეუთავსებელია „დია სამყაროს“- ცოდნისა და არცოდნის თანაფარდობის - თანამედროვე გაგება მისი ნებისმიერი ვარიანტით.

საკითხს აქვს სხვა ასპექტებიც. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მეცნიერებისა და ცოდნის მიმართება ცხოვრების საზრისოან. როგორც ითქვა, ავტორებმა მეცნიერება უმაღლეს ფასეულობად აღიარეს, რაც ქმნის ამ საკითხის გადაწყვეტის საფუძველს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის

გადაწყვეტა. იგი ნათლად არ პასუხობს კითხვას, მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების უკეთ მოწყობას ემსახურება ეს ფასეულობა თუ ადამიანური არსებობის (სიცოცხლის) მიზნად ანუ საზრისად იქცევა? მრავალი მეცნიერისთვის – და არა მხოლოდ მათვის – იგი იყო და არის საზრისი. პეგელის ფილოსოფიასა და ფაუსტურ თხზულებებში იგივე საზრისი გააძხოლუტებულია და, ამიტომ, უფრო თვალნათლივიც.

მონოგრაფიაში წარმოდგენილი ბევრი სხვა საკითხიც ისევდაისევ მეცნიერების, როგორც მთლიანობის კუთხით არის გაშუქებული. ყველა მათგანის ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. იმისათვის, რომ ჰკითხველს მათზე – და ამით წიგნის შინაარსზეც – გარკვეული წარმოდგენა შეექმნას, დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე გამსხვილებულ პრობლემას. ესენია: მეცნიერების, როგორც ტრადიციის, აგებულება; ნოვაციები და მათი მექანიზმები; მეცნიერება, როგორც სისტემა რეფლექსიებით; მეცნიერული კვლევის ემპირიული და თეორიული დონეები; მეცნიერული შემცნების ღინამიკა და ა.შ.

ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ავტორები არ იჭრებიან ცალკეული მეცნიერებების კვლევის სფეროებში. ამის გარეშეც შეუძლებელიც იქნებოდა როგორც მეცნიერების ზოგადი კანონზომიერებების ილუსტრაცია, ისე შემცნების „დარგობრივი“ სტრუქტურის ანალიზი. ბოლო საუბრებში ასეთი შექრა ყველაზე მეტია მათემატიკასა და ფიზიკაში, თუმცა ამის საფუძველზე კვლავ ფილოსოფიურ სიბრტყებში პირდება განზოგადებები.

მაგალითად, მონოგრაფიის ბოლო პარაგრაფი ეხება არაკლასიკურ პოლოგრაფიულ სისტემებს. პოლოგრამა წარმოადგენს სამგანზომილებიან სურათს. სისტემათა პოლოგრამული მოდელის დანაწევრება უაზროა, იგი გვაძლევს უფრო მცირე ნაწილებს, რომლებიც მხოლოდ ზომით განსხვავდებიან მოელისაგან. ამიტომ ავტორები თვლიან, რომ გადასასინჯია თანამედროვე ოფიციალური მეცნიერების (განსაკუთრებით მისი დასავლური ტიპის) პოზიცია ანალიზის, როგორც მთელის დაშლის, მნიშვნელობაზე შემცნების პროცესში. ისინი წერენ, რომ ტვინის შესაძლებლობები აიხსნება სწორედ პოლოგრამული მოდელის საფუძველზე. ანუ ინფორმაცია ტვინის რომელიმე ადგილას კი არ თავსდება, როგორც ამას მიიჩნევს ოფიციალური მეცნიერება, არამედ – მოლიანად მასში და მის ყოველ ნაწილში. ასეთი მსჯელობის ლოგიკა მიმართულია იქთი, რომ ჩვენი ფიზიკური რეალობა მხოლოდ პოლოგრამულ პროექციას წარმოადგენს და ეს ახალ პერსპექტივას შლის ბევრი იდუმალების წიაღში შედწევისათვის, მათ შორის იმქვექნიური ცხოვრების არსში ჩაწვდომისათვის (ეს საკითხი განხილულია §15.8-ში, გვ. გვ. 412-414).

მიუხედავად იმისა, რომ ავტორები ამ მიმართულებით მიდიან – ტვინისა და, მაშასადამე, ფსიქიკის სფეროში იჭრებიან, რაც თავისთვალი უადრესად საინტერესოა და ფასეული, ჩვენ ვფიქრობთ, რომ შესაძლოა ნაყოფიერი იყოს ავტორთა ამ მსჯელობის შევსება მეორე მიმართულებით – ფსიქიკის ანალიზიდან, მათ შორის არაცნობიერის გაგებიდან ტვინის პოლოგრამული სტრუქტურის გაგებისაკენ. ეს უფრო მეტად იქნებოდა შესატყვისი მეცნიერების თანამედროვე ფილოსოფიის იმ პრინციპისა, რომელსაც ავტორები იზიარებენ და რომელიც ეწინააღმდეგება მეცნიერების დაყოფას მატერიალისტურად და იდეალისტურად ანუ ეწინააღმდეგება ბრტყელ რედუქციონიზმს (გვ. 418). ამ აზრს ბადებს არა მხოლოდ ეს, ბოლო პარაგრაფი, არამედ მისი წინა საკითხიც (§15.7. „სამყაროს კონცეფცია და არაკლასიკური ქსელური სისტემები“), რომელშიც კვარკების ქსელური სისტემებიდან ანუ ფლუქსური ქსელიდან, რომელიც შექრილია ჩვენი სამყაროს ყოველ ნაწილაკში, ავტორებს გამოყავთ ვარაუდები მეცნიერულად ჯერაც აუხსნელი მოვლენების შესაძლო ახსნის თაობაზე.

მკითხველი უთუოდ გრძნობს, რომ ჩვენ გავცდით რეცენზიის ჩარჩოებს – გამოგვის საუბრები „საუბრებში“ დასტული საკითხებზე, გამოვთქვამთ ჩვენს, კვლევით საფუძველს მოკლებულ, მოსაზრებებს, რომელთა მსგავსიც აღბათ შეუძლია გამოთქვას მეცნიერების ფილოსოფიითა და, ზოგადად, ფილოსოფიით დაინტერესებულმა კველა მკითხველმა. ჩვენ განგებ გავაკეთეთ ეს, რათა მკითხველისთვის მშრალი ინფორმაცია კი არ მიგვეწოდებინა, არამედ უფრო მეტად დაგვეინტერესებინა იგი წიგნის პროდლემატიკით. ხოლო მეცნიერების როგორც სისტემის ანუ როგორც მთლიანობის ხაზგასმა დაგვჭირდა იმისათვის, რომ მეცნიერების ყოველი დარგის წარმომადგენელთათვის მიგვეწოდებინა ჩვენი აზრი მათი დარგისათვის მონოგრაფიის მნიშვნელობის შესახებ, რაც წინამდებარე წერილის სათაურშიცაა ასახული. ჩვენი კონცეფციური ხასიათის მოსაზრებები კი, ერთიორ „ხელს მოყოლილს“ თუ არ ჩავთვლით, შენიშვნებად ვერც ჩაითვლება. განა წიგნს ვერ გამოეძებნება ნაკლოვანებები? მაგრამ მათზე მსჯელობა წვრილმანების „ჩხრეკად“ გამოჩნდებოდა იმ სისტემური და სიღრმისეული მეცნიერული ანალიზის ფონზე, რომელიც მონოგრაფიაშია წარმოდგენილი.

**მერაბ გველესიანი  
შოთა გეშაპიძე**

## იუგილა

### აკადემიური დოკტორი ლინა დათვაშვილი იუგილარია

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერთანამშრომელს ქალბატონ ლინა დათვაშვილს დაბადებიდან 70 და სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა.

ქალბატონი ლინა დაიბადა ქ. საჩხერეში, აქვე წარმატებით დაამთავრა II საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში თავი გამოიჩინა როგორც განათლებულმა, ნიჭიერმა და წარჩინებულმა სტუდენტმა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ფაკულტეტის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იყო სტუდენტური სამეცნიერო წრის და ფაკულტეტის გაზეთის რედკოლეგიის წევრი.

ეკონომიკის ინსტიტუტში ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა უმცროს და შემდეგ უფროს მეცნიერი თანამშრომელად, ლაბორატორიის გამგედ და ინსტიტუტის სწავლულ მდივნად. ამჟამად ქალბატონი ლინა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანია და აქტიურადაა ჩაბმული ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით და საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

ქალბატონი ლინას მეცნიერული კვლევის თემატიკა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებულია ქმედების აგრარული სფეროს ეკონომიკის განვითარების აქტუალურ პრობლემებთან. ამჟამად მისი კვლევის ობიექტია საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა და მისი სრულყოფის გზები, ინვესტიციების როლი აგრარული სექტორის განვითარებაში, სოფლად დასაქმების, უმუშევრობისა და სიღარიბის პრობლემები და სხვა.

იუბილარი რიგი საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციის მონაწილეა. იგი წლების მანძილზე იყო არაერთი სადისერტაციო ნაშრომის ოფიციალური ოპონენტი. არის სამეცნიერო ნაშრომების, კრებულების და ურნალ “ეკონომისტის” სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ქალბატონი ლინა არის მოქრძალებული, უპრეტენზიო გაწონასწორებული პიროვნება, რომელიც დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობს ახლობლების, მეგობრებისა და თანამშრომლების წრეში. იგი ასაკის მიუხედავად, დღესაც სრული შემართებით და ახალგაზრდული ენერგიით აგრძელებს მეცნიერულ საქმიანობას და თავისი წვლილი შექვეს ინსტიტუტის წარმატებებში.

ურნალ “ეკონომისტი”-ს რედაქტორი, ინსტიტუტის თანამაშრომლები და მეგობრები გულითადად ულოცავენ ქალბატონ ლინას საიუბილეო თარიღს და გულწრფელად უსურვებენ ჯანმრთელობას და სანგრძლივ სიცოცხლეს.

## 06 ვარდაცია

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუბუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული ღონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი აგლეგის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორების შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN). ერთი გვერდის დირექტულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: [economist1@rambler.ru](mailto:economist1@rambler.ru), [tealazarashvili@rambler.ru](mailto:tealazarashvili@rambler.ru)

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია შზადაა თანამშრომლობისათვის.

**დამატებითი ცენტრისათვის დაბვიპავშირდით შემდეგ მისამართზე:**  
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ოთახი 13, ტ.: 99-66-46; 99-74-09.

### პაატა გუბუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამოცემლობა

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე  
**შედავათიან ფასებში**

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება

**გამოიცემა:**

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)

- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი უფრნალები

**მისამართი:** თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14  
36 94 77; 93 22 60; 99 66 46; 8(55) 33 01 38.  
**ელ-ფოსტა:** [gamomcemloba@rambler.ru](mailto:gamomcemloba@rambler.ru)

#### ქურნალ “ეკონომისტი” სტატიების ყარაღლების ფასები

1. ქურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერგალით, A4 ფორმაზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური TIMES NEW ROMAN).
4. ქურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღიდან ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ აასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება. **ერთი გვერდის დირექტულებაა 5 ლარი.**

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: [economisti1@rambler.ru](mailto:economisti1@rambler.ru), [tealazarashvili@rambler.ru](mailto:tealazarashvili@rambler.ru)

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ქურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**დაგატებითი ცენგებისათვის დაბვიპავშირდით შემდეგ მისამართზე:**  
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ოთახი 13, ტ.: 99-66-46; 99-74-09.

#### GEL

<b>მიმღები</b>	მიმღები: თსუ/ანგარიში პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის
	მიმღების IBAN ანგარიშის # GE72 BR00 0001 0405 5894 42
<b>მიმღების ბანკი</b>	ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“ ბანკის BIC კოდი: REPLGE22

**THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE  
JOURNAL “ECONOMISTI”**

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be send to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font -AcadNusx, English text font-Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the autor for revision the date of receiving the final text is regarded as date of submission for consideration. Price of a page – 10 \$.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: [economisti1@rambler.ru](mailto:economisti1@rambler.ru),  
[tealazarashvili@rambler.ru](mailto:tealazarashvili@rambler.ru)

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 99.66.46.

**USD**

<b>BENEFICIARY</b>	Beneficiary's name: TBILISI STATE UNIVERSITY
	Beneficiary's IBAN NO: GE72 BR00 0001 0405 5894 42

<b>BENEFICIARY</b>	BANK “REPUBLIC” Tbilisi, Georgia
	Correspondent Acc. 00195464 SWIFT: REPL GE 22

<b>INTERMEDIARY</b>	SOCIETE GENERALE, N.Y., USA
	SWIFT: SOGE US 33

ქურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 996646; 932804; 899 970103.  
E-mail: [economisti1@rambler.ru](mailto:economisti1@rambler.ru)

Journal “Economisti”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 996646; 893 314628.  
E-mail: [economisti1@rambler.ru](mailto:economisti1@rambler.ru)

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა  
გამომცემლობის რედაქტორი **სესილი ხანჯალაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics

Redactor of Publishing House **Sesili Khandjaladze**